

მ ი ჯ ნ ა

№2 (25) მაისი, 2023 წელი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე



მეოცე საუკუნეში გლობალიზმს ელიცებმა
ნიუ-იორკში, ლონდონში, ბერლინსა და მოსკოვში
სამი დიდი ნაწიცივი შეიხზეს, რომლებიოც
ოიოქისდა მოელთ მსოფლოის წაწხელის ახნა
და მომავლის წინასწარმეცველენა შეიძლებიდა:
ფაშისცურთ, უომუნისცურთ და ლიბერალურთ.

თუ თქვენ დაგაინტერესათ ჩვენმა ჟურნალმა,
მაშინ შეგიძლიათ მისი ელექტრონული ვერსია
მოიძიოთ:

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა



ივერიელი

ციფრული ბიბლიოთეკა

dspace.nplg.gov.ge



მიჯნა

საზოგადოებრივი ჟურნალი, № 2 (25), მაისი, 2023


დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:
თავისუფალ შემოქმედთა გაერთიანება და შპს „გამომცემლობა
„მიჯნა“, რეგისტრაციის
№ B12127840

რედაქტორ-
გამომცემელი
მურმან ზაქარაია

რედაქტორი
ჯემალ შონია

მისამართი:
ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ.
№25, ბ. 1, ტელ./ფაქსი
2-38-03-11

ISSN
მიჯნა 2449-237X



ს ა რ ჩ ე ვ ი

26 მაისი

ზვიად გამსახურდია

მიმართვა ქართველი ერისადმი 26 მაისის
გამო... 3

ზურაბ ავალიშვილი

საქართველოს დამოუკიდებლობა
1918-1922 წლებში 4

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის
აღდგენის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო
შეკრება 9

ჯემალ შონია

9 აპრილით გაცოცხლებული 26 მაისი!..... 11

საითკუნ მიდის კაცობრიობა

იუვალ ნოას ჰარარი

იმედგაცრუება: ისტორიის დასასრული
გადაიდო 18

კასა ქაცხაია

ECCE HOMO23

ღვანლმოსილი მკურნალი და დიდებული ბიოგრაფიული მემკვიდრე

ხუტა პაჭკორია

დისიდენტი პედაგოგი ირაკლი ჟვანიას
ხსოვნა 25

ხუტა პაჭკორიას წერილთა (ინტერვიუების)

ციკლი პროფესორ შალვა მიქელაძისა და
გალაქტიონის მეუღლის ოლია ოკუჯავას
საფლავთა ძიების თაობაზე

შალვა მიქელაძეს სიკვდილის განაჩენი
შეუცვალეს, მაგრამ მაინც დახვრიტეს 30

აღმოჩენილია პროფესორ შალვა მიქელაძისა
და ოლია ოკუჯავას საერთო

„საძმო საფლავი“ 32

ოლია ოკუჯავა საფლავი ნაპოვნია!..... 36

ქართველი ექიმის მნიშვნელოვანი მიგნება 38

შავი, ყინულოვანი ვარდის სული... 39

რატომ ამოწყვიტა სტალინმა ოკუჯავების
ოჯახი 42

პროზა და პოეზია

ეთერ აგარონოვა

სიტყვით ქართულით..... 46

(ჯემალ შონიას პოეტური კრებულის
„მზის წყალი“ გამოცემის კვალდაკვალ)

ჯემალ შონია

ლექსები 47

ლავა გვასალია

სიყვარულის ამბავი... 51

ეკატერინე სოჭოლავა

ლექსები 57

იუბილე

ედემ კვირტია – 80..... 60

ედემ კვირტია

ლექსები 63

მილოცვები

ვულოცავთ ჩვენს მეგობარს!..... 65

თენგიზ კუზლაშვილი

დაგვიანებული მილოცვა..... 65

წიგნის თარო

გამოჩენილი ფილოსოფოსის იუბილეს
მიეძღვნა 66

თარგმანები

ლექსები 67

თარგმნა ზაურ მოლაშხიამ

ჯეიმს ტაიტი (აშშ)

ლექსპროზა 71

თარგმნა თორნიკე ქავშაბაიამ

გალაკტიონ ტაბიკა

მესაფლავე..... 79

თარგმნა ეთერ აგარონოვამ

ჯემალ შონია

ლექსები 82

თარგმნა ეთერ აგარონოვამ

რუსულენოვანი მწერლობა

ტატიანა გორსკაია

ლექსები 83

იგორ ავანესოვი

პროზა..... 84

რაისა მუზიჩენკო


ლექსები 86

ვალენტინა გვილავა

ლექსები 92

ზვიად გამსახურდია

ქართული ქართული კრისადი 26 მაისის გამო



მამულიშვილნო! ძმანო და დანო!

1918 წლის 26 მაისს ქართველმა ერმა რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე ააფრიალა დროშა ეროვნული დამოუკიდებლობისა. ას ჩვიდმეტი წლის მონობის შემდეგ კვლავ აღორძინდა ეროვნული სახელმწიფოებრიობა. ჩატარდა არჩევნები, შეიქმნა პარლამენტი, მაგრამ საბოლოოდ ვერ გაიმარჯვა ეროვნულმა და ქრისტიანულმა იდეამ, ქართველობამ ვერ დააღწია თავი მარქსიზმის დამლუპველ იდეოლოგიას, ვერ უერთგულა ქრისტეს გზას, დიდი ილიას გზას, რამაც ღვთის რისხვა მოგვივლინა და 26 მაისი 25 თებერვლით შეიცვალა.

კომუნისტური ტოტალიტარიზმი 70 წლის მანძილზე ცდილობდა 26 მაისის იდეების მოსპობას, თავისუფლების სულისკვეთების ჩაკვლას, ერის მოაზროვნე ნაწილის განადგურებას, მან ქრისტეს ჯვრის ნაცვლად მასონურ-კომუნისტური წითელი ვარსკვლავი დაუსახა იდეალად ქართველ ერს. ქრისტეს გზა, კაცთმოყვარეობის გზა შეიცვალა ანტიქრისტეს, ბარაბას დამლუპველი გზით. მაგრამ იმპერიის მსახურმა რენეგატებმა საბოლოოდ ვერ ჩაკლეს ეროვნული აზრი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, იგი კვლავ ფენიქსისებრ აღორძინდა. როდესაც დადგა იმპერიის მწუხრი, კვლავ აფრიალდა 26 მაისის დროშები, კვლავ აღზევდა თავისუფ-

ლების სული, ხოლო 1990 წლის 28 ოქტომბერს კვლავ აღსდგა დემოკრატიული რესპუბლიკა საქართველოსი, კვლავ აჟღერდა ჰიმნი „დიდება“.

მაგრამ ვერაგი იმპერია არ აპირებს ბრძოლის ველის დათმობას. ერთი იმპერია დაემხო, მეორე კი კვლავ განაგრძობს დათრგუნვას ერთა უფლებებისა, რაშიც მას ხელს უწყობს მსოფლიო რეაქცია. კვლავ აბორგდა კაენის სული, გაერთიანდნენ მხეცური ინსტინქტით შეპყრობილი ბნელი ძალები, კვლავ მოუხმეს მოსკოვს გადახვენილ რენეგატებს, საქართველოს მტრებს, რათა სისხლში ჩაახშონ ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაპოვარნი, მოსპონ ქართული სული, საქართველო კვლავ დაუთმონ განახლებულ იმპერიას, კვლავ აქციონ ანტიქრისტე ბარაბას გზის მიმდევართა სათარემოდ და საჯიჯგნად.

26 მაისი კვლავ დათრთვილა 6 იანვარმა, საქართველო კვლავ ძაძებში გაეხვია და დაადგა გოლგოთის გზას. ქართველმა ერმა მოიპოვა თავისუფლება, მაგრამ ვერ შეინარჩუნა იგი.

ქართველმა ერმა თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნებით აირჩია ეროვნული ხელისუფლება, მაგრამ ვერ დაიცვა იგი. იმძლავრეს და იმრავლეს მოლაღატეებმა, ერთგულებას ღალატმა სძლია, წითელი ინტელიგენცია, კომუნისტური პარტოკრატია და მაფია გაერთიანდნენ. იმპერია კვლავ სამარეს უთხრის საქართველოს საკუთარი შვილების ხელით.

გრძელდება ქართველთა გენოციდი, იძარცვება საქართველო, იდევენება ეროვნული მოძრაობა.

დღეს საქართველო დილემის წინაშე დგას. ჭეშმარიტი საქართველო უნდა აღდგეს დამპყრობელთა და გადაგვარებულ მოძალადეთა წინააღმდეგ, ქართველნი და არაქართველნი უნდა დაირაზმონ სიმართლისათვის ბრძოლაში. კვლავ ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ თავისუფლება და აღვადგინოთ სამართლიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული და სოციალური კატასტროფა გარდაუვალია.

25 თებერვალს და 6 იანვარს ერთი და იგივე ავტორი ჰყავს: კრემლის იმპერია, წითელი ჯარი და მათი მეგზურნი, ჩვენი ერის მოლაღატენი! საქართველოს ჭეშმარიტმა შვილებმა უნდა სძლიონ მათ და კვლავ აღაზევონ 26 მაისის დროშა.

ძირს ერის მოლაღატეთა და ძმათა მკვლელობა ხუნტა!

დიდება ქართველ ერს, დიდება 26 მაისს!
სიკვდილი ან გამარჯვება!
გვფარავდეს ღმერთი!

ზურაბ ავალიშვილი

საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლებში*



დამოუკიდებლობისადმი მიდრეკილებამ საქართველოში თავი იჩინა რუსეთის რევოლუციის პირველსავე დღეებში. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

საქართველოს რუსეთთან შეერთება მოხდა არანორმალურ პირობებში; თავის დროზე (1801 და შემდეგ) იგი უმტკივნეულოდ არ ჩატარებულა.

(იხ. ამის შესახებ ზ. ავალიშვილი: „საქართველოს რუსეთთან შეერთება“. მეორე გამოცემა. 1906 წ. არსებობს აგრეთვე ძველი წიგნი ნ. დუბროვინისა. კარგი პატარა გამოკვლევა ხელთუფლიშვილისა (მოსკოვის იურიდიულ უწყებებში 1890 წლებში) და სხვა, მაგრამ კითხვა ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის დამუშავებული.)

თუმცა გამარუსებელი პოლიტიკა დიდ ენერგიას ხარჯავდა, შესახედავად ნაყოფიერილის სათაური რედაქციისეულია

რიც იყო, თუმცა საქართველოსთვის სრულიად შეუძლებელი ხდებოდა ეროვნული ცხოვრების მონესრიგება, მაინც საკმაოდ შეერთება და შედუღება რუსეთსა და საქართველოს შორის არ მომხდარა.

რუსული კულტურა, ზოგჯერ გამანადგურებელი, უფრო ხშირად კი სასარგებლო, ყოველ შემთხვევაში აქ ღრმა და მრავალ გავლენას ახდენდა. საქართველოს რუსეთის იმპერიისადმი პოლიტიკური ლოიალობა მთელი საუკუნის განმავლობაში მტკიცეთ, ურყევად რჩებოდა, მაგრამ საქართველოს გარუსება, ყოველივე საკუთარი, ეროვნული მისწრაფების საბოლოოდ უარისყოფა ისევე ვერ იქნა მიღწეული საქართველოში, როგორც არ იყო მიღწეული დანარჩენ „სხვა ტომთა“ („ინოროდცების“) განაპირა ქვეყნებში. მართალი რომ ვთქვათ, გარუსების თვით გეგმა ამჟღავნებდა მხოლოდ სახელმწიფოებრივი შემოქმედების სილატაკეს და „იმპერიის აღმშენებლობითი“, ცხოველყოფელი წყაროების ამოშრობას თვით რუსეთის სახელმწიფოებრივ ცენტრში.

(ომისა და რევოლუციის წინააღმდეგ საქართველოს ეროვნული კითხვის საერთო ნაკვთი ჩემს მიერ დანერილი იყო კრებულისათვის: „ეროვნული მოძრაობის ფორმები ევროპასა და რუსეთში“, რომელიც გამოვიდა 1909 წ. (ს.პ.პ. „საზოგადო სარგებლობა“); მეორე ჩემი ეტიუდი კავკასიის პოლიტიკის პრობლემების შესახებ დაბეჭდილი იყო პ.პ.სტრუვეს „რუსეთის აზრში“ (1911 წ.). შესაძლებელია, რომ ამ შრომებში ნაჩვენებია ის ფესვები, რომლიდანაც 1918 წლის ხელოვნურ სითბოს დახმარებით გაიზარდა საქართველოს დამოუკიდებლობის ხე).

როცა ავტორი წერდა საქართველოს დამოუკიდებლობის კითხვაზე 1918-1921 წწ. ევროპის საერთაშორისო პოლიტიკაში, იგი სრულად არ ეხებოდა, ან ოდნავ ეხებოდა თვით საქართვე-

ლოს ამავე წლების შინაგან ისტორიას. თითქოს ყოველთვის წინდანიწვე მიღებული იყო, რომ საქართველოს მდგომარეობა საერთოდ დამაკმაყოფილებელია და რომ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, უნარიანი დემოკრატია შინაურ საქმეებში თანდათან ქმნის წესრიგს. ასეთი, სრულიად ზოგადი დაფასება, არ იყო მაინცდამაინც სინამდვილეს დაშორებული: სიმართლეს არ იყო მოკლებული, დაკვირვებანი და ცნობები, რომელსაც უგზავნიდნენ თავიანთ მთავრობებს დიდი სახელმწიფოების წარმომადგენელნი და რომელთა გავლენით საქართველომ მიიღო ბალტიის რესპუბლიკებთან ერთად თავისი დამოუკიდებლობის საერთაშორისო ცნობა.

დიდი სახელმწიფოები კი არ ყოფილან საქართველოსადმი ყოველთვის და ძლიერ კეთილგანწყობილნი, მაგრამ საბჭოთა პოლიტიკის მეოხებით, საქართველოს წარმომადგენლობითი დემოკრატია უეცრად, და მრავალთათვის სრულიად მოულოდნელადაც კი, დაეცა 1921 წლის დასაწყისში. ამიტომ უაღრესად საჭიროა ზოგიერთი შესწორება იქნეს შეტანილი საქართველოს 1918-1921 წლების დემოკრატიის ზემო აღნიშნულ დაფასებაში.

შესწორებამ უნდა მოგვცეს აგრეთვე საშუალება გავარკვიოთ, თუ რამ შეუწყო ხელი საქართველოში საბჭოთა გამარჯვებას. საგარეო პოლიტიკის შეცდომებზე ლაპარაკი აქ არ არის სავალდებულო, რადგან თვით წიგნშია ნაჩვენები. უმთავრესად ისინი დაბადა მარქსის მოძღვრებით თავის გაბრუნებამ, სახელმწიფოს მართვის წესების დარღვევამ, რაც დიდ ზარალს აყენებდა საქართველოს შინაგან საქმეებსაც.

საქართველოს მეთაურებს თავიანთი მთავრობა საბჭოთა წყობილებისაგან გასარჩევად წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც დემოკრატიული.

ნამდვილად კი საქართველო, რა თქმა უნდა, ჯერ სრულიად ვერ აკმაყოფილებდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის მოთხოვნილებას. უკანასკნელის გარეგანი ფორმები მხოლოდ ფარავდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დიქტატურას.

ეს არ იქნებოდა უბედურება. იგი სასარგებლოც კი იყო, რადგან რევოლუციის დროს მთავრობას საშუალება ეძლეოდა პირველ ხანებში კარგად შეკავშირებულ, გავლენიან პარტიას დაყრდნობოდა. მაგრამ მდგომარეობასთან შედარებით საკმაოდ ძლიერი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება პარტიულ დოქტრინისაკენ მეტის-მეტად იხრებოდა და ადვილად არღვევდა სახელმწიფოს მართვის, თუმცა დაუნერელს, ინტუიციით შესაგნებს, მაგრამ უჭეშმარიტეს წესებს.

თანაც საქართველოს მთავრობა ისეთ ზნეს დღითი დღე კი არ ასუსტებდა, არამედ აღრმავებდა. 1917 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნული ყრილობა თითქოს წარმოადგენდა მთელი ხალხის მთლიანობის სურათს, და ადამიანი იფიქრებდა, რომ იგი გვპირდებოდა ეროვნული პოლიტიკის წარმოებას. **1921 წლის დასაწყისში კი, როგორც მთავრობა, ისე დამფუძნებელი კრება წარმოადგენდა პარტიული ორგანიზაციის უბრალო კრეატურას. სახელმწიფოებრივ საქმეებში გამოუცდელ დოქტრინიორების დაულალავი ჯიუტობით ავინრობდნენ ისინი თავიანთი არსებობის, საკუთარი მომავლის ნიდაგს** (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – რედაქცია).

თავის გზის ბოლოში საქართველოს მთავრობა ისეთ ვიწრო კარებზე მოემწყვდა, რომ უბრალოდ ნკიპურტით შესაძლო შეიქნა მისი ჩამოგდება.

ზევით ნათქვამი შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. **რევოლუციის ნიალიდან გამოსული საქართველოს მთავრობა დარჩა უფრო სოციალური დემაგოგიის, ვიდრე დემოკრატიული და ეროვნული პოლიტიკის, მთავრობად.** იგი უნდა გამხდარიყო და შეეძლო კიდევ ასე გარდაქმნილიყო, მაგრამ ეს არ მოხდა.

უმთავრესად მინის მფლობელების განიავება შეადგენდა ამ მთავრობის უღრმეს სურვილს და მისწრაფებას.

აგრარული რეფორმის საჭიროებას უკარნახებდა მათ გლეხობის ნამდვილი მოთხოვნილებაც და რუსეთის რევოლუციის წარმტაცი მაგალითი და ზეგავლენა და, გარდა ამისა, დემაგოგიური რევოლუციონური შეჯიბრების

საშუალება, რეფორმა გარდაუვალი იყო, მაგრამ ისეთი ფორმები მიიღო, რომელნიც არ იყვნენ შეფარდებული არც სოფლის მეურნეობის პირობებთან, არც მომავლის მოთხოვნილებებთან, არც საქართველოს კლასებად დაუყოფელ ერის ზნე-ჩვეულებასთან.

შეგნებულად ანადგურებდნენ მოსახლეობის მრავალრიცხოვან ჯგუფებს, შედარებით განათლებულ და საჭირო ნაწილს ხალხისას.

(მხედველობაში არ გვყავს ყოფილი მთავრობის და დიდებულთა მცირერიცხოვანი შთამომავალნი; ხალხის ზნე-ჩვეულების უარისყოფამ პოლიტიკურ არარაობად გახადა ისინი და სულიერად გამოფიტა. ჩვენ ვგულისხმობთ ფართო ფენას - მიწის მცირე და საშუალო მესაკუთრეებისას, რომელნიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ხალხთან და მიწასთან, და რომელნიც საყურადღებო შემატება და სასარგებლო თანამშრომელი იქნებოდა საქართველოს დემოკრატიის, თუ კი იგი მოისურვებდა სახელმწიფოებრივად მოწყობილიყო.)

ამავე დროს, მას შემდეგ, რაც გლეხებს დაურიგეს წინანდელ მესაკუთრეებისაგან ჩამორთმეული მიწები, გაძლიერდა ჩვეულებრივი გულგრილობა გლეხებისა პოლიტიკური ნყობილებისადმი, ყოველივე ინსტინქტი გარედან შემოსეულ ძალის მიმართ, რადგან უკანასკნელისაგან არ იყო საშიშროება უკვე დაყოფილ მიწების წართმევისა. ერთის სიტყვით, საქართველოს აგრარული პოლიტიკა არ იყო მიმართული ევროპისაკენ და მისი სამოქალაქო კანონმდებლობისაკენ და არ იყო შეფარდებული დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.

სულმოკლეობისა და უმეცრების გამო

განგებ არ უნდოდათ, გულდასმით მოეწყოთ, შესაძლებელი თავდასხმის დროისთვის საჭირო შეიარაღებული ძალა (თუნდაც 1918 წლიდან კომუნისტების მაგალითისამებრ); ამის მიზეზი იყო საქართველოს მთავრობის იგივე ძირითადი მოძღვრება, მოძღვრება კლასთა ბრძოლისა, რომელმაც შეუშალა მას ხელი გამხდარიყო ეროვნულ მთავრობად.

აგრარულმა რეფორმამ ზოგი დასცა და ბოგანოდ გახადა; ზოგი დაასაჩუქრა მნიშვნელოვანი ფინანსური და სამხედრო ბეგარას დაუკისრებლად;


ასეთმა პირობებმა მეტად გააძნელა სულ მცირე ჯარის მონყობა იმ ქვეყანაში, რომელიც მდიდარი იყო მწყობრი ჯარის ოფიცრებით და იმ ხალხში, რომელმაც მრავალი საუკუნეთა განმავლობაში უებარი მეომრის სახელი მოიპოვა.

როდესაც საქართველო მიიყვანეს საბჭოთა რუსეთთან შეტაკებამდის, თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ წითელ არმიელთა არც თუ მაინცადამაინც დიდ ძალისათვის. ყველაფერი იყო ნამოქმედარი, რომ თავდამცემ საბჭოთა ლაშქარს წინ დახვდომოდა არა „შეიარაღებული ხალხი“, არამედ პარტიის მეთაურთა

ჯგუფი, დიდი საზოგადოება პიროვნებათა, რომელიც სარგებლობდა სახელმწიფოებრივ ხელისუფლებით და მათთან მცირე წრე ერთგულ თავდადებულთა.

მათი შავ ზღვაში გადაგდება ოდნავ სიძნელესაც არ წარმოადგენდა.

საქართველოს შინაგან საქმეების ბეჯითმა ცოდნამ – სამხედრო ორგანიზაციის სრულმა უქონლობამ – მისცა მოსკოვის მთავრობას აზრი „მოენელებინა საქართველო“, როგორც კი გარეშე პირობები (რაზედაც წიგნი თვით გვამცნობს) ხელსაყრელად მოეწყო.



ძლიერ გამოიყენა მოსკოვმა საბჭოთა მაცდური ლოზუნგებიც, რომელთაც უნებლიეთ შეჰქონდათ საქართველოს მთავრობის მიმდევართა და საექვო საფუძვლად მდგომ ფართო მასებში კლასობრივი ბრძოლისა და მიწის ჩამორთმევის იდეები.

ეს იყო სწორედ ის, რაზედაც იზრდებოდა საქართველოში ხალხი. რაღა გავლენა უნდა ჰქონოდათ სქოლასტიკურ შენიშვნებსა და განმარტებებს, როცა მათივე ლოზუნგები ნათლად მოჩანდა მომხდური ჯარის ბაირაღებზე, და რუსეთის ძლიერების ჩვეულებრივი სიდიდე ლებულობდა ჯერ კიდევ გუშინ თაყვანსაცემ ნითელ ბაირაღის სახეს.

მშობელი ერისა და შემოსეულ უცხოელის უკანასკნელ წამში დაპირისპირება, უეცრად გადასვლა საერთაშორისო სოციალისტური ყრილობების კილოდან მამულიშვილურ და ეროვნულ პათოსის ენაზე – უკვე დაგვიანებული და უიმედო საქმე იყო, 1918 წლიდან რომ მიეღოთ ამ მხრივ სრულიად საშუალო სახელმწიფოებრივი ზრუნვა, ასეთი უეცარი და უმედეგო ფერისცვალება აღარ იქნებოდა საჭირო.

და აი, საქართველოს დემოკრატიის გარდაუვალი და თავდაუღწეველი დაცემა მოხდა სწორედ მაშინ, როცა თავის კმაყოფილი და თავის მოიმედე, იგი დაჯდა მის მიერვე შეყვარებულ პარტიული განკერძოების ვინრო კარებზე, 1921 წელს, საქართველოს საერთაშორისო სრული ცნობის შემდეგ, და წინასწარ ტკბებოდა კიდევ უფრო მეტი და კიდევ უფრო მშვიდი განცხრომით, რომელიც ნაყოფი იყო მისი მრავალმხრივ მაღლიანი შრომისა, აი, ამ დროს, როგორც ნათქვამი იყო, იგი ძლიერ ადვილად ჩამოაგდეს.

განა საჭიროა დავუმატოთ, თუ რამდენად ხელს უწყობდა ამას ის, რომ ვერ მოახერხეს ისტორიის გაგიჟებით სრბოლასთან შეეთანხმებინათ მეზობლებთან ზავის გათავების სისწრაფე და მათთან კავშირის შეკვრა? ნუთუ დავუმატოთ, რომ ბევრ რამეში წარმატებით ჩატარებული საგარეო პოლიტიკის შემდეგ, საქართველო ჩააყენეს სავსებით განმარტოებულ მდგომარეობაში, ანგორისა და მოსკოვის თავდასხმის საშიშროების მოლოდინში.

შევჩერდეთ განა იმაზე, რომ პირველითაც

და მეორითაც ისარგებლა მოსკოვმა, და თავის წარმატებას კავკასიაში ხელი შეუწყო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საკავშირო შეერთების პროგრამით, როცა ძალით გააკეთებინა ის, რაც მათ არ ისურვეს გაეკეთებინათ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე? გავჩერდეთ ოსმალეთთან საზღვრების დადებაზე, რომელიც მოახდინა მოსკოვის მთავრობამ საქართველოსა და განსაკუთრებით სომხეთისათვის სამძიმო პირობით (ყარსის დათმობა), მაგრამ რომელიც კითხვის ერთგვარი გადაწყვეტა მაინც იყო – იგი სასიამოვნოდ რჩებოდა ბევრს, რომელთაც მიუზომეს რევოლუციით მოპოვებული მიწა, რადგან საშუალებას იძლეოდა მყუდრო მუშაობისას?

აქ საკმაოა აღვნიშნოთ ეს უმთავრესი ხაზები; როცა დავუბრუნდებით ისტორიულ დაკვირვებათა სტილს, ვიტყვით, რომ საქართველოს დემოკრატია **1918-1921 წ. იყო დიქტატურა სოციალ-დემოკრატიისა, ე.ი. მარქსიზმის მემარჯვენე ფრთისა და იგი იყო საქართველოში საბჭოთა დიქტატურის გამარჯვების მომამზადებელი ხანა.** სოციალური პოლიტიკის მთელი შინაარსით და თავის სულით დემოკრატია იგი, მიუხედავად ეროვნული შეგნებისა, რომელიც უეჭველად იღვიძებდა მასში, საქმით მიმართული იყო არა ევროპისაკენ, არამედ მოსკოვისაკენ. ამით იბადებოდა ძირითადი წინააღმდეგობა ევროპაზე ორიენტაციასთან, რომელსაც ბევრითად მიჰყვებოდა საქართველო საგარეო პოლიტიკაში 1921 წლის გაზაფხულამდე.

როცა 1921 წელს, თებერვალ-მარტის მძიმე დღეებში, საქართველო გაანვინეს მაგიდაზე და გამოცდილმა ქირურგმა - საბჭოთა ხელისუფლებამ - სასტიკი ოპერაცია გაუკეთა, **მან იცოდა რომ ავადმყოფი გააბრუა და ოპერაციისათვის უკვე მოამზადა მასზე არა ნაკლებ გამოცდილმა, თუმცა არა მასავით გამბედავმა ქართველმა სოციალ-დემოკრატამ.**

ის, რაც პოლიტიკურად და სუბიექტურად შეადგენდა ბრძოლას და ჰგავდა გადატრიალებას, ისტორიულად და ობიექტურად ჩაითვლება უბრალო შრომის განაწილებად და თანდათან განვითარებად.

ეს იყო და ეს. სამწუხაროა, მაგრამ ასეთი

პოლიტიკური გაუგებრობა დიდმნიშვნელოვნად არ გვეჩვენება იმ ხანაში, როცა სიცოცხლით სავსე, ჯანსაღი ახალგაზრდობა მილიონობით ისპობა, თითქოს არაფერიას!

კაცობრიობის ისტორია ზოგჯერ იღებს გაგიჟებული ცეკვის სახეებს. გარეგან ბოღვისებრ ფორმებში, მოვლენათა სწრაფ თრთოლაში, საჭიროა მოვნახოთ ძირითადი თემები, მუდმივი განმეორებული მტკიცე დაფები.

ხალხთა მისწრაფება თავისუფლებისადმი, დამოუკიდებელ შემოქმედებითი არსებობისადმი, საიდუმლოებით მოცული ერთობა ეროვნულ კოლექტივისა – აი ეს არის ერთი ამ თემათაგან, ერთი მხოლოდ მოჩვენებით განწყვეტილი დაფთავანი.

დამოუკიდებლობა საქართველოსი და მისი მეზობელ კავკასიის ხალხების მიუხედავად 1920-1921 წლების ამბებისა, სრულიად არ არის გუშინდელი უბრალო შემთხვევა, რომელიც სიჩქარით იძირება ისტორიაში; პირიქით, იგი ჩვენი დროის და ახლო მომავლის ცოცხალ თემად დარჩება. ამიტომაც ეს წიგნი შორს არის იმ გრძნობიდან, რომელიც გამოთქმულია ცნობილ თქმაში:

Victrix causa diis placuit, sed victa Catoni.

და თუ აქ არაფერია დამატებული იმის შესახებ, თუ რა პირობებში და რა ცვლილებებით მიმდინარეობს საქართველოს ცხოვრება ახლა, საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებთან ძალდატანებულ ერთობაში; როგორ სახეს იღებს პოლიტიკური და სამეურნეო განვითარება კავკასიისა რუსეთის რევოლუციის მიერ შექმნილ პირობების ზეგავლენით; და სინამდვილეში როგორი განწყობილება დამყარდა კავკასიის ერთა შორის, ყარსის ზავის თანახმად ტერიტორიის საგრძნობი ნაწილის ოსმალეთისათვის დათმობის შემდეგ 1921წ. - ეს მხოლოდ იმიტომ, რომ

აქ უკვე ჩვენ წინ ჩნდება ისტორიული ქსოვილის ახალი, რთული ნაკვეთი, რომელიც ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია ფეიქარს და რომლის განხილვა ნაადრევი იქნებოდა. საქართველოც, სომხეთიც, აზერბაიჯანიც არსებობს; მათზე გადავლილმა, ყველას გამათანასწორებელმა ეტლმა ისინი ვერ გასრისა: მათი ისტორია არ შემწყდარა 1921 წელს; იგი მიმდინარეობს სხვა პირობებში.

წიგნისთვის, რომელიც დაფუძნებულია პირად განცდაზე და ნაგრძნობზე, ასეთი ზოგადი შენიშვნებიც საკმაოა. ჩვენი რესპუბლიკების პოლიტიკურ ბედზე 1921 წლიდან ავტორს შეეძლო ლაპარაკი, მხოლოდ როგორც ცნობის-მოყვარე მკითხველს, რომელსაც ბევრი რამ დარჩა უცნობი.

ამგვარად, გაგრძელება არ არის შეწყვეტა; და არავინ არ უნდა ჩაეჭიდოს წარსულს. ან-მყოფი ბევრად მეტია სინამდვილე, მომავალში კი - მიმზიდველობა.

რაც შეეხება მრავალ პირთ, რომელთაც ავტორი თავის თავსაც მიაკუთვნებს, რომელთაც პოლიტიკურ აღრევის გამო ბევრი რამ გადაიტანეს (მაგრამ რამდენჯერ ნაკლები, ვიდრე ომში ხმლით დაღუპულებმა ან და სამოქალაქო შეტაკებაში დაფლეთილებმა!) საკუთარ ჭრილობებს არ აძლევენ მნიშვნელობას და არ ურევენ იმ საქმის ბედ-იღბალში, რომელსაც ემსახურებოდნენ - მათ დარჩენიათ მოიგონონ ჭკვიანი კაცის სიტყვები, რომელიც დიდი ხნის წინათ სწერდა თავისა და მათ მაგიერ: „თუკი რაიმე მოვლენა ჩემზე ძლიერია, თუ იგი ჩემს მიერ უარყოფილ არჩევანს ეთანხმება და ამას აღარაფერი ეშველება; ამის გამო საკუთარ თავს არ ვყვედრი და ჩემი ნამოქმედარის ნაცვლად, მხოლოდ ჩემს ბედს ვადანამაულებ, არა, ეს არ არის მონანიება!“

(მონტენი, ცდანი, წიგნი III, თავი II)



სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო შეკრება

მიმდინარე წლის 9 აპრილს ეროვნული მოძრაობის უამრავი წარმომადგენელი შეიკრიბა თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში. შეიძლება ითქვას, ეს იყო ამ ბოლო წლების ერთ-ერთი მასშტაბური და თავისი შინაარსით მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ხელისუფლების სახელით გაიმართა.



საზეიმო შეკრებაზე მონაწილე იყვნენ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლები: უზენაესი საბჭოს დეპუტატები, ეროვნული მთავრობის წევრები, პრეფექტები, ეროვნული გვარდიის ვეტერანები, აგრეთვე სისხლიან პუტჩისა და ხუნტის რეპრესიებს შეწირული მამულიშვილების, ეროვნული მოძრაობის ან გარდაცვლილ წარმომადგენელთა ოჯახის წევრები, რომელთაც დარბაზი გულთბილად მიეგება.

ღონისძიების მოსაწვევეში, რომელსაც ხელს აწერდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე და ეროვნული მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე, აღნიშნული იყო: „გილოცავთ 9 აპრილს - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს და გინვეთ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად სადღესასწაულო შეკრებაზე ამ დიდი ისტორიული, პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენის

აღსანიშნავად“. როგორც ამ მოსაწვევის ტექსტში, ისე მთელ ღონისძიებაზე, გამომსვლელთა სიტყვებში აქცენტი გაკეთებული იყო იმაზე, რომ 9 აპრილის თარიღი საქართველოს მოსახლეობისათვის, უპირველეს ყოვლისა, ზეიმია – სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებული ზეიმი და არა გლოვის დღე. რა თქმა უნდა, ქართველი ადამიანისათვის უკუჩვენებელ ქრილობად იქცა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, მაგრამ 1991 წლის 9 აპრილმა სამშობლოსთვის წამებულთა სულებიც ეროვნული დღესასწაულის თანამონაწილედ აქცია, ანუ სიკეთემ გაიმარჯვა ბოროტებაზე, სინათლემ სძლია ბნელს, სამართლიანობამ-უსამართლობას და ეს ყველაფერი ზედმინევენით ზუსტად ჩამოაყალიბა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებისას განაცხადა უზენაესი საბჭოს სესიაზე:

„სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა სა-

ქართველოს ბედი, 9 აპრილს წამებულთა სულები დაგვეცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გვფარავდეს ღმერთი!“

9 აპრილის დიდებულებაზე, დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიულ მნიშვნელობაზე, თავდადებულ მამულიშვილთა უკვდავებაზე, ეროვნული მოძრაობის დღევანდელი ეტაპის სიძნელეებსა და ამოცანებზე ილაპარაკეს ღონისძიებაზე გამოსულმა ეროვნული მოძრაობისა და ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებმა რობერტ პეტრიაშვილმა, ეთერ მგალობლიშვილმა, რომეო კუჭუხიძემ, დიმიტრი ქებურიამ, პოეტმა თინათინ მღვდლიაშვილმა, გია თავზარაშვილმა, გია ბახტაძემ და სხვებმა. ეროვნული მოძრაობის პრობლემებს, ქვეყანაში კანონიერების აღდგენის, ეროვნულ ძალთა გაერთიანებისა და სამომავლო ამოცანებთან დაკავშირებულ საკითხებს დაუთმო თავისი გამოსვლა ბატონმა გურამ აბსანძემ, რომელმაც შეხვედრის მონაწილეთა შეკითხვებსაც გასცა ამომწურავი პასუხი.

მთავარი სწორედ იმ ძალების ერთიანობაა, რომლებიც პუტჩის მემკვიდრეობის დაძლევისა და ეროვნული ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენისათვის იბრძვიან, მაგრამ ეს ბრძოლა არ არის ეფექტური სწორედ დაქსაქსულობისა და ერთმანეთისაგან განდგომის გამო. ბუნებრივია, ამ სამი ათეული წლის განმავლო-

ბაში ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ეროვნული განვითარების მტრებმა მოახერხეს ეროვნულ ძალთა გათიშვა; უკვალოდ არ ჩაუვლია არნახულ დევნასა და რეპრესიებს, რამაც უამრავი მამულიშვილი შეინირა, დღეს კი იმდროინდელ სისასტიკეს აგრძელებენ ხელისუფლებაში მოსული თუ ხელისუფლებასთან დაახლოებული პუტჩისტურ-ოლიგარქიული კლანები, მათ მიერ დაქირავებული, ფულზე გაყიდული ე.წ. სამეცნიერო-საგანმანათლებლო ინტელიგენცია, რომლებიც ხელაღებით ამახინჯებენ საქართველოს უახლეს ისტორიას, ეროვნული ხელისუფლების, ეროვნული მოძრაობის მიღწევებს.

ამ პრობლემათა, ეროვნულ ძალთა ასეთი დაქსაქსულობის ფონზე გამართული ეს ღონისძიება იმის იმედს გვისახავს, რომ ქართველი ერი, საქართველოს მოსახლეობა იპოვის თავი თავში ძალას და, ბოლოს და ბოლოს, ქართულ სახელმწიფოს განვითარების იმ ერთადერთ სწორ გზაზე გაიყვანს, რომელიც ქვეყანას მოუხსნის ყველა სამართლებრივ, ზნეობრივ თუ ეკონომიკურ პრობლემას, რომლის გადასაწყვეტად არცერთი პუტჩისტური ხელისუფლება არაა მზად თავიანთი ანტიეროვნული ბუნების გამო. ამას ადასტურებს ჩვენი ქვეყნის მთელი პუტჩის შემდგომი, 30-წლიანი ისტორია!

ქვეყნის ხსნა მხოლოდ კანონიერების აღდგენაში, 9 აპრილის იდეების გამარჯვებაშია!

რედაქცია



ჯემალ შონია

9 აპრილით გაცოცხლებული 26 მაისი!

საქართველოს დამოუკიდებლობას მისი გამოცხადების დღიდან, 1918 წლის 26 მაისიდან დღემდე, ისტორიამ უამრავი განსაცდელი არგუნა. შესაბამისად, ქართველ ხალხს, მის მოწინავე შვილებს არნახული ბრძოლებისა და თავგანწირვის გადატანა მოუხდათ ჩვენი სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად და დასაცავად. იმ 26 მაისიდან დღემდე, 2023 წლის 26 მაისამდე, არათუ ყოველი წელი და ყოველი თვე, არამედ ყოველი დღე და საათი აღსავსეა ქართველ მამულიშვილთა დაუღლელი, დაუცხრომელი, შეუწყვეტელი, შეუწინებელი ბრძოლითა და გარჯით, საქმით, სიტყვით, ფიქრით და დაუოკებელი იმედიტა მაშინაც კი, როდესაც გგონია, რომ ყოველნაირი იმედი მოგიკლეს, ფეხქვეშ გაგიტეღეს, გაგიხმეს, მოგიტიბეს, დაგიხრჩვეს... ეს იმედი და გამარჯვების რწმენა ქართულ სულში ყო-

ძალა ვერასოდეს მოუგებს ვერანაირ ომს.

მას შემდეგ, რაც რუსეთის ვერაგმა, დაუნდობელმა იმპერიამ დაუძღურებული სამშობლოს გადასარჩენად ჩრდილოელ, თან ვითომ ერთმორწმუნე მეზობელთან დაახლოებისა და თანადგომის მოსურნე ქართველთა იმედებს ცივი წყალი გადაასხა და ყველანაირი ნდობა მონობისა და დამცირების საფასურად უქცია, ქართველი ადამიანი, მისი ცნობიერება და აზროვნება ყოველთვის ეძებდა ხსნის გზას, იმ ურთულეს, ვიწრო და ეკლიან ბილიკს, რომელიც დამპყრობლის ბასრი ბრჭყალებიდან გაგვათავისუფლებდა.

ამისთვის იბრძოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი თანამოაზრეები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამბოხებული პატრიოტები, მე-19 საუკუნის 30-იანი წლების შეთქმულები, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავ-



ველთვის არსებობდა, სუნთქავდა და ძალას იკრებდა, ენთო ნკვარამშიც, ფესვს იდგამდა ხრიოკ მინაზეც, ის არასოდეს კვდებოდა, რადგან მას მუდამ კვებავდა ღმერთი და სამართალი, რომელთაც ვერანაირი ბოროტი

ჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, სხვა ეროვნული მოღვაწეები თუ ის „უსახელო უფლისციხელები“, რომლებიც, საბედნიეროდ, არა მხოლოდ გურამ რჩეულიშვილის მოთხრობაში, არა-

მედ საქართველოს ყოველ კუთხე-კუნჭულში მრავლად გვხვდებოდნენ.

...და აი, ხელსაყრელი დრო და ვითარება შეიქმნა გასული საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს, როდესაც რუსეთის იმპერია რევოლუციების ტალღამ შეძრა, რომანოვების ტახტს ძირი გამოაცალა, იმპერია დაასუსტა და მის მიერ დატყვევებულ თავისუფლებისმოყვარე ერებზე კონტროლი დააკარგვინა.

აქ თავიდანვე აღვნიშნავ, რომ მსგავსი სიტუაცია ახლაც, XXI საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც იმედის თვალთ ვუყურებთ უკრაინელი ხალხის გმირულ ბრძოლას სისხლიანი, გაუმაძღარი პუტინისტური რუსეთის წინააღმდეგ და სულმოუთქმელად ველოდებით ამ სასტიკ ომში უკრაინისა და მისი სახით მთელი დემოკრატიული, პროგრესული სამყაროს გამარჯვებას, რადგან ჩვენი უპირველესი მტრის, ოკუპანტისა და აგრესორის – რუსეთის დაუძღურება, დანგრევა და მოშლა მოგვცემს წართმეული მიწების დაბრუნების, შვებით ამოსუნთქვის საშუალებას. ამგვარი პარალელები კიდევ ბევრია, როდესაც ვლაპარაკობთ 1918 წლის 26 მაისსა და 1991 წლის 9 აპრილზე და მათ ამ წერილში აუცილებლად აღვნიშნავთ. დავუბრუნდეთ იმ ხელსაყრელ მომენტს, რომელიც 1918 წლის 26 მაისის წინაპირობად იქცა. ერთი რამ ფაქტია: საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ქართული სახელმწიფოს აღორძინება პირდაპირ კავშირშია დამპყრობელი ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ მარცხთან, რომლის დროსაც შესაძლებელია კოლონიური უღლიდან თავის გამოხსნა.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების, ე.წ. პროლეტარული რევოლუციის შემდეგ რუსეთის იმპერიამ კონტროლი დაკარგა მთელ ამიერკავკასიაზე. მიუხედავად ამისა, მაინც არ ილეოდნენ ჩვენი თავისუფლების მტრები; ამ მხრივ არავითარი სხვაობა არ არსებობდა ჩრდილოეთ კავკასიაში მოთარეშე დენიკინის თეთრგვარდიელებსა და იმ ნითელ არმიას შორის, რომელიც ქვას ქვაზე არ ტოვებდა ნებისმიერ კუთხეში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად და რომელსაც უამრავი აგენტი და თანამზრახველი, ანუ ქვეყნის თავისუფლების მტერი და გამყიდველი საქართველოშიც ჰყავდა.

ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე, დროებითი მთავრობის ხელისუფლების დროს, 1917 წლის აპრილში თბილისში შეიქმნა ეროვნული ხელისუფლების თავდაპირველი ჩანა-

სახი – საქართველოს ინტერპარტიული საბჭო; ამ დროს რუსეთის დროებითი მთავრობა ცდილობდა ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის: აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ერთობლივად მართვის შენარჩუნებას, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის, ე.წ. „ოზაკომის“ მეშვეობით, რომლის ფუნქცია იმავე წელს გადაიბარა ამიერკავკასიის კომისარიატმა. ამ დროს სულ უფრო საშიში და ინტენსიური ხდებოდა სამხედრო აგრესია და ქართული მიწების მიტაცების მცდელობები როგორც რუსეთის, ასევე თურქეთის მხრიდან; ეს ორი აგრესორი ერთმანეთს იყენებდნენ ბედის ანაბარად მიგდებული ქართული ტერიტორიების წასაგლეჯად. რუსეთისა და თურქეთის აგრესიის საპასუხოდ და იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანას იურიდიულ-სამართლებრივი, საერთაშორისოდ აღიარებული პატრონი და ჭირისუფალი ჰყოლოდა, 1917 წლის 19 ნოემბერს გაიხსნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელმაც 22 ნოემბერს აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის აღმასრულებელი კომიტეტი ოფიციალურად შეუდგა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის მზადებას.

მანამდე, 1918 წლის თებერვალში მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის სეიმი, იმავე წლის 22 აპრილს კი გამოცხადდა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა. მასში შემავალი ერები: ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები თითქოს ერთი მიზნისათვის, დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, მაგრამ ამ ბრძოლის გზები თითოეული მათგანისთვის სხვადასხვაგვარი იყო; საქართველოსა და სომხეთისათვის აგრესორი თურქეთი აზერბაიჯანის უპირველესი მოკავშირე იყო, არც საქართველოსა და სომხეთის საერთაშორისო კავშირები და დასაყრდენი იყო იდენტური და ამიერკავკასიის ფედერაციამაც სულ მალე მოჭამა თავისი დრო, ანუ დღის წესრიგში დადგა აუცილებლობა იმისა, რომ ქართველ ხალხს საკუთარი, ქართული სახელმწიფოებრიობისათვის უნდა ეზრუნა.

ეს უამიც დადგა 1918 წლის 26 მაისს!

ამ დღეს თბილისში თავისი უკანასკნელი სხდომა ჩაატარა ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც დაშლილად გამოაცხადა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა; იმავე დღესა და იმავე დარბაზში, ამიერკავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ შენობაში, გაიმართა საქართველოს ეროვნული

საბჭოს სხდომა, რომელმაც მიიღო და დაამტკიცა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. ამ აქტს ხელს აწერს ეროვნული საბჭოს 88 დეპუტატი.

1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კონსტიტუციური ხასიათის დოკუმენტი 1921 წლის კონსტიტუციის მიღებამდე; მასში მოკლედ არის გადმოცემული საქართველოს სახელმწიფოს განვითარების ისტორიული პერსპექტივები და ქართველი ერის უზენაესი სურვილი, თავად გადაწყვიტოს თავისი მომავალი ბედ-იღბალი; ამ აქტს დეკლარაციული ხასიათის გარდა გააჩნდა ნორმატიული ხასიათი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბუნება, ქვეყნის ძირითადი კანონის მიღებამდე იგი წარმოადგენდა იმდროინდელი სამართლებრივი მდგომარეობის პირველწყაროს და განსაზღვრავდა სახელმწიფოს სამართლებრივ სტატუსს, იურისდიქციის ფარგლებსა და მოცულობას, პოლიტიკური წყობის ფორმას, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ 1918 წლის 26 მაისს მიღებულ დამოუკიდებლობის აქტს მყარი სამართლებრივი სტატუსი შემატა საყოველთაო არჩევნებით არჩეულმა წარმომადგენლობითმა ორგანომ – საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, რომელმაც 1919 წლის 12 მარტს, თავის პირველივე სხდომაზე დაამტკიცა აღნიშნული აქტი. დამფუძნებელი კრების აღნიშნული სხდომის დადგენილებაში ნათქვამია: „საქართველოს დამფუძნებელი კრება, არჩეული პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წლის მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს, საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 სთ. და 10 წ.-ზე თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს“... იქვე მოყვანილია აქტის მთლიანი ტექსტი.

თითქმის ყველამ ვიცით, თუ რამდენი სიკეთე მოუტანა ქართველ ხალხს 1918-1921 წლების თავისუფლებამ. დაიგულა რა თავი საკუთარი თავის ბატონ-პატრონად, ქართულმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ უდიდესი ნაბიჯები გადადგა დემოკრატიული რეფორმების, ეკონომიკისა და კულტურის სფერო-

ებში. როდესაც პარალელებზე ვსაუბრობთ, ჩვენ ყველას თვალწინ გვიდგას 1991 წლის 9 აპრილი – სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, რომელიც მთელ ქვეყანაში არნახულ საყოველთაო ზეიმად იქცა. ასეთივე დღე ყოფილა 1918 წლის 26 მაისი, როდესაც მთელმა თბილისმა თავი მოიყარა იმ შენობის წინ, სადაც დამოუკიდებლობის აქტი იქნა მიღებული. იმ დღეს დამოუკიდებლობის აქტი ეროვნული საბჭოს სხდომას წარუდგინა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ, რომელმაც ბოლოს აღნიშნა: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა!“ სხდომამ აირჩია პარლამენტის პრეზიდიუმი: კარლო ჩხეიძე – თავმჯდომარე და მისი მოადგილეები; არჩეულ იქნა მთავრობა: ნოე რამიშვილი (თავმჯდომარე) და მინისტრები: ნ.ხომერიკი, გ.გიორგაძე, გ.ლასხიშვილი, გ.ჟურული, შ.მესხიშვილი. ივ.ლორთქიფანიძე. სხდომამ საგარეო საქმეთა მინისტრად, თბილისში არყოფნის გამო, დაუსწრებლად დაამტკიცა აკაკი ჩხენკელი, რომელიც, სხვათა შორის, აფხაზეთში, ახლანდელი გალის რაიონის სოფელ ოქუშში იყო დაბადებული. სტუდენტობის დროს, ქართულ პრესაში თანამშრომლობისას, იგი ასეთ ფსევდონიმებსაც იყენებდა: „პ.ოქუშელი“, „ა.ოქუშელი“. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ აკაკი ჩხენკელი იყო დროებითი მთავრობის მიერ შექმნილი ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრი, ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარე, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, ხოლო 1918 წლის 22 აპრილიდან 26 მაისამდე – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი. ა.ჩხენკელი იყო ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი და 1918 წლის 8 თებერვალს თავმჯდომარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნას...

დავუბრუნდეთ 1918 წლის 26 მაისს, ეროვნული საბჭოს სხდომაზე დამოუკიდებლობის აქტის მიღების შემდეგ აქტის ტექსტი მეორედ წაუკითხავთ, უკვე საჯაროდ, იქვე შეკრებილი „ტფილისის ხალხისათვის“. ტექსტი შენობის აივნიდან წაუკითხავს პარლამენტის კანცელარიის მდივანს ილია ზურაბიშვილს, რასაც მოჰყოლია მოსახლეობის ზეიმი მთელ ქალაქში.

მემატანეები განსაკუთრებით აღნიშნავენ 1919 წლის 26 მაისს – დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წლისთავს. ეს ყოფილა ნამდვილად საყოველთაო-სახალხო ზეიმი მთელი საქართველოს მასშტაბით, რომელშიც თურმე ბოლშევიკებიც მონაწილეობდნენ.

დამოუკიდებლობის მტრებს კი არ ეძინათ. მათ „თავისუფლებისმოყვარე“ ბოლშევიკებიც შეიამხანაგეს და სწორედ მათი ხელით სამიოდე წელიწადში ბოლო მოუდეს ქვეყნის დამოუკიდებელ სვლასა და განვითარებას. იმდროინდელი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე ანდრონიკაშვილი აღნიშნავდა: „ყველა ამ კონტრ-რევოლუციურ ელემენტებს მძიმე ტვირთად მიაჩნიათ ჩვენი დამოუკიდებლობა და მარტო ოცნებობენ იმ დღეს, როდესაც გამოჩნდება რომელიმე გარეშე ტლანქი ძალა, რომელიც ერთი დაკვრით გააუქმებს საქართველოს დამოუკიდებლობას და მით ოცნებებს აქცევს სინამდვილედ.“

როგორ ჰგავს 1921 წლის თებერვალში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესია 1991-92 წლების დეკემბერ-იანვარში განვითარებულ მოვლენებს! პუტჩიც ხომ რუსეთის იმპერიამ მოახდინა იმ მოლაღატე ქართველების ხელით, რომლებსაც თავისუფლების ხარჯზე, დამოუკიდებლობის სანაცვლოდ პირადი კეთილდღეობის მოპოვება, სახელმწიფოსა და ხალხის ქონების მიტაცება და ქვეყნის ძარცვით თავიანთი ოჯახებისა და კლანების გაძიდება სურდათ და ამას მიაღწიეს კიდევ: 30 წელიწადია, რაც საქართველო პუტჩისტურ-შევიარდნადისტული კლანების საჯიჯგნად არის ქცეული, რომლებიც ფსევდონაციონალური, ფსევდოლიბერალური, ფსევდოპატრიოტული ლოზუნგებითა და შერყვნილი იდეებით დღემდე თვალში ნაცარს აყრიან დათრგუნულ, კონფორმისტად ქცეულ ქართულ საზოგადოებას.

ერთი რამ კი ფაქტია: პუტჩისტურმა, ანტისახელმწიფოებრივმა ძალებმა ვერაფერი მოუხერხეს 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს, ვერ შეძლეს მისი ანულირება; პირიქით, უკანონო ხელისუფლება, რაკი სხვა გზა არ ჰქონდა, ვერ გაბედა ეროვნული ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის ერთობლივი მონაპოვრის – იურიდიულად, სამართლებრივად, საერთაშორისო სამართლის ყოველნაირი სტანდარტის მიხედვით სრულყოფილი 9 აპრილის აქტის ხელყოფა, რაც მთელი დემოკრატიული სამყაროს თვალში ხაზს უსვამს ახალი ქართული

სახელმწიფოს შემქმნელის, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და ეროვნული ხელისუფლების უზადო პოლიტიკურ გათვლებსა და დამოუკიდებლობის იურიდიულ-სამართლებრივი საფუძვლების სიმყარეს, საქართველოს დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს, რადგან **ეს დამოუკიდებლობა, უბრალოდ, საბჭოთა კავშირის დაშლით კი არ არის მოპოვებული, არამედ ქართველი ხალხის ბრძოლისა და თავდადების შეუვალე, უზადო იურიდიული გარანტიების უზრუნველყოფით.**

1991 წლის 9 აპრილს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს გააჩნია ორი უმყარესი საფუძველი: იმავე წლის 31 მარტის საერთო-სახალხო რეფერენდუმი და 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი. აღნიშნულ აქტში ვკითხულობთ:

„1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე“.

1991 წლის 9 აპრილმა ასე დაუბრუნა სიცოცხლე 1918 წლის 26 მაისს, რომ არა 9 აპრილი, 26 მაისი დარჩებოდა მხოლოდ და მხოლოდ ისტორიულ თარიღად, მომხდარ და არა მოქმედ ცოცხალ ფაქტად. ამით, როგორც ისტორიკოსი ნ.თოფურიძე წერს, „1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკამ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან იდენტურობისა და მისი კონსტიტუციის საფუძველზე, აღიდგინა საერთაშორისო სამართალსუბიექტობა და მასთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობა არ არის განპირობებული საბჭოთა კავშირის გაყოფით. იგი განხორციელებულია ხალხის თვითგამორკვევისა (1918-1921) და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უფლების რეალიზების შედეგად (1990-1991 წლები). საქართველოს რესპუბლიკა ფლობს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ყველა თვისებას, წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იდენტურ და გამგრძელებელ სახელმწიფოს, სრულად პა-

სუხოხს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის საერთაშორისო სტანდარტებს“.

1918 წლის 26 მაისისა და 1991 წლის 9 აპრილის სამართლებრივი მემკვიდრეობის დაფიქსირება 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში იურიდიულად აფორმებს იმ ფაქტს, რომ ჩვენი ქვეყანა 1921 წლის თებერვლიდან მთელი 70 წლის განმავლობაში იყო ოკუპირებული და ანექსირებული.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მიუხედავად იმისა, რომ პუტჩისტური ხელისუფლების მიერ მიღებულ კონსტიტუციაშიც 1991 წლის 9 აპრილი აღიარებული და დაფიქსირებულია, როგორც თანამედროვე ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენულობის საფუძველი, მას მტერიც უამრავი ჰყავს იმ ბანაკიდან, რომლიდანაც ყოველმხრივ ცდილობენ ეროვნული ხელისუფლების, ქართველი ხალხის ისტორიული მონაპოვრების ძაგებას, დამცირებასა და დამახინჯებას. ამას აკეთებენ პუტჩისტური, ანტისახელმწიფოებრივი ძალები და მათი დაქირავებული ე.წ. ისტორიკოსები, სინამდვილეში ისტორიკოსის მანტიას შეფარებული პუტჩისტური, ანტიქართული იდეოლოგიის პროპაგანდისტები, არა მემატია-ნეები, არამედ მეზღაპრეები, რომლებიც, თავიანთი მფარველებით გათამამებულნი, ხელაღებით ამახინჯებენ, ბინძური კალმით სვრიან ქართველი ერის წმიდათანმიდა მონაპოვრებს. თანაც ნიშანდობლივია, რომ ეს ცბიერი „მეცნიერები“ ამას აკეთებენ 26 მაისისა და 9 აპრილის დაპირისპირებით, თვალს ხუჭავენ რა იმ სამართლებრივ კავშირებზე, რაც არსებობს ამ ორ თარიღს შორის და რაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ მხრივ შეგნებულად სცოდავს ყველა პოსტპუტჩისტური ხელისუფლება, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ 26 მაისს აცხადებენ, 9 აპრილს კი „ეროვნული ერთიანობის დღედ“ მოიხსენიებენ და აქცენტი გადააქვთ ტრაგედიასა და გლოვაზე – 1989 წლის 9 აპრილზე და არა გამარჯვებასა და ზეიმზე – 1991 წლის 9 აპრილზე.

ამ მახინჯ მიდგომასა და ტენდენციურობას მთელი წიგნი მიუძღვნა ისტორიკოსმა მურმან ზაქარაიამ – „სახელმწიფოსა და დემოკრატიის საკითხისადმი დისპარატულ მიდგომაზე“. მასში საფუძვლიანად არის გაანალიზებული 26 მაისისა და 9 აპრილის ისტორიული მნიშვნელობა და ადგილი საქართველოს უახლეს ისტორიაში; აქვე ავტორი ამხელს და აკრიტიკებს ზემოთ ხსენებულ პუტჩისტურად მო-

აზროვნე, ტენდენციურ ისტორიკოსებს, რომლებსაც დღემდე ჰყავთ საიმედო მფარველები და პატრონები ფინანსურ-ოლიგარქიულ წრეებშიც და ხელისუფლებაშიც. მ.ზაქარაია ერთგან წერს: „მიუხედავად იმ უდიდესი ისტორიული ღირებულებისა, 26 მაისის ფუძემდებლურ აქტს რომ ჰქონდა, და იმ პოლიტიკურ-სამართლებრივი დატვირთვისა, რომელიც მან 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტის საფუძველზე შეიძინა, მისადმი დამოკიდებულება ისევე, როგორც საუკუნის წინ, არაერთგვაროვანია და ამოვარდნილია სახელმწიფოებრივი აზროვნების კალაპოტიდან. ერთი მხრივ, ხდება მისი ადგილისა და როლის გაზვიადება და გაუკუღმართება მმართველი პოსტპუტჩისტური სოციუმის მხრიდან, გაუკუღმართება იმდენად, რამდენადაც ხდება მისი უმთავრესი, განმათავისუფლებელი მისიის სრული იგნორირება. მეორე მხრივ, ხდება მისთვის არადადამახასიათებელი ფუნქციის მიკუთვნება, თანამედროვე სახელმწიფოებრიობის ფორმირებაში მისი მონაწილეობის როლის ხელოვნურად გაზრდა, რათა დააკნინონ 9 აპრილის აქტის მნიშვნელობა“.

მ.ზაქარაია სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ყოველივე ეს შედეგია ნომენკლატურულ-კრიმინალური გადატრიალებისა და პუტჩისტური ალიანსის შედეგად ფორმირებული სოციუმის საქმიანობისა“. ავტორის თქმით, ეს სოციუმი სისხლხორცეულადაა დაინტერესებული, მინასთან გაასწოროს 1991 წლის 9 აპრილის მონაპოვარი; ეს სოციუმი წარმოადგენს საბჭოური პარტოკრატიის, წითელი ინტელიგენციისა და კრიმინალ-მაფიოზთა ჰიბრიდს, იგი დღემდე მართავს ქვეყანას და მისი ხელით „იძარცვება საქართველო, იდევენება ეროვნული მოძრაობა, გრძელდება ქართველთა გენოციდი“.

სრულიად მისაღებია მ.ზაქარაიას მსჯელობა იმის შესახებ, რომ 1918 წლის 26 მაისის აქტის უმთავრესი ღირებულებაა ხალხისთვის ღვთით მინიჭებული განმათავისუფლებელი მისიის აღსრულება, ამიტომ 26 მაისი არის საქართველოს რუსული შოვინისტური იმპერიის 117-წლიანი მონობის უღლისგან განთავისუფლების გამოცხადების დღე, 1991 წლის 9 აპრილი კი წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების დღესასწაულს, ანუ საქართველოს უმთავრეს ნაციონალურ დღესასწაულს.

26 მაისისა და 9 აპრილის ურთიერთმიმართების გამრუდებულად წარმოჩენის საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს 2012 წელს გამოცემული წიგნი „საქართველოს ისტორია – უძველესი დროიდან 2009 წლამდე“, რომლის ავტორები არიან პუტჩისტური იდეოლოგიის მსახური ისტორიკოსები დ.მუსხელიშვილი, მ.სამსონაძე და ა.დაუშვილი. ჩვენი მხრივ დავუმატებთ, რომ მსგავსი დამახინჯებული მიდგომა დაფიქსირებული 2016 წელს გამოცემულ 700-გვერდიან გამოცემაში – „ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპები და თავისებურებანი უხსოვარი დროიდან დღემდე“, რომლის ავტორები არიან დ.მუსხელიშვილი, გ.ჭეიშვილი და ა.დაუშვილი. ორივე გამოცემის იმ ნაწილის ავტორობა, რომელიც საქართველოს უახლეს ისტორიას ეხება, ეკუთვნის ქართველ ისტორიკოსთა წრეში საძრახისი ხრიკებით შემოპარულ ვინმე ალექსანდრე დაუშვილს, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია ალიკ არუცევი. ეს არის ყოვლად უცოდინარი, სრულიად არაკომპეტენტური და ამასთან ყოვლად ნაძირალა და არამზადა, გაქნილი და საქმოსანი ვითომ მეცნიერი, რომელიც პუტჩისტური კლანების, მათ შორის შევარდნაძის ოჯახის კუთვნილი „მაგთის“ ფულზე დაგეშილი და ყველაფერს კადრულობს, ყოველნაირ უზნეობასა და სისაძაგლეს სჩადის შევარდნაძის, პუტჩისტებისა და ფსევდოეროვნული ძალების დანაშაულებრივ ქმედებათა ვითომ გასამართლებლად და ზვიად გამსახურდიას, ეროვნული ხელისუფლებისა და ქვემარტივი ეროვნული მოძრაობის სახელის გასატყეხად და მათი ნებისმიერი მამულიშვილური საქმის ცილისმწამებლურ ლაფსა და ტალახში ამოსასვრელად.

რადგან ჩვენ ამჟამად 26 მაისისა და 9 აპრილის ისტორიულ-პოლიტიკურ მნიშვნელობათა ურთიერთმიმართებას ვეხებით, საჭიროდ მიგვაჩნია, გავახმოვანოთ, თუ რას ჯღაბნის და რაოდენ სითავხედმდე მიდის ეს „ისტორიკოსად“ მოვლენილი ჰალსტუხიანი ნაძირალა, თუმცა მანამდე მისი ბინძური წარმოდგენებისა და შერყვნილი სულისკვეთების უკეთ წარმოსაჩენად მოვიყვანთ მის „დიდებულ“ შეფასებებს 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შესახებ; ზემოთ დასახელებული წიგნებიდან მეორეში იგი წერს (სტილი ყველგან დაცულია): „ამ ეტაპზე სრულად ამოქმედდა „უტოპიური ნაციონალიზმის“ იდეოლოგია, რაც უკვე პოლიტიკურ პრაქტიკაში გადავიდა. ამ პერიოდში მიტინგზე წამოსროლილი

ეს ლოზუნგები ილუზორულნი და განუხორციელებელი, ანუ „უტოპიური“ იყვნენ. აქედან გამომდინარე მავნეც კი, რადგან მათ შეიტანეს დეზინტეგრაცია საერთო ვითარებაში და მდგომარეობა უმართავი გახადეს. სწორედ ეს იყო პირველი შედეგი ქართველ ინტელიგენციის ნაწილში გავრცელებული იმ იდეოლოგიური დოგმისა, რომელსაც „ქართველი ერის სულიერი მისსია“ ერქვა და ის უკვე თავის მავნე შედეგებს ავლენდა... 9 აპრილმა უაღრესად მძიმე შედეგები მოუტანა საქართველოს – მოხდა ქართულ-რუსული დიდი დაპირისპირება, დაიღვარა სისხლი ამ ორ მართლმადიდებელ ერს შორის, რუსები საბოლოოდ აშკარად გადაბარგდნენ ქართველების მონინალმდეგეთა ბანაკში და უკვე აშკარად უჭერდნენ მხარს საქართველოს წინააღმდეგ მოქმედ ყველა ანტიქართულ ძალას.“

დარწმუნებული ვარ, ჩვენი ჟურნალის მკითხველს სულაც არ გაუჭირდება არუცევ-დაუშვილის ამ ნაბოდვარის შეფასება და თვით ამ ვაი-ისტორიკოსის ცოდნისა და შეგნების დონის გაგება.

სრულ აბსურდთან გვაქვს საქმე იქ, სადაც პუტჩისტების ნასუფრალს დახარბებული ეს არსება 1991 წლის 9 აპრილზე წერს: „შევეხით 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საზეიმო ხელმოწერას, რომელიც უზენაესი საბჭოს დარბაზში ჩატარდა და 1918 წლის 26 მაისის აქტს დეპუტატებმა კიდევ ერთხელ საზეიმოდ მოაწერეს ხელი. ამას მოჰყვა დიდი პროპაგანდისტული პიარ-აქცია. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქართველ ბოლშევიკებს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი არ გაუუქმებიათ, მისი დენონსირება არ მოუხდენიათ, ამიტომ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი ძალდაკარგული დოკუმენტი არ იყო და საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშიც, იურიდიული ფორმლობის დაცვით, დამოუკიდებელი და სუვერენული იყო, რომელმაც საკავშირო სახელმწიფოს კომპეტენციაში თავისი სუვერენიტეტის ზოგიერთი ნაწილი თავისი სურვილით გადასცა“.

არა, ეს უკვე აბსურდზე მეტია! აი, თურმე სადამდე შეიძლება იუდას ძღვენმა ძირს დასცეს, ნაბილწოს და გაათახსიროს ადამიანი! სამწუხაროდ, ღვთის მგმობელთა და ფარისეველთა ოცდაათ ვერცხლს მარტო ეს არუცევ-დაუშვილი არ არის ნაზიარები. მას საკმაოდ ჰყავს მფარველი და თანამზრახველი,

რაც იმას ნიშნავს, რომ დღეს ისტორიკოსის მანტიამი ცხვრის ქურქივით კიდევ ბევრია შემძვრალი, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი წარსულის პატიოსანი, მოუსყიდველი და არატენდენციური მემკვიდრეები კი არ არიან, არამედ მტრის დაქირავებული პროპაგანდისტები, რომლებიც ისტორიისა და ისტორიკოსის სახელს იყენებენ პუტჩისტური, ანტიეროვნული, მტრული იდეოლოგიის გასატარებლად.

ქართველ ისტორიკოსთა წრეში დღეს არსებულ არაჯანსაღ ვითარებას ეხებოდა სოციალურ ქსელში 2022 წლის 26 ოქტომბერს გამოქვეყნებული ჩემი წერილი, რომლის ნაწყვეტს აქ გავაცნობთ:

„ცუდზე უცუდესი ამბები ხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში! როგორც მეუბნებიან, ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომლის პოზიციაზე ე.წ. კონკურსით გაიყვანეს სწორედ ამ ახალი და უახლესი ისტორიის გაყალბებაში განაფული, სიმართლისა და ჭეშმარიტების ამკარა მტერი, საბჭოურ წარმოდგენებში ჩადირული, ქართველი ხალხისა და ეროვნული ხელისუფლების ეპოქალურ მონაპოვართა მიზანმიმართულად შეურაცხმყოფელი და დამაკნინებელი ალექსანდრე დაუშვილი, იგივე ალექო არუცვეი.“

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ინსტიტუტში ამ ერთი არუცვეის მფარველი უფრო დიდი არუცვეები არიან, რომლებიც, ხელში ჩაიგდეს რა ეს ინსტიტუტი, არ დაგიდევნ არც სიმართლეს, არც პროფესიულ ღირსებას, თვითონ ახალისებენ სიყალბესა და უსინდისობას და თვითონვე მონაწილეობენ ჩვენი მართალი ისტორიის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში, რომლის უკან ანტიეროვნული, საბჭოურ-პუტჩისტური ფულიანი კლანები დგანან...


ინსტიტუტში შავი, რეაქციული ძალები იმარჯვებენ!“

გვეგონა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი რექტორი ბატონი ვ.სამუშია ხელს არ მოაწერდა ამ სახელგატეხილი „ისტორიკოსის“ ამ თანამდებობაზე დანიშვნას, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, რაც რექტორის, თანაც ისტორიკოსის, უპრინციპობასთან და კონფორმისტულობასთან

ერთად ანტიეროვნული ძალების გავლენასა და სიძლიერეზე მეტყველებს.

ყველაფერი ეს მოიტანა ამ 31 წლის წინათ განხორციელებულმა პუტჩმა, რომელმაც ჩვენი სახელმწიფო ააცდინა განვითარების ეროვნულ გზას. დღეს პოსტპუტჩისტურ ხელისუფალთა დეკლარაციული განცხადებები 26 მაისისა და 9 აპრილის აქტების მნიშვნელობაზე მხოლოდ ცარიელი, გაუფასურებული სიტყვებია, 26 მაისიც და 9 აპრილიც მათ თავიანთი ძალაუფლების გასამყარებლად და პირადი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად სჭირდებათ, ხოლო ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ჭეშმარიტი ეროვნული იდეა ისევ და ისევ ერის ნიაღშია შემონახული, როგორც ნაცარნაყრილი ლაღარი, საიდანაც ყოველი ქართული კერის, ქართული სულიერების გამათბობელი, მაცოცხლებელი და მასულდგმულელებელი ცეცხლი უნდა დაინთოს. 1918 წლის 26 მაისი, ქართველი ხალხის, მისი რჩეული შვილების დიადი მონაპოვარი, გააცოცხლა და ახალი შარავანდედით შემოსა 1991 წლის 9 აპრილმა, ორივე ეს მონაპოვარი კი ჩვენ, ქართველებმა, მთელმა ქართველმა ერმა, საქართველოს მთელმა მოსახლეობამ უნდა დავიცვათ, უნდა მოვუაროთ ყველაზე ძვირფასს, ყველაზე ნანატრ და უზენაეს საგანძურს – ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრიობას, მის დამოუკიდებლობას, ურომლისოდაც არავითარი აზრი არა აქვს ჩვენს არსებობას დედამიწის ზურგზე.

უფალი ფარავდეს ჩვენს ქვეყანას, თითოეულ ქართველს და ჩვენი სახელმწიფოს ხვალინდელ გზას!



იუვალ ნოახ ჰარარი

იმედგაცრეობა: ისტორიის დასასრული გადაიდო



ადამიანები ფაქტების, რიცხვების ან განტოლებების კი არა, ამბების მეშვეობით აზროვნებენ. თანაც, ამბავი რაც უფრო მარტივია, მით უკეთესი. ყველა ადამიანს, ჯგუფს ან ერს საკუთარი მითები და თქმულებები აქვს. თუმცა, მეოცე საუკუნეში გლობალურმა ელიტებმა ნიუ-იორკში, ლონდონში, ბერლინსა და მოსკოვში სამი დიდი ნარატივი შეთხზეს, რომლებითაც თითქოსდა მთელი მსოფლიოს წარსულის ახსნა და მომავლის წინასწარმეტყველება შეიძლებოდა: ფაშისტური, კომუნისტური და ლიბერალური.

ფაშისტური ნარატივი ისტორიას სხვადასხვა ერს შორის ბრძოლად მიიჩნევდა და წარმოგვისახავდა მსოფლიოს, რომელშიც ადამიანთა ერთი ჯგუფი სხვებს ძალით იმორჩილებს და ერთპიროვნულად ბატონობს. კომუნისტური ნარატივი ისტორიას სხვადასხვა კლასს შორის ბრძოლად მიიჩნევდა და წარმოგვისახავდა მსოფლიოს, რომელშიც ცენტრალიზებული სოციალური სისტემა ადამიანთა ყველა ჯგუფს აერთიანებს და, თუნდაც მათი თავისუფლების

ფასად, საყოველთაო თანასწორობას უზრუნველყოფს. ლიბერალური ნარატივი ისტორიას თავისუფლებასა და ტირანიას შორის ბრძოლად მიიჩნევდა და წარმოგვისახავდა მსოფლიოს, რომელშიც ყველა ადამიანი თავისუფლად, მშვიდობიანად თანამშრომლობს და ცენტრალიზებული კონტროლი, თუნდაც გარკვეული უთანასწორობის ფასად, უკიდურესად შეზღუდულია.

ამ სამ ნარატივს შორის კონფლიქტმა პიკს პირველად მეორე მსოფლიო ომის დროს მიაღწია, როცა ფაშისტურმა ვერსიამ მარცხი განიცადა. 1940-იანებიდან 1980-იან წლებამდე მსოფლიო ორი დარჩენილი ნარატივის - კომუნისმისა და ლიბერალიზმის - ბრძოლის ველად იქცა. მათი დაპირისპირება კომუნისმის კრახით დასრულდა; კაცობრიობის წარსულის უმთავრეს გზამკვლევადაც და მსოფლიოს მომავალს აუცილებელ სახელმძღვანელოდ ლიბერალიზმი დარჩა. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიო ელიტის წარმომადგენლებს ასე ეგონათ.

ლიბერალური ნარატივი თავისუფლების ძალასა და ფასს განადიდებს. მისი შინაარსის მიხედვით, კაცობრიობა ათასობით წლის განმავლობაში დესპოტური რეჟიმის უღელქვემცხოვრობდა, ადამიანებს პოლიტიკური უფლებები, ეკონომიკური შესაძლებლობები და პიროვნული თავისუფლებები არ გააჩნდათ, ხოლო ინდივიდების მიმოსვლა, იდეების გავრცელება და საქონლის გაცვლა-გამოცვლა ძალიან შეზღუდული იყო. თუმცა, ადამიანებმა იბრძოლეს თავისუფლების მოსაპოვებლად, რომელმაც ნელ-ნელა ფეხი მოიკიდა. სასტიკი დიქტატურები დემოკრატიულმა რეჟიმებმა ჩაანაცვლეს თავისუფალმა მენარმეობამ ეკონომიკური ბარიერები გაარღვია. ფანატიკოსი მღვდლებისა და კონსერვატიული ტრადიციების ბრმად მორჩილების მაგივრად, ხალხმა დამოუკიდებლად აზროვნება და გულისთქმის კარნახით ცხოვრება ისწავლა. კედლების, თხრილებისა და მავთულხლართების ადგილას ფართო გზატკეცილები, უზარმაზარი ხიდები და დიდი აეროპორტები

გაჩნდა. ლიბერალური ნარატივი აღიარებს, რომ მსოფლიოში ყველაფერი იდეალურად არ არის და ჯერ კიდევ ბევრი წინაღობაა დასაძლევია; ჩვენი პლანეტის უმეტეს ნაწილზე ტირანები ბატონობენ და ყველაზე ლიბერალურ ქვეყნებშიც კი ბევრი მოქალაქე სიღარიბის, ძალადობისა და ჩაგვრის მსხვერპლია. თუმცა, ის მაინც ვიცით, ამ პრობლემების დასაძლევად რა უნდა გავაკეთოთ: ხალხს მეტი თავისუფლება მივანიჭოთ; ადამიანის უფლებები დავიცვათ; არჩევნებში ხმის მიცემის ნება ყველას დავართოთ; თავისუფალი ბაზრები შევქმნათ; ინდივიდების მიმოსვლა, იდეების გავრცელება და მსოფლიოში საქონლის გაცვლა-გამოცვლა რაც შეიძლება მეტად გავაიოლოთ. ამ ლიბერალური პანაცეის თანახმად, - რომელსაც, ოდნავი სახესხვაობებით, ჯორჯ უ. ბუში და ბარაკ ობამა ერთნაირად აღიარებდნენ, - თუ ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების ლიბერალიზაციასა და გლობალიზაციას გავაგრძელებთ, საბოლოოდ, ყველას მშვიდობითა და კეთილდღეობით უზრუნველვყოფთ.

ქვეყნები, რომლებიც პროგრესის უწყვეტ მარშს შეუერთდებიან, მშვიდობითა და კეთილდღეობით უფრო მალე დაჯილდოვდებიან. ქვეყნები, რომლებიც გარდაუვალს შეენიანა-აღმდეგებიან, უარყოფით შედეგებს საკუთარ თავზე იწვევენ, სანამ სინათლეს არ დაინახავენ, საზღვრებს არ გახსნიან და თავიანთი საზოგადოებების, პოლიტიკისა და ბაზრების ლიბერალიზაციას არ შეუდგებიან. შეიძლება, ამას დრო დასჭირდეს, მაგრამ, საბოლოოდ, ჩრდილოეთ კორეა, ერაყი და სალვადორიც კი დანიას ან აიოვას შტატს დაემსგავსებიან. 1990-2000-იან წლებში ეს ნარატივი გლობალურ მანტრად იქცა. ისტორიის ულმოებელ მარშში ჩასაბმელად ბევრი სახელმწიფოს მთავრობამ - ბრაზილით დაწყებული, ინდოეთით დამთავრებული - ლიბერალური რეცეპტების გამოყენება დაიწყო. ვინც ეს არ გააკეთა, მათ ისე აფასებდნენ, როგორც წარსულის გადმონაშთებს. 1997 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა თავდაჯერებულად დაგმო ჩინეთის მთავრობა იმის გამო, რომ ის ქვეყნის პოლიტიკის ლიბერალიზაციაზე უარს ამბობდა და „ისტორიის არასწორ მხარეს“ იდგა.

თუმცა, 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ ლიბერალური ნარატივისადმი იმედგაცრუებამ მსოფლიოს ყველა კუთხეში იმატა. კედლებისა და წინააღმდეგობის „მოდა“ უკან დაბრუნდა. იმიგრაციასა და სავაჭრო შეთანხმებებს უფრო და უფრო მეტი ადამიანი ეწინააღმდეგება. თითქოსდა დემოკრატიული მთავრობები სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას ძირს უთხრიან, პრესის თავისუფლებას ზღუდავენ და ნებისმიერ ოპოზიციურ ძალას მოლაღატედ რაცხავენ. თურქეთისა და რუსეთის მსგავს ქვეყნებში ავტორიტარი მმართველები, თავიანთი ახალი ტიპის არალიბერალური დემოკრატიებითა და აშკარა დიქტატორობით, ექსპერიმენტებს ატარებენ. დღეს ბევრი ვეღარ იტყვის თავდაჯერებით იმას, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტია ისტორიის არასწორ მხარეს დგას.

2016 წელს (რომელიც აღსანიშნავია იმით, რომ ბრიტანეთში ბრექსიტის თაობაზე კენჭისყრა გაიმართა, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში დონალდ ტრამპი აღზევდა) იმედგაცრუების დიდმა ტალღამ დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის წამყვან ლიბერალურ სახელმწიფოებამდე მიაღწია. სულ რამდენიმე წლით ადრე ამერიკელები და ევროპელები ჯერ კიდევ ერაყისა და სირიის ლიბერალიზაციას ცდილობდნენ იარაღის ძალით, მაგრამ ამასობაში, კენტუკისა და იორკშირში ლიბერალური თვალსაზრისით ბევრისთვის არასასურველ ან განუხორციელებელ მიზნად იქცა. ზოგმა აღმოაჩინა, რომ ძველი იერარქიული სამყარო მოსწონს და რასობრივი, ეროვნული თუ გენდერული პრივილეგიების დათმობა არ სურს. სხვებმა დაასკვნეს (სწორად თუ მცდარად), რომ ლიბერალიზაცია და გლობალიზაცია დიდი თაღლითობაა, რომელიც მასების ხარჯზე მცირერიცხოვან ელიტას აძლიერებს.

1938 წელს ადამიანებს სამ გლობალურ ნარატივს სთავაზობდნენ, 1968 წელს - უკვე მხოლოდ ორს, 1998 წელს ყველას ეგონა, რომ ერთადერთმა ნარატივმა იმარჯვა; 2018 წელს კი არჩევანი საერთოდ აღარ გვაქვს. რასაკვირველია, ლიბერალური ელიტები, რომლებიც ბოლო ათწლეულების განმავლობაში თითქმის მთელ მსოფლიოში დომინირებდნენ, თავ-

ზარდაცემულნი და დაბნეულნი არიან. ერთი ნარატივის გაზიარება მათთვის ძალზე ხელსაყრელია, რადგან ასეთ შემთხვევაში ყველაფერი სრულიად ცხადია. უეცრად ნარატივის გარეშე დარჩენა კი შემადრწუნებელია. ამ დროს ყველაფერი გაუგებარი ხდება. დღევანდელი ლიბერალები ცოცხათი 1980-იანი წლების საბჭოთა ელიტას ჰგვანან - ისინი ვერ ხვდებიან, ისტორიამ წინასწარ განსაზღვრული კურსიდან როგორ გადაუხვია, და აღარც ალტერნატიული პრიზმა გააჩნიათ, რომლიდანაც რეალობას შეაფასებდნენ. დაბნეულობა მათ აპოკალიფსური კატეგორიებით მსჯელობას აიძულებს; თითქოსდა იმის გამო, რომ ისტორია ელიტების მიერ წარმოდგენილ ბედნიერ დასასრულამდე არ მივიდა, ის ახლა არმაგედონისაკენ მიექანება. გონება რეალური ვითარების გააზრებას ვერ ახერხებს. ამიტომ კატასტროფული სცენარების შეთხზვას იწყებს. იმ ადამიანის მსგავსად, რომელსაც თავის ტკივილი ტვინის უკურნებელი სიმსივნის სიმპტომი ჰგონია, ბევრი ლიბერალი შიშობს, რომ ბრექსიტი და დონალდ ტრამპის აღზევება კაცობრიობის ცივილიზაციის დასასრულის მომასწავებელია.

* * *

დაბნეულობისა და აღსასრულის მოახლოების შეგრძნებას ტექნოლოგიური რღვევის სწრაფი ტემპი ამწვავებს. ლიბერალური პოლიტიკური სისტემა ინდუსტრიულ ეპოქაში ჩამოყალიბდა ორთქლის ძრავების, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებისა და ტელევიზორების სამყაროს სამართავად. ინფორმაციულ და ბიოლოგიურ ტექნოლოგიებში მიმდინარე გაუთავებელ რევოლუციებთან გამკლავება მას ძალიან უჭირს.

პოლიტიკოსებიც და ამომრჩევლებიც ახალ ტექნოლოგიებში გარკვევას ძლივძლივობით

ახერხებენ, აღარაფერს ვამბობ მათი დამანგრეველი პოტენციალის რეგულირებაზე. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, მსოფლიო ყველა სხვა ფაქტორზე მეტად ინტერნეტმა შეცვალა, მაგრამ ინტერნეტის რევოლუციას სათავეში პოლიტიკური პარტიები კი არა, ინჟინერ-პროგრამისტები ედგნენ. განა ინტერნეტისთვის ოდესმე ვინმეს ხმა მიუცია? დემოკრატიულ სისტემას ჯერაც ვერ გაუგია, თავს რა დაატყდა და არც ხელოვნური ინტელექტის აღზევების, ბლოკჩეინის რევოლუციის ან მომდევნო, სხვა ასეთივე დარტყმებისთვის სათანადოდ აღჭურვილი არ არის.

კომპიუტერიზაციის გამო ფინანსური სისტემა დღეს უკვე იმდენად გართულებულია, მასში ბევრი ჩვენგანი ვერ ერკვევა. ხელოვნური ინტელექტის გაუმჯობესების კვალდაკვალ, შესაძლოა, ისეთი დროც მალე დადგეს, როცა ფინანსებს ვერც ერთი ადამიანი ველარაფერს გაუგებს. როგორ იმოქმედებს ეს პოლიტიკურ პროცესზე? თუ წარმოგიდგენიათ ისეთი მთავრობის არსებობა, რომელიც მოკრძალებით დაუცდის ალგორითმს, რომ მან ბიუჯეტი და ახალი საგადასახადო რეფორმა დამტკიცოს? იმავდროულად, ბლოკჩეინის პირინგულმა



ქსელებმა და ბიტკოინის მსგავსმა კრიპტოვალუტებმა, შესაძლოა, მონეტარული სისტემა სრულიად გარდაქმნას და ძლიერი საგადასახადო რეფორმების განხორციელება გარდაუვალი გახდეს. მაგალითად, გადასახადების დოლარში აკრეფა ალბათ შეუძლებელი ან უსარგებლო იქნება, რადგან ტრანზაქციების უმეტესობა მხოლოდ ინფორმაციის გაცვლით, ეროვნული ან სხვა ნებისმიერი ვალუტის ტრანსფერის გარეშე განხორციელდება. შესაბამისად, მთავრობებს შეიძლება სრულიად ახალი გადასახადების გამოგონება დასჭირდეთ - მაგალითად,

საინფორმაციო გადასახადისა, რომელსაც ინფორმაციისთვის გავილებთ, თანაც, დოლარით კი არა - ინფორმაციითვე. მოაგვარებს პოლიტიკური სისტემა კრიზისს მანამდე, სანამ მას ფული გამოეღება?

რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ინფორმაციული და ბიოლოგიური ტექნოლოგიების ერთობლივმა რევოლუციამ, ეკონომიკებისა და საზოგადოებების გარდა, შეიძლება, ჩვენი სხეული და გონებაც კი გარდაქმნას. ძველად ადამიანები გარე სამყაროს მართვას ვსწავლობდით. შინაგან სამყაროს კი თითქმის ვერ ვაკონტროლებდით. დამბის აშენება და მდინარის შეკავება შეგვეძლო, მაგრამ სხეულის დაბერების შეჩერება - არა. სარწყავი სისტემების კონსტრუირება ვისწავლეთ, მაგრამ ტვინისა - ვერა. თუ კოდო ყურში დაგვწყოდა და ძილს გვიფრთხოდა, მის მოკვლას ვახერხებდით; თუმცა, თუ გონებაში აბეზარი აზრი გვიტრიალებდა და ღამეს თეთრად გვათენებინებდა, უმეტესობას ამ აზრის ჩაკვლა არ შეგვეძლო.


ბიოლოგიურ და ინფორმაციულ ტექნოლოგიებში მომხდარი რევოლუციური გარღვევები შინაგან სამყაროზე კონტროლს დაგვამყარებინებს და სიცოცხლის დაპროექტებისა და შექმნის საშუალებას მოგვცემს. ვისწავლით ტვინების კონსტრუირებას, სიცოცხლის გახანგრძლივებასა და აბეზარი აზრების, სურვილისამებრ, თავიდან მოშორებას. არავინ იცის, ამას შედეგად რა მოჰყვება. ადამიანებს იარაღების დამზადება ყოველთვის უკეთ გამოგვდიოდა, ვიდრე მათი ბრძნულად მოხმარება. დამბის აშენება და მდინარეებზე ზემოქმედება უფრო ადვილია, ვიდრე იმის წინასწარ განსაზღვრა, რა გავლენას მოახდენს ეს ყველაფერი ეკოლოგიურ სისტემაზე. სწორედ ასევე, ჩვენი აზრების ნაკადისთვის მიმართულების შეცვლა

უფრო იოლი იქნება, ვიდრე იმის განჭვრეტა, როგორ იმოქმედებს ეს ჩვენს ფსიქიკაზე ან სოციალურ სისტემებზე.

ჩვენ თანდათან ვიძენდით გარე სამყაროს საკუთარ ნებაზე შეცვლისა და მთელი პლანეტის გარდაქმნის ძალას; მაგრამ, რაკი ძველად მსოფლიო ეკოლოგიის კომპლექსურობისა არაფერი გაგვეგებოდა, ჩვენმა დაუდევრობამ მთელი ეკოსისტემა დაანგრია და დღეს ეკოლოგიური კოლაფსის წინაშე ვდგავართ. ამ საუკუნეში ბიოლოგიური და ინფორმაციული ტექნოლოგიები შინაგან სამყაროს მანიპულაციისა და საკუთარი თავის ტრანსფორმირების შესაძლებლობას მოგვცემს, მაგრამ, რადგან ვერ ვხვდებით, რაოდენ კომპლექსურია გონება, ჩვენი ქმედებებით გამოწვეულმა ცვლილებებმა, შესაძლოა, ჩვენივე ფსიქიკური სისტემაც მოშალოს.

ბიოლოგიურ და ინფორმაციულ ტექნოლოგიებში მომხდარ რევოლუციებს სათავეში ის ინჟინრები, მენარმეები და მეცნიერები უდგანან, რომლებიც თავიანთი გადანყვებილების პოლიტიკურ შედეგებს ნაკლებად აცნობიერებენ და არც რომელიმე პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი არიან. იქნებ

პარლამენტებმა და პარტიებმა საქმეს თვითონ მოჰკიდონ ხელი? როგორც ჩანს, ჯერჯერობით მათ ეს არ შეუძლიათ. ტექნოლოგიური რღვევა პოლიტიკური დღის წესრიგის მთავარი საკითხი არ არის. მაგალითად, აშშ-ის 2016 წლის საპრეზიდენტო „რბოლისას“ ამ ახალ ტექნოლოგიებს, ძირითადად, ჰილარი კლინტონის ი-მეილზე ჰაკერული თავდასხმის კონტექსტში ახსენებდნენ, ხოლო ავტომატიზაციის პოტენციურ შედეგებზე არც ერთ კანდიდატს არაფერი უთქვამს, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ადგილების შემცირებაზე მათ ბევრი ილაპარაკეს, დონალდ ტრამპი ამომრჩევლებს უკიჟინებდა, თუ არ



კაცობა

გვინდა, სამუშაო ჩინელებმა და მექსიკელებმა წაგვართვან, მექსიკის საზღვარზე კედელი უნდა ავაშენოთ. მას არც ერთხელ არ გაუფრთხილებია ამომრჩევლები, სამუშაოს ალგორითმები წაგართმევენო და მათთვის არც კალიფორნიის საზღვარზე „ფაიერჟოლის“ დამცავი სისტემის დაყენება შეუთავაზებია.

ალბათ არის ერთ-ერთი (მაგრამ არა ერთადერთი) მიზეზი, რომლის გამოც ლიბერალური დასავლეთის შუაგულშიც კი ამომრჩევლები ლიბერალური ნარატივისა და დემოკრატიული პროცესისადმი რწმენას კარგავენ. ჩვეულებრივ ადამიანებს, შეიძლება, ხელოვნური ინტელექტისა და ბიოტექნოლოგიისა არაფერი გაეგებოდეთ, მაგრამ ისინი გრძნობენ, რომ მომავალი მათ გვერდს უვლის. 1938 წელს სსრკ-ში, გერმანიასა და აშშ-ში რიგითი მოქალაქე, შესაძლოა, არასახარბიელო პირობებში ცხოვრობდა, მაგრამ მას გამუდმებით ეუბნებოდნენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი ვინმეა და რომ ის მსოფლიოს მომავალია (თუ, რა თქმა უნ-



და, ეს პირი „ჩვეულებრივი ადამიანი“ იყო და არა - ებრაელი ან აფრიკელი). ადამიანი პროპაგანდისტულ პლაკატებს აკვირდებოდა (რომლებზეც, ჩვეულებრივ, გმირულ პოზაში მდგარ ქვანახშირის მადაროელებს, მეფოლადეებსა და დიასახლისებს აღბეჭდავდნენ) და მათზე საკუთარ თავს ხედავდა: „იმ პლაკატზე მე ვარ გამოსახული! მე მომავლის გმირი ვარ!“

2018 წელს რიგითი ადამიანი თავს სულ უფრო და უფრო უსარგებლოდ გრძნობს. „ტედ-თოქებში“, სამთავრობო ანალიტიკურ ცენტრებსა თუ სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებზე ბევრი გაუგებარი სიტყვა ისმის - გლობალიზაცია, ბლოკჩეინი, გენური ინჟინ-

ერია, ხელოვნური ინტელექტი, მანქანური სწავლა - და რიგით ადამიანს თანდათან ეჭვი იპყრობს, რომ ეს სიტყვები მას საერთოდ არ ეხება. ლიბერალური ნარატივი ჩვეულებრივი ხალხისთვის იყო განკუთვნილი. შეინარჩუნებს კი ის კიბერგებისა და ქსელური ალგორითმების სამყაროში აქტუალურობას?

მეოცე საუკუნეში მასები ექსპლუატაციის წინააღმდეგ ჯანყდებოდნენ და თავიანთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფუნქციის პოლიტიკურ ძალაუფლებად გარდაქმნას ცდილობდნენ. დღეს მასებს უსარგებლოდ გადაქცევისა ეშინიათ და, სანამ გვიან არ არის, შემორჩენილი პოლიტიკური ძალაუფლების გამოყენებას ჩქარობენ.

ამრიგად, ბრექსიტი და ტრამპის აღზევება, შესაძლოა ტრადიციული სოციალისტური რევოლუციების საპირისპირო მოვლენები იყოს. რუსეთის, ჩინეთისა და კუბის რევოლუციები პოლიტიკური ძალაუფლების არმქონე, მაგრამ ეკონომიკისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ხალხის მასამ მოაწყო. 2016

წელს ტრამპისა და ბრექსიტის მხარდამჭერებს შორის ბევრი ჯერაც პოლიტიკური ძალაუფლებით სარგებლობდა, მაგრამ საკუთარი ეკონომიკური ღირებულების დაკარგვას უფრთხობდა. შესაძლოა ოცდამეერთე საუკუნეში სახალხო აჯანყებები იმ ეკონომიკური ელიტების წინააღმდეგ კი არ მოეწყოს, რომლებიც ასების ექსპლუატაციას ეწვეიან, არამედ იმ ეკონომიკური ელიტების წინააღმდეგ, რომლებსაც ხალხი საერთოდ აღარ სჭირდებათ“. სავსებით შესაძლებელია, ეს ამბოხი მარცხნით დასრულდეს. უსარგებლობის თავიდან ასაცილებლად ბრძოლა უფრო ძნელია, ვიდრე - ექსპლუატაციის წინააღმდეგ.

(წიგნიდან - „21 გაკვეთილი ოცდამეერთე საუკუნისთვის“).



ECCE HOMO

„და გამოვიდა იესო გარეთ, ეკლის გვირგვინითა და ძონის მოსასხამით. და უთხრა მათ პილატემ: აჰა, კაცი!“

იოანე: 19. 5.

„იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არს“. მათე 5. 48.



კაცთა მოდგმის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა სრულყოფილებისაკენ სწრაფვა. ინდივიდუალურ, პიროვნულ დონეზე ეს სრულყოფილი კაცის ძიებაა. ჩნდება კითხვა: ვინ არის და რას წარმოადგენს იგი?

პლატონი? – არა! რადგანაც იგი ადამიანური არსრულყოფილების შეგნებით არის დათრგუნული, რომელიც უზენაესი სამყაროსაკენ – მარადიული იდეებისა იდეალების სამყაროსაკენ მიიღტვის.

ბუდა? – არც ბუდა. იგი შორსაა სრულყოფილებისაგან, რადგანაც ისიც ადამიანური არსრულყოფილების მტანჯველი გრძნობით არის შეჭირვებული, ხოლო მის მოძღვრებაში ადამიანის ყველა მისწრაფება სრულყოფილებისაკენ მარადიული შეუგრძნობლობისა და თანამეუგრძნობლობის გარსში – ნირვანაშია გახვეული.

ბიბლიური მოსეც შორსაა სრულყოფილები-

საგანა, რადგანაც გატანჯულია თავისი ხალხის ვაებით და პირადი უმწიკობით არის ვნებული, რომელიც გამუდმებით შელაღადებს ზეცას და შენევენას იქიდან მოელის, რომელიც ადამიანურ მწუხარებას მომავალი მესიის შესახებ წინასწარმეტყველურ ხილვებში აზავებდა. არც იგი გახლდათ სრულყოფილი.

მუჰამედი? – არა! იგი ჯოჯოხეთის მძვინვარებით არის გატანჯული, რომელსაც თავისი წინასწარმეტყველური სიზმრების ხორცშესხმა განუზრახავს და ყველგან თან სდევს შიშისა და სიკვდილის შიში.

კანტი? კანტი ხომ რაციონალისტური კრიტიციზმის გარსშია გამომწყვდეული, რომელმაც თავისთავადი ნივთის ირაციონალურ უფსკრულში გადაუშვა ყოველივე ადამიანური და ამით იგი რაღაც შეუცნობელსა და საშინელს მიაბა. გამოდის, რომ არც ის ყოფილა სრულყოფილი.

შექსპირი რომ სრულყოფილებისაგან შორსაა, ამას მისი ადამიანური არასრულყოფილების განცდით აღსავსე შემზარავი ტრაგედიები მოწმობენ, რომელიც დაბნეულ ადამიანს გზაზე სტოვებს.

ღვთაებრივი სრულყოფილებისაგან შორსაა ვაიმარელი ბრძენი **გოეთე**, რომელიც ადამიანური არსების დრამით არის გატანჯული და მთავარ როლში მეფისტოფელი ჰყავს, ხოლო მისი სიკვდილისწინა წამოძახილი – „სინათლე, მეტი სინათლე“ – იმას ამბობს, თუ როგორი უბედური და ტანჯული ტოვებდა წუთისოფელს.

არც ადამიანურ სისუსტეების წინააღმდეგ მებრძოლი **ტოლსტოი** ყოფილა სრულყოფილი კაცი, რადგანაც ისეთმა სულიერმა შფოთვამ მოიცვა, რომ სიკვდილის წინ სულიერი აგონიით შეპყრობილმა ყველაფერი მიატოვა, ყველაფერს გაექცა. ტოლსტოი ცდილობს მტანჯველ ქედმაღლობას ზურგი აქციოს და ეკლესიის წიაღში დაბრუნებაზე უარს ამბობს.

რუსო სრულყოფილ ადამიანს ბუნების წი-

აღში ეძებს, მაგრამ გრძობებამდე დაყვანილი ადამიანი უხეში და პრიმიტიული აღმოჩნდა. რუსოს ბუნებრივი ამბიონიდან ნიციუს ზეკაცამდე მცირე მანძილია. რადგან სენსუალიზმი უშედეგო აღმოჩნდა, საქმეში რაციონალიზმი ჩაერთო და ადამიანი წარმოდგენილ იქნა, ვითარცა გონიერება.

ლაიბნიცის, დეკარტის, ლოკისა და სხვა დიდ მოაზროვნეთა მიერ წარმოდგენილი ადამიანი, სინამდვილეში, სრულყოფილი ადამიანის კარიკატურა აღმოჩნდა მხოლოდ.

არც **ნიციუს** გამოდგება სრულყოფილი ადამიანის სიმბოლოდ, რადგანაც მას, ამქვეყნად ადამიანური არასრულყოფილებით შეძრულს, აუტანელი სევდა იპყრობს **სრულყოფილი კაცის** – **ქრისტეს** გამო და ჭკუიდან გადადის ისე, რომ სრულყოფილებას ვერ პოულობს.

ადამიანი ნებელობააო, – თქვა **შოპენჰაუერმა**, რომელსაც ნაწილობრივ **შტირნერიც** ეთანხმება. თუმცა ნების კაციც შორს აღმოჩნდა სრულყოფილებისაგან. ამ მოაზროვნეებს მიაჩნიათ, რომ ადამიანი გარდამავალი საფეხურია ზეადამიანისაკენ, ამიტომ უნდა დაიძლიოს ადამიანური. ადამიანურის დაძლევა შედეგად ღმერთის მოკვლა მოჰყვა. ძალაუფლების ნებამ დომინანტური გახადა პრინციპი: ყოველივე ნებადართულია. ზეკაცისთვის არ არსებობს სიკეთე და ბოროტება, ზნეობა და უზნეობა, იგი ამ ყველაფერს მიღმა დგას. ასეთი აღმოჩნდა დასავლური ჰუმანიზმის დრამა. **საბოლოოდ სრულყოფილების მაძიებელ ცივილიზაციასა და კულტურას ხელში სრულყოფილების სუროგატი – უღმერთო და უსულო ადამიანი, რობოტი შერჩა. ამ ყველაფერს ზურგს სულიერებისაგან დაცლილი და სულის გარეშე დარჩენილი ფსიქონალიზი და ექსპერიმენტული ფსიქოლოგია უმაგრებს, თუმცა საქმეს ვერც ფროიდმა დ ვერც მარქსმა უშველა. დასავლური ცივილიზაცია რობოტების მწარმოებელ ფაბრიკად გადაიქცა („მე ვეროპაში გამგზავრება მსურს და ვიცი, რომ სასაფლაოზე მი-**

ვემგზავრები“, – წერდა თ. დოსტოვესკი (ზამთრისეული ჩანაწერები ზაფხულის დროინდელ შთაბეჭდილებებზე). საბოლოოდ, უღმერთო ცივილიზაციის ხვედრი სუიციდი გახდა.

ნამდვილი სრულყოფილება მხოლოდ **ქრისტვა** – საკვირველი ღმერთკაცი, სრულყოფილი სიკეთე. იგი ყველანაირად – ადამიანურად და ღვთაებრივად რეალურია. მასზე უფრო სრულყოფილი კაცის წარმოდგენა შეუძლებელია. ის არის ის სრულყოფილი ადამიანი, რომელსაც კაცთა მოდგმა, ადამიანური აზროვნება და შემოქმედება, ფილოსოფია, რელიგია და ხელოვნება, გული და გონება გამუდმებით ეძებს. ამიტომ ცივილიზაციისა და კულტურის განვითარებაში პირველ ადგილზე უნდა იდგეს ღმერთი, მერე ადამიანი. დროა ღმერთის გარეშე დარჩენილმა კულტურამ, მეცნიერებამ, ტექნიკამ, პოლიტიკამ, ეკონომიკამ, მოდამ, მედიამ და მთლიანად კაცობრიობამ ყოველივე ეს გააცნობიეროს და სათანადო დასკვნები გამოიტანოს.



ჰიერონიმუს ბოსხი: Ecce Homo

ხუტა პაჭკორია

დისიდენტი* პედაგოგის ირაკლი ჟვანიას ხსოვნა

შესავლის მაგიერ

მე, ხუტა აკაკის ძე პაჭკორია დავიბადე 1946 წლის 14 აპრილს ზუგდიდში. 1953 წელს შემეყვანეს III საშუალო სკოლაში, სადაც დირექტორად მუშაობდა მირიანე ნარმანია. მან წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომელიც დღემდე მომყვება. III საშუალო სკოლა განთქმული იყო თავისი პედაგოგიური პერსონალით, რომელთა შორის გამოირჩეოდა ირაკლი ჟვანია, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, „ვეფხისტყაოსნის“ მეგრულად მთარგმნელის კაკა ჟვანიას შვილი. სრულებით დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მე ასეთი პედაგოგი არ მყოლია! მან ხელი შეუწყო ჩემგან სტალინის მეხოტბიდან გამოეყვანა სხვაგვარად მოაზროვნე, ანუ „დისიდენტი“, რაც იმ დროისთვის საკმაოდ საშიში იყო, თუმცა სტალინურ ეპოქასთან შედარებით უფრო რბილი.



ვსწავლობდი კარგად - რაშიც ხელს მიწყობდნენ გამოჩენილი პედაგოგები (იხილეთ ქვემოთ). მე-9 კლასიდან სწავლა გავაგრძელე ზუგდიდის ენგურქალაქკომბინატის მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში, რომელიც ოქროს მედალზე დავამთავრე 1964 წელს. იმავე წელს კონკურსით ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დავამთავრე 1971 წელს. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დიდმა ქირურგმა ეგნატე ფიფიამ, ნეიროქირურგმა ბონდო ჩიქოვანმა, ფიზიოლოგმა ვაჟა ოკუჯავამ, თერაპევტმა გივი ბახტაძემ და სხვებმა. ინსტიტუტიდანვე დავეწაფე სამედი-

ცინო ლიტერატურას, ვკითხულობდი ბევრს, ხშირად ვწერდი სამეცნიერო სტატიებს. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ახლო კავშირ-ურთიერთობა „სამედიცინო გაზეთის“ რედაქტორ-

თან დალი გაბეშიასთან და „შინაგანი მედიცინა და კარდიოლოგია“-ს მთავარ რედაქტორ მამანტი როგავასთან. გამოქვეყნებული მაქვს მრავალი ათეული სამედიცინო სტატიები (300-ზე მეტი), 9 მონოგრაფია, ვიბეჭდებოდი რესპუბლიკურ და საკავშირო სამედიცინო პრესაში.

ჩემი ლიტერატურული საქმიანობა შეეხებოდა მხოლოდ ბიოგრაფიულ ნარკვევებს მედიცინის თვალსაჩინო მოღვაწეებზე (არასდროს არ დამინერია

ლექსები და პროზაული ნაწარმოებები). შემთხვევით წავაწყდი დიდი თერაპევტის პროფესორ შალვა მიქელაძის, დიმიტრი პლეტნიოვის და გალაკტიონ ტაბიძის მეუღლის ოლია ოკუჯავას რეპრესიებზე ცნობებს, რომლებიც დახვრიტეს 1941 წლის 11 სექტემბერს ორიოლში, ს. მედვედევოს ტყეში. ეს ცნობები გასაიდუმლოებული იყო მრავალი ათეული წლების განმავლობაში. როგორც ვთქვი, გვიან, შემთხვევით წავაწყდი ჟურნალ „სკკპ ცეკას მაცნეში“ გამოქვეყნებულ ინფორმაციას იმაზე, რომ 1941 წ. ორიოლში დახვრეტილი იყო 169 პოლიტპატიმარი. იქვე იყო დაბეჭდილი დახვრეტილთა სია! (დანვრილებით იხილეთ ქვემოთ).

წინამდებარე სტატია ეძღვნება ჩემი აღმზრდელის ირაკლი ჟვანიას ხსოვნას, რომელმაც მასწავლა სხვაგვარად აზროვნება. ბედის ირონიით ის (ირაკლი) შეიქნა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების პირველი მსხვერპლი 1991 წლის 22 დეკემბერს. 78 წლის მოხუცი


* „დისიდენტი“ დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში განმარტებულია როგორც – სხვაგვარად მოაზროვნე.

დისიდენტი იმსხვერპლა გარენარი პუტრისტის ტყვიამ, როცა იგი ცდილობდა შეწყვეტილიყო პუტრისტების თავდასხმა საქართველოს პირველ პრეზიდენტზე ზვიად გამსახურდიაზე. აქვე მოთხრობილია ირაკლი ჟვანიას ოჯახზე, განსაკუთრებით მის სახელოვან მამაზე კაკა ჟვანიაზე, რომელიც I მსოფლიო ომში მონაწილეობდა, გახდა შტაბს-კაპიტანი, ხელმწიფე იმპერატორმა ნიკოლოზ II პირადად დააჯილდოვა წმინდა გი-

ორგის ჯვრით (საერთოდ, ის იყო სხვადასხვა ხარისხის ოთხი ჯვრის კავალერი)!

კაკა ჟვანიას ცხოვრების მთავარი მიღწევა იყო „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა მეგრულად, რაზედაც აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ ხატონად შენიშნა, რომ ტკბილი მეგრულით შოთას გახმოვანება ზუგდიდის ჭადრების ხეივანში მეტად დადებითად იმოქმედებდა ქართული კულტურული აზროვნების განვითარებაზე.

* * *



ჟვანია! ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული პერიოდის დასაწყისი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ისტორიაში!

ვინც კარგად იცნობდა ირაკლი ჟვანიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მას არ გაკვირვებია მისი ტრაგიკული აღსასრული. ის მთელი ცხოვრება ებრძოდა ბოლშევიკურ რეჟიმს.

ირაკლი დაიბადა 1913 წელს ზუგდიდში. ცნობილი მოღვაწის კაკა ჟვანიას ოჯახში. კაკა მონაწილეობდა I მსოფლიო ომში, სადაც, როგორც ითქვა, მხედრული მამაცობისთვის წმინდა გიორგის 4 ჯვრით იყო დაჯილდოვებული. კაკას დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია,

1991 წელს 22 დეკემბერს საქართველოში ყველაზე ბნელი „გრძელი ღამე“ ჩამოწვა. დილით 8 საათზე პუტრისტებმა – მხედრონელებმა და მოღალატე გვარდიელებმა, პირდაპირი იერიში მიიტანეს საქართველოს უზენაესი საბჭოს შენობაზე, სადაც იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კაბინეტი. მათ ზურგს უმაგრებდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის რეგულარული შენაერთები. პირველსავე დღეს მოკლეს ცნობილი დისიდენტი, პედაგოგი ირაკლი ჟვანია. მან იმ დილით თბილისში ავტობუსებით ჩამოიყვანა ზუგდიდელი პატრიოტები. შუადღეს კი თბილისში – მთავრობის სახლის წინ, ჩიტაძის ქუჩაზე გარენარი პუტრისტის ტყვიამ სიცოცხლეს გამოასალმა 78 წლის მოხუცი პატრიოტი ირაკლი

ხოლო პეტერბურგში სამხედრო სასწავლებელი, რომელშიც ხელი შეუწყო უჩა დადიანმა (სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ახლო ნათესავი). მან I მსოფლიო ომში შტაბს-კაპიტნის ნოდება მიიღო. მანამდე ზუგდიდში პირველ სამრევლო სკოლას ხელმძღვანელობდა.

I მსოფლიო ომში ის ტყვედ ჩავარდა რუმინეთის ფრონტზე, მაგრამ მოახერხა გაქცევა, ამასობაში კი რუსეთის ხელმწიფე – იმპერატორის ნიკოლოზ II რომანოვის სახელით, როგორც წესი, გამოქვეყნდა ოჯახის სახელზე სამგოლოვიარო „შავი წერილი“ მისი დალუპვის შესახებ. საბედნიეროდ, მან ტყვეობიდან გაქცევა მოახერხა.

კაკა ჟვანიას ცხოვრებაში, როგორც ითქვა,


დიდი წვლილი მიუძღვის უჩა დადიანს (სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ძმის შვილს). აი როგორ აგვიწერს ჟურნალ „ზუგდიდელის“ კორესპონდენტი მის შეხვედრას საიქიოდან მობრუნებულ კაკასთან. ქუთაისში მიმავალი უჩა დადიანი თავისი მხლებელი „ძიძიშვილებით“ ხობის დუქანში ჩერდება დასანაყრებლად და მუხლის ჩასახრელად. მათ მყუდროებას მოულოდნელად დილიყანის ხმაური არღვევს. უჩა მხლებლებს გზავნის ამბის გასაგებად, თუ ვინ „დიდი კაცი“ მოადგა ხობს „დილიყანსით“. მათ ამბავი მოაქვთ მიცვალებული კაკა ჟვანიას „გაცოცხლებისა“.

კაკა იყო ბრწყინვალე ლიტერატორი, ქართული, რუსული, მეგრული ენების უბადლო მცოდნე. მან მეგრულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რამაც, როგორც ითქვა, თვით აკაკი შანიძის ყურადღებაც მიიპყრო. კონსტანტინე გამსახურდიამ მეგობარი კაკა სიკვდილამდე 10 დღით ადრე ინახულა. იმ დღეებში „ვეფხისტყაოსნის“ 800 წლისთავის იუბილე იმართებოდა საერთაშორისო მასშტაბით. ზუგდიდში საიუბილეო ზეიმი შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა. კაკა ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო მას. აკაკი შანიძემ კი წარმოთქვა ცნობილი სიტყვა, რომელიც კაკა ჟვანიას მიუძღვნა.

აი როგორ აღგვიწერს ჟურნალი „ზუგდიდელი“ კაკას მიერ „ვეფხისტყაოსნის“ მეგრულად თარგმნის პროცესს და აკაკი შანიძისეულ შეფასებას: „რვა წელი თარგმნიდა ბაბუა „ვეფხისტყაოსანს“. ორმოცდათვრამეტეში დაიწყო და 1966 წელს დაამთავრა. წინ ედო 1712 წელს გამოცემული ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ და შალვა ნუცუბიძისეული რუსული თარგმანი. ერთმანეთს უდარებდა მათ, წონიდა თითოეულ სიტყვას... არჩევდა, უკეთეს ვარიანტს ეძებდა. მან ეს ტიტანური შრომა რუსთაველის 800 წლისთავს მიუძღვნა, რომელიც ზუგდიდმაც აღნიშნა შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრში. ბაბუა მაშინ ლოგინად იყო ჩავარდნილი. ამ საღამოზე წარმოთქვა ბაბუას მისამართით ბატონმა აკაკი შანიძემ ის ცნობილი სიტყვა, რომელიც შემდეგ არაერთგზის იყო დაბეჭდილი პრესაში: „მარტო ის რად ღირს, რომ ზუგდიდის ჭადრების ხეივანში გაივლის

კაკა ჟვანია და თავის დათაფლული მეგრულით აამეტყველებს გენიოს შოთასო“.

კაკა იყო საქართველოს დიდი პატრიოტი: როცა რუსეთის რეგულარული საოკუპაციო ჯარი აფხაზეთიდან მოადგა სამეგრელოს – მან მდინარე ენგურში ღამით გაუშვა გრძელი ტივი, რომელზეც დააფინა ჩალა და ნაუკი-და ცეცხლი. რაღაც საოცარ შთაბეჭდილებას



ახდენდა უკუნეთ ღამეში მდინარე ენგურზე „მოსიარულე ცეცხლი“. რუსები დაშინდნენ და იმ ღამეს მდინარის გადალახვაზე ხელი აიღეს. სანამ ტივი და ჩალა არ დაინვა, მან შეძლო მებრძოლი რაზმების შეგროვება. 4 დღე იგერიებდნენ რუსეთის ჯარის ნაწილებს კაკას მებრძოლები, მხოლოდ მას შემდეგ მოახერხეს რუსებმა ენგურის გადალახვა – ზუგდიდთან. სულ მალე ისინი კაკას სახლში მიადგნენ, მათ წინ შემოეგებათ თეთრ ჩოხა-ახალუხში ლაზათიანად გამოწყობილი შტაბს-კაპიტანი კაკა ჟვანია წმინდა გიორგის 4 ჯვრით. ისინი სამხედრო პატივით მიესალმნენ უკვე მოხუც შტაბს-კაპიტანს. ის არ დააპატიმრეს და გადაურჩა მაშინ დახვრეტას.

„მე კოლხი ვარ, ასე წელი ვარწიე, ქვეყნისათვის ბევრი ჯაფა გავწიე, ვხარობ, ვტკბები დღეს ზუგდიდის მშენებებით, რომ დასჭირდეს


კედელს ჩავემენები, ვერ დავდივარ, ველარ ველერსები, მის მიწაში მაინც მიდგას ფესვები, ძალას ვიკრებ, ერთხელ კიდე ვეცდები, ვეამბორები მშობელ ქალაქს ლექსებით“.

ეს სიტყვები უთქვამს მძიმედ ავადმყოფ კაკას ზუგდიდისათვის.

მურმან ჟვანია, კაკას შვილიშვილი წერს: „კაკას 5 ვაჟი ჰყავდა: შალვა, დავითი, ირაკლი, ლეონიდი, ვაჟა. ხუთივეს უმაღლესი განათლება მიაღებინა. 14 შვილიშვილი, 27 შვილთაშვილი, 11 შვილთაშვილის შვილი დარჩა ბაბუას. ვცდილობთ, ჩვენი საქმიანობით, ჩვენი ცხოვრების წესით, ბაბუას სახელი – დიდი კაკა ჟვანიას სახელი არ შევარცხვინოთ.

კაკამ „ვეფხისტყაოსანი“ ქართულად, რუსულად და მეგრულად ზეპირად იცოდა, თბილისში რუსთაველზე და მელიქიშვილზე სეირნობა უყვარდა – ხალხი ამ ულამაზეს მოხუცს უკან მისდევდა, მისი სურათებით ზემელზე სტენდები იყო აჭრელებული.

ირაკლი ჟვანია დაიბადა 1913 წელს, სწავლობდა ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. II მსოფლიო ომის წინ მონაწილეობდა ანტიჰიტლერულ კოალიციაში, სადაც ტყვედ ჩავარდა! გერმანელებმა ეჭვი მიიტანეს სამხრეთული გარეგნობის გამო, ებრაელი ხომ არ არისო. გერმანული ენის უბადლო მცოდნე ირაკლიმ უთხრა, რომ არის ქართველი (გეორგიენ). ის ბევრ ქართველს და ებრაელს დაეხმარა და სიკვდილისგან იხსნა. 1942 წელს ჩარიცხეს ვერმახტის არმიაში თარჯიმნად, სტალინგრადის ფრონტზე უკვე თავი გამოიჩინა როგორც ფელდმარშალ პაულიუსის წინააღმდეგ მებრძოლმა - მარშალ როკოსოვსკის და ჩუიკოვის არმიაში, მაგრამ როგორც ყოფილი ტყვე, დააპატიმრეს და 10 წელი გაატარა საბჭოთა კავშირის ციხეებში. 1953 წელს სტალინის სიკ-



გვანჯი ჩიქოვანი და კაკა ჟვანია

ვდილის შემდეგ გაათავისუფლეს 10-წლიანი პატიმრობიდან, დაბრუნების შემდეგ ცოტა ხნით იყო ბათუმში, ტექნიკუმში, სადაც ასწავლიდა გერმანულ ენას. 1957 წელს დაბრუნდა ზუგდიდში, იყო ზუგდიდის ჩაის ტექნიკუმის მასწავლებელი, მე-3 საშუალო სკოლის გერმანულის მასწავლებელი, ბრწყინვალედ ფლობდა რუსულ, ქართულ, ინგლისურ და გერმანულ ენებს.

III საშუალო სკოლაში მაშინ დირექტორად მუშაობდა მირიან ნარმანია, მოადგილედ ნელი ხაბურზანია, მასწავლებლები – ეკატერინე (კატუშა) გვილია, ვალიკო ოთხოზორია, იპოლიტე ქირია, ამბროსი ჯგერენია, ოლია გვათუა, ნინა ქირია და სხვები.

აქ აღიზარდა არაერთი თაობა საუკეთესო მოსწავლეებისა: ელდარ შენგელაია, ნონა

სამუშია, ზაურ ჯალალონია, ჯუმბერ აბრამია, ჯანიკო რაფავა, ჯუმბერ თითმერია, გონელი მიქენაია, გიგლა მაქაცარია, ამირან ჯოლოგუა, ზური გოგობია, ზაირა ყავლაშვილი, თალიკო სვანიძე, ავრორა სარსანია, ნინუსი შელია, ენვერ (ბახუ) ანთია, შოთა ანთია და ა.შ. ვინ მოთვლის ყველას. ყველა ისინი მას თვლიდნენ საუკეთესო პედაგოგად III საშუალო სკოლაში. ზოგიერთის აზრით, ის საუკეთესო მასწავლებელი იყო ზუგდიდის რაიონში! იყო უგანათლებლესი პედაგოგი-აღმზრდელი, მონაწილეობდა ოლიმპიადებზე, გატაცებული იყო სპორტით, განსაკუთრებით ფეხბურთით. როცა ზუგდიდში 1957 წელს ჩამოვიდა თბილისის „დინამო“, ის მიესალმა მის ფეხბურთელებს - ავთანდილ (ბასა) ლოლობერიძეს, ბორის პაიჭაძეს, ვლადიმერ მარლანიას, გაიოზ ჯეჯელავას, ბორის ხასაიას და სხვებს. მუდმივად ესწრებოდა თეატრებში წარმოდგენებს, იყო ზუგდიდის თეატრის კონსულტანტი. კარგად იცნობდა გერმანული ლიტერატურის კლასიკოსებს - იოჰან გოეთეს, ფრიდრიხ შილერს, თომას მანს! ჰქონდა ურთი-

ერთობები კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახთან (სადაც კაკას დაჰყავდა!). იყო მგზნებარე პატრიოტი! მან ეროვნული სულისკვეთებით აღზარდა მე-3 საშუალო სკოლის მონაფეების უმრავლესობა. აღსანიშნავია, რომ ისინი იმდენად იყვნენ ეროვნული სულისკვეთებით აღზრდილები, რომ არ ეგუებოდნენ დიქტატურას და უარს ამბობდნენ ჯარში სამსახურზე, სადაც ე.წ. „დედოფინა“ მეფობდა. მოკლედ, ირაკლის აღზრდილები გამოირჩეოდნენ არა

იმეორებდა გერმანიის კათოლიკური ეკლესიის რეფორმატორის მარტინ ლუთერის სიტყვებს: აქა ვდგავარ და სხვანაირად მოქცევა არ ძალმიძს!

P. S. ითქვა, დისიდენტი სხვაგვარად მოაზროვნეს ნიშნავსო, მაგრამ ზუგდიდში უშიშროების სამსახური არ იჭერდა ირაკლის. როცა ჩარლი ჩაპლინის კინოფილმის ჩვენება დაიწყო ზუგდიდში, ირაკლი მონაფეებს ესაუბრებოდა ჰიტლერის და სხვა დიქტატორების ავსაქმეებზე. განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა კინოფილმს „მეფე ნიუ-იორკში“, სადაც გამოყვანილია ნორჩი დისიდენტი – ათიოდე წლის ბავშვი, რომელიც აკრიტიკებდა ამერიკის რეაქციონერ სენატორ მაკარტის. ამაში სუკ-ის ხელმძღვანელობამ საშიში მიმსგავსება ნახა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ სისტემასთან. სკოლაში მოვიდნენ ზუგდიდის უშიშროების უფროსი ვლადიმერ (ლადი) ზაქარაია და მისი შვილი (თვითონაც სუკ-ის პოლკოვნიკი) გული ზაქარაია. მათ გამოჰკითხეს III სკოლის დირექტორი მირიანე ნარმანია და ირაკლი ჟვანია, სკოლის ყველაზე „ნორჩი დისიდენტები“, რომლებიც ამ ფილმიდან გამომდინარე აკრიტიკებდნენ დიქტატორებს – დაკვირვებული თვალი სუკის ოფიცრებისა კარგად ატყობდნენ, რომ ამ შემთხვევაში



ირაკლი, კაკა, ვაჟა (ვახში) ჟვანიები

მარტო მე-3 საშუალო სკოლაში, არამედ მთელ ზუგდიდში. ირაკლი ხშირად ჩადიოდა თბილისში, მერაბ კოსტავასთან, სადაც ალბათ იხსენებდნენ სუკისა და გულაგის მკაცრი რეჟიმის კოლონიებში, განსაკუთრებით ე.წ. კრიტიკი გატარებულ დღეებს. ირაკლი და მერაბი იყვნენ უშიშარნი, ამან განაპირობა 1989 წლის 9 აპრილს და შემდეგ ირაკლი ჟვანიას მონაწილეობა ანტისაბჭოთა აქციებში. მაგრამ ყველაზე დიდი თავგანწირვის მაგალითი იყო 1991 წლის 22 დეკემბერი, როცა 78 წლის მოხუცი პედაგოგი გაეშურა თბილისში, თავიდან აეცილებინა ძმათაშორის სისხლის ღვრა, რაც საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. გარეწარმა პუტჩისტებმა არ დაინდეს 78 წლის მოხუცი და სასიკვდილოდ გაიმეტეს. კაკა ჟვანიას შვილს სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო. ის ხშირად

„ამერიკული ცხოვრების“ კრიტიკა უფრო საბჭოთა სინამდვილისკენ იყო მიმართული. ირაკლი ჟვანიამ თავი იმართლა – მე პირიქით ჰიტლერს და სენატორ მაკარტის ვაკრიტიკებდით, მამა-შვილმა ლადი და გული ზაქარაიებმა გაიცინეს და ინაურთან დაბეზლების წერილი არ გააგზავნეს – ირაკლი ჩვენს (საბჭოთა) საქმეს აკეთებსო და მოითხოვეს იდეოლოგიური აღზრდისათვის მეტი ყურადღება დაეთმოთ – პიონერთა საბჭოს წევრობა, ლექცია-საუბრების ჩატარება საბჭოთა კავშირის ცხოვრების წესის უპირატესობაზე და ა. შ. მოკლედ რომ იტყვიან – „კრება დარჩა მხიარული“. ამან ირაკლი ჟვანიას ავტორიტეტი არა მარტო III საშუალო სკოლაში, არამედ მთელ ზუგდიდში გაზარდა!

სუტა პაჭკორიას წერილთა (ინტერვიუების) ციკლი პროფესორ შალვა მიქელაძისა და ბალაკტიონის მეუღლის ოლია ოკუჯავას საფლავთა ძიების თაობაზე

შალვა მიქელაძეს სიკვდილის განაჩენი შეუცვალეს, მაგრამ მაინც დახვრიტეს

„გუმბათის“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ ინტერვიუ სუტა პაჭკორიასთან, რომელიც ოლია ოკუჯავას ბედს შეხებოდა. ამჯერად ბატონი სუტა შალვა მიქელაძის შესახებ მოგვითხრობს.

– ბატონო სუტა, ჩვენი წინა საუბარში აღნიშნეთ, რომ რეპრესიებით იმიტომ დაინტერესდით, რომ თქვენი კოლეგის, შალვა მიქელაძის შესახებ მოგეპოვებინათ ინფორმაცია.

– დიახ, დიდი ხნის მანძილზე დაინტერესებული ვიყავი შალვა მიქელაძის ბედით, ის გახლდათ პიროვნება, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მედიცინის განვითარებაში.

შალვა მიქელაძე დაიბადა 1884 წელს კულაში. 1901 წელს წარჩინებით დაამთავრა გიმნაზია და სწავლა განაგრძო ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. იცოდა ძველი ბერძნული, ლათინური, ფრანგული და გერმანული ენები. 1909 წელს დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ სამუშაოდ გაგზავნეს ბაქოში, მერე კი ხონში დაბრუნდა. 27 წლის ასაკში ის უკვე მკურნალობდა ცნობილ ლიტერატორსა და კრიტიკოსს, არჩილ ჯორჯაძეს და ვაჟა-ფშაველას. შალვა მიქელაძე მოღვაწეობდა დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტში, სადაც არჩეული იყო სამანდატო კომისიის თავმჯდომარედ. 88 მოღვაწეთა შორის ის ერთ-ერთი იყო, ვინც ხელი მოაწერა ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

შალვა მიქელაძე 1925 წელს მიავლინეს საფრანგეთში ფერდინანდ ვიდალის კლინიკაში



და პასტერის ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა გიორგი ელიავა, გიორგისთან ერთად კი ფ.დერელი, რომელიც საქართველოში სამჯერ იყო ჩამოსული. როდესაც გიორგი საქართველოში ჩამოვიდა, გადწყვიტა შეექმნა ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი. ამ საკითხზე ელიავა ბერიასთან შევიდა, მაგრამ ბერიამ საუბარი არ აცალა, ლავრენტი პავლოვიჩს სხვა საქმეები ჰქონდა მასთან.

– რა „დაუშავა“ ბერიას ელიავამ?

– ბერიასა და ელიავას ერთი საყვარელი ჰყავდათ, ეს ქალი ელიავასთან მუშაობდა. ეს ამბავი, შემთხვევით, ტელეფონით გაიგო ბერიამ და ძალიან გაბრაზდა. ამას ისიც ერთვოდა, რომ გიორგი ელიავამ ბერიას შეაგინა.

– ეს როგორ მოხდა?

– ერთ-ერთ ქუჩაზე ორი მანქანა კინალამ შეეჯახა ერთმანეთს. ერთის საჭესთან ელიავა იჯდა, მეორე მანქანის საჭესთან კი – ბერიას მძღოლი. ელიავამ უხეშად მიმართა ბერიას, რაც ამ უკანასკნელმა კარგად დაიმახსოვრა. ლავრენტი ბერიამ უარი რომ განაცხადა ბაქტერიოფაგის გახსნაზე, ელიავა დაუკავშირდა ბუდუ მდივანს, ბუდუ მდივანი – აბელ ენუქიძეს და საქმე გაკეთდა, ეს ამბავი არ ესიამოვნა ბერიას. მას უკვე სამი მიზეზი ჰქონდა ელიავას განადგურებისთვის. 1937 წელს გაანადგურა კიდეც.

– დაუბრუნდეთ შალვა მიქელაძეს, პირველად როდის „კნიზოკი“ ბერია?

– ბერია შალვა მიქელაძეს „კნიზოკს“ ეძახდა, რადგან შალვას დედაც თავადური გვარის წარმომადგენელი – ნულუკიძის ქალი გახლდათ. მიზეზი იყო ერთი ისტორია. სერგო ორჯონიკიძე მოსკოვიდან რომ ჩამოვიდა, სტუმრად ძმასთან, პაპულიასთან კი არ მივიდა, არამედ ბერიას ოჯახში, მაგრამ სერგო ავად გახდა. ბერიამ საუკეთესო ექიმები დაახვია, მათ შორის, ნიკოლოზ ყიფშიძე. ნიკოლოზმა მოიწვია შალვა მიქელაძე, როდესაც შალვამ ავადმყოფი გასინჯა, კოლეგას გადაულაპარაკა, ავადმყოფი მონამლულს ჰგავსო. ეს ბერიამ გაიგო და ძალიან გაბრაზდა. მის სახლში მოინამლა ასეთი დიდი კაცი, ეს მის ავტორიტეტზე მოქმედებდა. მინდა გითხრათ, რომ ბერიას ნესტორ ლაკობას მონამვლასაც აბრალებდნენ. ამიტომ ხალხმა მალე აიტაცა ეს ამბავიც. ექიმებმა ყველაფერი გააკეთეს და ბერიას სტუმარი გადაარჩინეს. მაგრამ ლავრენტიმ კარგად დაიმახსოვრა შალვა მიქელაძის ეს სიტყვები – მონამლულს ჰგავსო.

მესამე მიზეზი სტალინის დედა კეკე იყო. კეკეს დიაბეტი ჰქონდა, ერთხელაც დიაბეტის შეტევა მოუვიდა და, ბერიას ბრძანებით, ექიმთა კონსილიუმში შეიკრიბა. ყველა ადრე მოვიდა, მაგრამ მიქელაძე არ ჩანდა. ბერიას ლოდინი მოსწყინდა და მწარედ დასცინა მიქელაძეს: „კნიზოკი“ არ მოსულაო? ამ დროს კარი გაიღო და ევროპულად ჩაცმული შალვა მიქელაძე შემოვიდა. საათს დახედა და თქვა: ჯერ კიდევ ორი წუთით ადრეაო. ამით აღნიშნა, რომ არ დაუგვიანია.

სხვათა შორის, პირველი ლექცია ინსულინის შესახებ შალვა მიქელაძემ წაიკითხა. გიორგი მხეიძე იყო კეკეს პირადი ექიმი. როდესაც კეკე შემოიყვანეს და დაანვინეს საავადმყოფოში, ექიმებმა მსჯელობა დაიწყეს, როგორ ეშველათ, რათა შაქარი დაწეულიყო. ამ დროს ბერიამ ცუდი სუნი იგრძნო, უხეშად იკითხა, რა სუნიაო. გიორგი მხეიძემ შიშით უპასუხა: მოხუცს იაფფასიანი სუნამო ასხია, ადრე უფრო კარგი სუნამოები გამოდიოდაო. ბერიამ ამ პასუხზე მას მრისხანედ გადახედა და უთხრა: მოგენატრა ძველი დროო. შემდეგ ბატონი გიორგი მხეიძე იხსენებდა: სულ მეშინოდა, ბერი-

ას ამ სიტყვების გულისთვის არ დავეჭირო. რადგან სტალინის დედა გამოკეთდა, ალბათ, ბერიამ დაივიწყა ეს ინციდენტი. მაგრამ შალვა მიქელაძის მიმართ არაფერი დავინწყებია.

მის წინააღმდეგ მისივე სტუდენტი კლიმენტი ცომაია გამოიყვანეს. კრებაზე ცომაია ყველანაირად ცდილობდა პროფესორის მიწასთან გასწორებას, რათა ბერიასა და მისი გუნდის გული მოეგო. საუბრისას ცომაიამ მიქელაძის „სუსტ, მკრთალ წითელ ფერზეც“ მიუთითა. ამ კრებაზე მიქელაძე პროფესორმა ალექსანდრე ალადაშვილმა დაიცვა. ცომაიამ ბერიას დავალება შეასრულა, რის გამოც დაანინაურეს კიდევ, მაგრამ 1937 წელს მაინც დახვრიტეს.

– როდის და სად დააპატიმრეს შალვა მიქელაძე?

– მისი დაპატიმრება 1937 წელს არ მომხდარა. რატომაც მიქელაძეს არ იჭერდნენ. მიქელაძემ ირწმუნა, რომ მას აღარ დაიჭერდნენ. მაგრამ 1938 წლის ზაფხულში, აგვისტოში, როდესაც ის ბორჯომის პარკში სეირნობდა, დააპატიმრეს. მისი ბრალდება იყო სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აქტიური წევრობა. სამედიცინო საქმეზე, ჯერ-ჯერობით, ხმას არავინ იღებდა. მისი გამომძიებელი იყო ნიკიტა კრიმიანი, ყოვლად სადისტი ადამიანი, რომელიც ბახჩო ქობულაშვილის №4 განყოფილების უფროსი გახლდათ. გამოძიების დროს შალვა მიქელაძეს ექიმების საქმეც „გაუხსენეს“. დააბრალეს ბაქტერიოფაგის განადგურება და მტკვრის მონამვლა.

შავლა მიქელაძე გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა და 1938 წლის 26 აგვისტოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (58-10 და 58-11) მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია. მაგრამ მიქელაძის მეუღლემ, ოლიმპიადა ლორთქიფანიძემ, განაჩენი მოსკოვში გაასაჩივრა და სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1939 წლის 17 სექტემბრის განაჩენით, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის საფუძველზე სასიკვდილო განაჩენი შეეცვალა 10 წლით თავისუფლების აღკვეთითა და 5 წლით სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევით.

– ეს ძალიან იშვიათი მოვლენაა, როდესაც გა-

მოტანილ განაჩენს ცვლიდნენ, რამ განაპირობა ასეთი ნაბიჯი?

– ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, ჯერ ერთი, ჩავლილი იყო ის საშინელი დღეები, მეორეც, სტალინს უნდოდა ხალხისთვის დაენახებინათ თავისი „ჰუმანურობა“, მესამე და მთავარი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ სტალინი დეკადას აწყობდა.

მაგრამ 1941 წლის 6 სექტემბერს ბერია სტალინთან მოხსენებით შევიდა. ამ მოხსენებაში მითითებული იყო 170 პოლიტპატიმრის გვარი. ბერია პირდაპირ მოითხოვდა მათ დახვრეტას. სტალინმაც არ დააყოვნა და მიუთითა: დაიხვრიტონ ეს პოლიტპატიმრები, შპიონაჟისა და ტერორისტული საქმიანობის გამო. აქ იყო ერთი მომენტი, როდესაც სტალინმა დასახვრეტათა სია წაიკითხა, ბევრი ნაცნობი გვარი ამოიკითხა, მათ შორის, მიქელაძისაც, რადგან შალვა მიქელაძე საშა წულუკიძის მამიდაშვილი იყო. მაგრამ სტალინს არავინ დანანებია. სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1941 წლის 8 სექტემბერს, საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ განიხილა ამ

ადამიანებისა და მათ შორის მიქელაძის საქმე და კვლავ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. მოსკოვიდან ორიოლის ციხეში გაგზავნეს შინსახკომის სპეცრაზმი, რომელსაც ბერიას მარჯვენა ხელი, ეროვნებით სომეხი ბახჩო ქობულაძე ხელმძღვანელობდა. 11 სექტემბერს, ხუთშაბათ დღეს, პოლიტპატიმრებს სათითაოდ წაუკითხეს განაჩენი, ყველას პირში ჩვარი ჩასჩარეს და მანქანებით წაიყვანეს ე. წ. „დათვების“ ტყეში. ორმო წინასწარ ამოთხრილი ჰქონდათ, ორმოს გვერდით კი უზარმაზარი ხეები, თავისი ფესვებით, ეყარა. პატიმრებს ერთმანეთის დახვრეტაზე აყურებინეს. ყველა რომ დახვრიტეს, სათითაოდ შეამოწმეს, ცოცხალი ხომ არავინ გადარჩა, მერე მიწა მიაცარეს. მერე მოიყვანეს ტრაქტორი და მთელი ადგილი გადატკეპნეს. დღეს ამ ადგილზე საძმო საფლავია, ხოლო ციხეს მემორიალური დაფა ამშვენებს.

– მიქელაძის ცოლ-შვილს არ შეეხნენ?

– არა. მას ქალ-ვაჟი – გივი და ნათელა დარჩა. როდესაც მიქელაძე დახვრიტეს, ის 57 წლის იყო.

ლია ოსაძე

აღმოჩენილია პროფესორ შალვა მიქელაძისა და ოლია ოკუჯავას საერთო „საძმო საფლავი“

პროფესორ შალვა მიქელაძისა და გალაკტიონის მეუღლის – ოლია ოკუჯავას დახვრეტის ადგილმდებარეობისა და საერთო საფლავის აღმოჩენამ უმაღლვე მიიპყრო ქართული მასმედიის ყურადღება. ყველა გაზეთი, როგორც ოფიციალური, ისე თავისუფალი პრესა, მონადინებული იყო „პირველად მათ ფურცლებზე ეხილა მკვითხველს შ.მიქელაძისა და ო.ოკუჯავას დახვრეტის ადგილმდებარეობისა და საერთო საფლავის ამსახველი მასალა და ფოტოები. მაგრამ ავტორებმა ამისთვის მშობლიური, თსს-ის „სამედიცინო გაზეთი“ აირჩიეს, რადგან სურდათ, რომ პირველად სწორედ ჩვენთან გამოქვეყნებულიყო ყველასთვის უცნობი ეს მასალები, რისთვისაც „სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია დიდ მაძლობას უხდის მათ.

მიმდინარე წლის 26 სექტემბერს გაიმართა საქართველოს გასტროენტეროლოგთა და ჰე-

პატოლოგთა ასოციაციის სხდომა, რომელმაც მოისმინა დღის წესრიგის ორი საკითხი: „სამედიცინო ეთიკის, ავადმყოფთა უფლება-მოვალეობისა და ევთანაზიის შესახებ“ და „პროფესორ შალვა მიქელაძის, დიმიტრი პლეტნიოვის, ოლია ოკუჯავასა და სხვა პოლიტპატიმართა მასობრივი დახვრეტის ადგილმდებარეობისა და საერთო „საძმო საფლავის“ აღმოჩენის შესახებ“.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს გასტროენტეროლოგთა და ჰეპატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ბაადურ რაჭველიშვილი. მან მიმოიხილა ახალი კანონი, ავადმყოფთა და ექიმთა უფლებების შესახებ, ხაზი გაუსვა ევთანაზიის მიუღებლობას. მანვე დასვა საკითხი – უთხრას თუ არა მკურნალმა ექიმმა სიმართლე სასიკვდილოდ განწირულ ავადმყოფს. დამსწრე

აუდიტორიამ წარმოდგენილ მოხსენებას მაღალი შეფასება მისცა. პროფესორმა ოქროპირ გოგიბერიძემ აღნიშნა მოხსენების აქტუალობა და მეტად მაღალი დონე, შეჩერდა ცნობილი ფსიქიატრის, ზიგმუნდ ფროიდის, ავადმყოფობაზე. გამოჩენილი ფსიქიატრი ზ.ფროიდი 16 წელი იტანჯებოდა ზედა ყბის ავთვისებიანი სიმსივნით და გაუკეთდა 23 ოპერაცია. როცა ქირურგმა ბოლოსდაბოლოს უთხრა მას სიმართლე, მოხუცი ფსიქიატრი აღშფოთდა და ქირურგს მკაცრად უსაყვედურა, რადგან მას არ ჰქონდა უფლება ასეთი თავზარდამცემი სიმართლის თქმისა.

ამ მოხსენების გარშემო აზრი გამოთქვეს პროფესორმა ვაჟა გვანცელაძემ, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა გელა დონაძემ და ნევროპათოლოგმა იზოლდა შენგელიამ. სხდომის მონაწილეთა

აზრით, ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, ექიმმა უნდა დაზოგოს სასიკვდილოდ განწირული ავადმყოფის ფსიქიკა და სიმართლე უნდა უთხრას დიდი ტაქტით, გულისხმიერებით ისე, რომ ავადმყოფს ელდა არ ეცეს და განკურნების მცირე იმედი მაინც დარჩეს.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე, რომლის ავტორები იყვნენ ხ.პაჭკორია, ს.მიქელაძე, რ.შენგელია, ე.ადამია, ა. მაჭავარიანი, მოხსენება გააკეთა ხ.პაჭკორიამ. მან სხდომას გააცნო პროფესორ შალვა მიქელაძის ცხოვრების წარეკლიანი გზა. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ შალვა მიქელაძე, სრულიად ახალგაზრდა ექიმი, ცნობილი ხდება ქართულ საზოგადოებაში. ის მკურნალობდა საქართველოს ფედერალისტთა პარტიის თავმჯდომარეს – არჩილ ჯორჯაძეს და დიდ პოეტს – ვაჟა-ფშაველას. შალვა მიქელაძე ხდება ფედერალისტთა პარტიის აქტიური წევრი, ხოლო 1918 წელს საქართველოს პარლამენტში მდივნის მოად-



გილედ ნიშნავენ. იგი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც 1925 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „სისხლის წებოვნება მაღარიის დროს“. შალვა მიქელაძე არის ინფექციური კათედრის და შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კათედრის დამაარსებელი, მისი უცვლელი გამგე საბედისწერო 1938

წლის აგვისტომდე. იგი ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში, სადაც გაეცნო კუჭ-ნაწლავის დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდებს. დაუახლოვდა მსოფლიოში ცნობილ კლინიციკებს – ვაკეზს, ვიდალის და სხვებს. სამწუხაროდ, მის წინააღმდეგ ამოქმედდნენ მოშურნე ექიმები, განსაკუთრებით ძველი ბოლშევიკები. მას დააბრალეს ბურჟუაზიული ინტელიგენტობა, ნაციონა-

ლისტობა, არასოციალისტურ პლატფორმაზე დადგომა, „კონდრატიევიჩის მხარდაჭერა“ და მრავალი სხვა. შალვა მიქელაძე დაიცვა პროფესორმა ალექსანდრე ალადაშვილმა, ხოლო მის წინააღმდეგ გამოდიოდა ბოლშევიკი, პროფესორი კლიმენტი ცომაია, რომელიც, ბედის ირონიით, შალვა მიქელაძის კლინიკაში აღიზარდა. განსაკუთრებით დაიძაბა მდგომარეობა 1937 წელს, მას შემდეგ, როცა მოსკოვში დააპატიმრეს დიდი კლინიციკტი, შალვა მიქელაძის მეგობარი, პროფესორი დიმიტრი პლეტნიოვი. მანამდე კი დააპატიმრეს შ.მიქელაძის დაუძინებელი მოწინააღმდეგე კლიმენტი ცომაია. მას ტროცკისტობა ედებოდა ბრალად და, როგორც, ხალხის მტერი, დახვრიტეს. ამას შ.მიქელაძის შემდგომ ცხოვრებაზე დადებითად არ უმოქმედია. კლიმენტი ცომაიას ადგილი დაიკავეს სხვა, ძველმა, ბოლშევიკებმა, რომლებმაც შალვა მიქელაძეს მოსთხოვეს საჯაროდ დაეგმო თავისი მეგობარი დ.პლეტნიოვი.

მაგრამ შ.მიქელაძემ მათ საკადრისი პასუხი გასცა, რის გამოც მას პირად საქმეში ჩაუნერეს ხალხის მტრის, „მანიაკი“ ექიმის დაცვა.

1938 წლის აგვისტოს თვეში შალვა მიქელაძეც დააპატიმრეს ბორჯომის ვაგზალზე შეთითხნილი ბრალდებით: თითქოს „მან პროფესორ გ.ელევასთან ერთად ბაქტერიებით მონამლა მდინარე მტკვარი, რათა საბჭოთა მშრომელებისთვის ზიანი მიეყენებინა“. მას ამის გამო მიესაჯა დახვრეტა, რაც შემდეგ 25-წლიანი პატიმრობით შეუცვალეს. იგი სასჯელს იხდიდა ორიოლის ციხეში 170 პატიმართან ერთად. მათ შორის იყვნენ: პროფ.



დ.პლეტნიოვი, უკრაინის კომპარტიის ცკ-ს მდივანი ქრისტიან რაკოვსკი, ესერების პარტიის ლიდერი მარია სპირიდონოვა, ლ.ტროცკის და და გალაკტიონ ტაბიძის მეუღლე – ოლია ოკუჯავა.

1941 წელს გერმანიასთან დაწყებულმა ომმა საბედისწეროდ იმოქმედა პოლიტპატიმრებზე. ნაცვლად იმისა, რომ შეესრულებინათ მათი თხოვნა საბრძოლველად წასვლისა, მოსკოვიდან პოლიტპატიმართა დასახვრეტად გააგზავნა შინსახკომის სპეცრაზმი ლ. ბერიას პირველი მოადგილის, ბოგდან (ბახჩო) ქობულაშვილის მეთაურობით, მომხსენებელმა დეტალურად აღწერა 1941 წელს ორიოლის ციხესა და ტყეში დატრიალებული ტრაგედია – თუ როგორ გამოუცხადეს პატიმრებს დახვრეტის შესახებ, როგორ ჩასვეს „შავ ყორნებში“ და როგორ დახვრიტეს სათითაოდ ორიოლის ტყეში 157 პატიმარი ისე, რომ ერთმანეთის დახვრეტას აყურებინეს, შემდეგ კი ერთად ჩაყარეს წინასწარ გამზადებულ ორმოში, რომელთა შორის ჯერ კიდევ ბევრი

ცოცხალი იყო და მათი ფართხალი ზემოდან დაყრილ მინას ტალღასავით არხვედა. თუმცა ჩეკისტებმა უმალ იზრუნეს ამაზე. დამატებით მინა მოაყარეს, ტრაქტორით დატკეპნეს და ზემოდან ხეები დარგეს.

დახვრეტილ პოლიტპატიმართა სრული რეაბილიტაცია მოხდა „პერესტროიკის“ პერიოდში, 1990 წლის 26 ივლისს, როცა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

მანამდე კი ორიოლის ციხის პოლიტპატიმართა დახვრეტის ადგილმდებარეობა და საერთო „საძმო საფლავი“ მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. 1991 წლის 11 მაისს, საზარელი დახვრეტის ადგილზე, ორიოლის ახლოს, ე. წ. „დათვების“ ტყეში, აღიმართა ძეგლი, ხოლო ციხის კედელზე გაიხსნა მემორიალური დაფა.

აღსანიშნავია, რომ ამ მოხსენების ავტორებმა ორჯერ სცადეს შალვა მიქელაძისა და ოლია ოკუჯავას საფლავის მოძებნა, მაგრამ თბილისიდან გაგზავნილმა ბიზნესმენმა და სტუდენტმა ვერ მიაგნეს მას. მხოლოდ მას შემდეგ, როცა დეტალურად იქნა შესწავლილი დახვრეტისა და საფლავის ადგილმდებარეობის სავარაუდო ვერსია, შალვა მიქელაძის შვილიშვილმა, ცნობილმა მეცნიერ-მეტალურგმა, არჩილ მიქელაძემ, ბოლოსდაბოლოს მიაგნო დახვრეტის ადგილსა და „საძმო საფლავს“.

ამრიგად, მხოლოდ დახვრეტიდან 62 წლის შემდეგ, გახდა შესაძლებელი შალვა მიქელაძისა და ოლია ოკუჯავას საფლავის პოვნა.

პროფესორმა ოქროპირ გოგიბერიძემ მაღალი შეფასება მისცა ხუტა პაჭკორიას მოხსენებას. მან გაიხსენა, თუ როგორი რუდუნებით აგროვებდა ის შალვა მიქელაძეზე მასალებს და ბოლო 20 წლის მანძილზე მისი ძალისხმევითა და პროფესორ ბაადურ რაჭველიშვილის მხარდაჭერით ჩატარდა 7 სამეცნიერო სხდომა საქართველოს გასტროენტეროლოგთა სამეცნიერო საზოგადოებაში. დაიბეჭდა არაერთი სტატია. „ეძიებდე და ჰპოვებდე“, - ასე დაახა-

სიათა გამომსვლელმა ავტორების შემოქმედება. მისივე აზრით, პოლიტპატიმართა საერთო საფლავის აღმოჩენა სცილდება ქართული მედიცინის ფარგლებს და ზოგად ეროვნულ მნიშვნელობას იძენს. ასევე, პროფესორმა ო.გოგიბერიძემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ წელს სრულდება 110 წლის-თავი გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან და საჭიროა ოლია ოკუჯავას საფლავის აღმოჩენის შესახებ ეცნობოს გალაკტიონის სახლ-მუზეუმსა და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას.


– „უდიდესი კმაყოფილების გრძნობა დამეუფლა დღეს, – ასე დაიწყო თავისი აზრის გამოთქმა ნევროპათოლოგმა იზოლდა შენგელიამ. უფლება არა გვაქვს ხაზგასმით არ აღინიშნოს ის დიდი ენთუზიაზმი და პატრიოტიზმი, რომელიც სასიქადულო წინაპრების მიმართ ამ მაღლიერმა შთამომავლობამ გამოიჩინა. მომხსენებელმა ხ.პაჭკორიამ მსმენელს შეახსენა შ.მიქელაძის – ამ უდიდესი თერაპევტი მეცნიერის მოღვაწეობის შესახებ, რომელიც ძნელბედობის ჟამს უდანაშაულოდ შეენირა ბოლშევიკების დიქტატურულ პოლიტიკას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ სხდომას არა მარტო აკადემიური, არამედ ისტორიული და დიდაქტიკური მნიშვნელობაც აქვს. ყოველივე ეს მიგვანიშნებს, თუ როგორ უნდა დააფასოს შთამომავლობამ წინაპართა ამაგი და უკვდავყოს მათი სახელი“.

მომხსენებელს შეკითხვები დაუსვეს პროფესორებმა ვ.გვანცელაძემ, გ.კალანდარიშვილმა. სხდომის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ბაადურ რაჭველიშვილმა აღნიშნა, რომ ამ აღმოჩენის შესახებ ბატონი ხუტა პაჭკორია მოხსენებას გააკეთებს საზოგადოება „მემორიალის“ სხდომაზე. მისი

აზრით, შალვა მიქელაძის და ოლია ოკუჯავას საზარელი დახვრეტის ადგილმდებარეობის და საერთო საფლავის აღმოჩენა ზოგად ეროვნულ მნიშვნელობას იძენს.

სხდომაზე პროფესორმა რ.შენგელიამ დასვა საკითხი წამებული ექიმის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორის, შალვა მიქელაძის, ხსოვნის უკვდავსაყოფად, ასოციაციას ენოდოს შალვა მიქელაძის სახელი, ხოლო ეზოში აღიმართოს 1937-38 წლებში რეპრესირებულ ექიმთა მემორიალი.

დასასრულ, მომხსენებელმა წარმოადგინა ქ.ორიოლის ციხის პოლიტპატიმართა დახვრეტის ადგილსამყოფელის და საერთო, „საძმო საფლავის“ უნიკალური სურათები, რომელიც პირველად იბეჭდება „სამედიცინო გაზეთში“.



ოლია ოკუჯავას საფლავი ნაპოვნია!

1941 წლის აგვისტოში გალაკტიონ ტაბიძემ საბოლოოდ ჩაიქნია ხელი ამქვეყნიერ ცხოვრებაზე. სწორედ ამ პერიოდში შეწყდა ოლია ოკუჯავას გამამხნეველები წერილები - დიდი პოეტის საყვარელი ქალი ქალბატონი სასიკვდილო განაჩენისათვის ემზადებოდა, რომელიც 1941 წლის 11 სექტემბერს ბოგდან (ბაღჩო) ქობულოვმა (ბერიას მოადგილემ) პირადად მოიყვანა სისრულეში. ოლია ოკუჯავა 170 დასახვრეტ ადამიანს შორის 87-ე იყო სიაში. თუმცა, ადგილი, სადაც მისი ცხედარი განისვენებდა, დღემდე უცნობი იყო. და აი, დიდი გალაკტიონის 110 წლის იუბილესთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალური კლინიკის გასტროენტეროლოგმა, ბატონმა ხუტა პაჭკორიამ ქართველ საზოგადოებას სიურპრიზი მოუმზადა. მან პროფესორ შალვა მიქელაძის საფლავის პოვნის კვალდაკვალ, პოლიტპატიმართა მასობრივი დახვრეტის ადგილი აღმოაჩინა, სადაც 170 პატიმარს შორის ქალბატონი ოლია ოკუჯავაც არის დასაფლავებული.

ხუტა პაჭკორია, საქართველოს გასტრო-ენტეროლოგთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტისა და მედიცინის ისტორიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი: - ოლია ოკუჯავას საფლავი შემთხვევით აღმოვაჩინეთ,

როგორც გასტროენტეროლოგი, დაინტერესებული ვიყავი შალვა მიქელაძის ცხოვრების უცნაური დეტალების შესწავლით. ბატონი შალვა საქართველოში გასტროენტეროლოგიის ფუძემდებელია, იგი ცნობილი პროფესორი (თერაპევტი) გახლდათ, რომელიც 1938 წელს ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და ნაციონალისტების ბრალდებით დააპატიმრეს, ხოლო სამიოდე წელიწადში დახვრიტეს. ერთი სიტყვით, ამ პროვინციის შესახებ წიგნს ვწერდი. თითქოს ყველაფერი მზად მქონდა, მარამ არ ვიცოდი, სად იყო დასაფლავებული. 1991 წელს მოულოდნელად ბიბლიოთეკიდან გადაყრილ მაკულატურას - კომუნისტური ეპოქის ჟურნალ-გაზეთებს ნავაწყდი, სადაც სრულიად შემთხვევით ჟურნალ „Известия ЦК КПСС“-ში ამოვიკითხე ინფორმაცია რუსეთში, ორიოლის ტყეში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ. იქვე ეწერა დახვრეტილთა სია, რომელთა შორის შალვა მიქელაძე 70-ე იყო, 87-ე ნომრად კი - ოლია ოკუჯავა. დახვრეტილთა სიაში ამოვიკითხე ბევრი სხვა

ცნობილი სახელიც - უკრაინის კომპარტიის ცეკას მდივანი რაკოვსკი, ესერების პარტიის ლიდერი მარია სპირიდონოვა, ტროცკის და და სხვები. ქალაქ ორიოლში ჩასვლა საქართველოში დატრიალებული პოლიტიკური მოვლენების გამო დროულად ვერ მოხერხდა. მხოლოდ 2003 წლის ივლისში შევძელით აღნიშნული ადგილის პოვნა. მე, შალვა მიქელაძის შვილიშვილმა არჩილ მიქელაძემ და დოცენტმა ელგუჯა ადამიამ წინასწარ შევიმუშავეთ გეგმა, რის საფუძველზეც არჩილ მიქელაძემ ე.წ. მედვედევის ტყეში ეს საფლავი იპოვა.

- რა დეტალების გარკვევა შეძელით ამ საიდუმლო და სენსაციური დახვრეტის შესახებ?

- ოლია ოკუჯავას ძმები - მიხეილ, შალვა და ალექსანდრე ოკუჯავები სტალინის იდეური მონი-



ამ ადგილას, ორიოლის "დათვების ტყეში", 1941 წლის 11 სექტემბერს მხედურად დახვრიტეს და დაფლეს 69 წლის დიმიტრი პლეგნიოვი, 57 წლის შალვა მიქელაძე და 53 წლის ოლია ოკუჯავა.

ნალმდეგეები იყვნენ, რის გამოც 5 დედამიშვილიდან 4 დააპატიმრეს (მათ ბრალად ტროცკის მომხრეობა ედებოდათ, თუმცა ოლია ოკუჯავა ტროცკის ვერ იტანდა და ლენინს აღმერთებდა). ოლია კი ყველაზე სასტიკ და მძიმე პირობებში ორიოლის ციხეში გაამწყვდეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, იგი ბოლომდე იდგა თავის პოზიციაზე, უფრო მეტიც, ციხის თანამშრომლებს პირში ეუბნებოდა - სტალინი ბოროტების სათავეაო. ამიტომაც

იყო, რომ განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ. 1941 წელს გერმანიასთან დანებებულმა ომმა საბოლოოდ გადაწყვიტა მისი და მთლიანად 170 პოლიტპატიმრის ბედი.

ჯ ა ლ ა თ ე ბ ი



მიუხედავად იმისა, რომ ისინი საბრძოლველად ფრონტზე წასვლას ითხოვდნენ, მოსკოვიდან პოლიტპატიმართა დასახვრეტად ბერიამ თავისი მოადგილის ბოგდან (ბაღმო) ქობულაძის მეთაურობით შინაგარეშის სპეციალური რაზმი გააგზავნა. ეს ის პერიოდი, როცა გერმანელები მოსკოვისკენ მარშით მოინევენ და საბჭოთა მთავრობამ, თავის დაზღვევის მიზნით, მიიღო გადაწყვეტილება – პატიმრები, რომლებსაც ორიოლის ციხეში 20-25 წელი ჰქონდათ მისჯილი, დაეხვრეტათ. მათ წინასწარ იცოდნენ დახვრეტის შესახებ, მეტიც, დახვრეტის სცენას აყურებინეს, ხოლო შემდეგ წინასწარ გამზადებული ორმოში ერთად ჩაყარეს. მათ შორის ბევრი ცოცხალი იყო და ამ ადამიანების ფართხალი ზემოდან დაყრილ მინას ტალღასავით არხვდა. ჩეკისტებმა ნახევრად ცოცხალ ადამიანებს მინა დააყარეს, დატკეპნეს და ზემოდან ხეები დარგეს.

ორიოლის ციხის პოლიტპატიმართა დახვრეტის ადგილმდებარეობა და საერთო საძმო საფლავი მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. მხოლოდ „პერესტროიკის“ შემდეგ 1991 წლის 11 მაისს აღიმართა ძეგლი ამ საზარელ ადგილზე.

– **დავას თუ არა დღის წესრიგში გალაკტიონ**

ტაბიძის მეუღლისა და შალვა მიქელაძის ძვლების საქართველოში გადმოსვენების საკითხი?

– ნახევარი საუკუნის შემდეგ 170 პატიმარს შორის პრაქტიკულად შეუძლებელია გვამის ამოცნობა, თუმცა, თეორიული შანსი არსებობს (გენეტიკური დნმ-ის გამოკვლევით, რაც ძალიან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული). სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მხოლოდ იმით უნდა დავემყოფილდე, რომ ოლია ოკუჯავასა და უსამართლოდ დახვრეტილი დიდი მეცნიერის შალვა მიქელაძის საფლავი, რომლებიც სამუდამოდ დაკარგული გვეგონა, ნაპოვნია. სხვათაშორის ბატონმა არჩილმა, როდესაც ორიოლის ტყეში საძმო საფლავი მოინახულა, დაკრძალვის ადგილიდან მინა წამოიღო, რომელიც საზეიმო ვითარებაში უნდა მოეყაროს გალაკტიონ ტაბიძის საფლავს.

– პარადოქსია... მაშინ, როდესაც ოლია ოკუჯავას ხვრეტდნენ, გალაკტიონი რევოლუციაზე წერდა ლექსებს.

– გალაკტიონ ტაბიძე, სასტიკი ცენზურის გამო, იძულებული იყო, რევოლუციაზე ეწერა ლექსები... როგორ გგონიათ, პოეტმა მეფეს სტალინის ეპოქაში რომ ბედნიერად ეგრძნო თავი, დარდს ღვინით გაიქარებდა?! თუმცა, მან სიკვდილამდე მაინც მოასწრო მთავარი სათქმელის თქმა. 1956 წელს გალაკტიონმა დაწერა ლექსი, რომელიც ი.ლორთქიფანიძის (გალაკტიონის მკვლევარი) არქივში ინახება და საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი. ამ ლექსში სტალინის დესპოტური ბუნება და საქართველოს წინაშე მისი დიდი დანაშაულია მხილებული.

– ბატონო ხუტა, როგორც უკვე აღნიშნეთ, წიგნს წერთ, სადაც ეს ისტორია იქნება მოთხრობილი...

– ოლია ოკუჯავა ქართველ ხალხში ასოცირდება, როგორც სიყვარულის სიმბოლო. ამ წიგნშიც დაწვრილებით იქნება მოთხრობილი გალაკტიონისა და ოლია ოკუჯავას ტრაგიკული სიყვარულის ისტორია და, საერთოდ, ინტელიგენციის ტრაგიკული ბედი საბჭოთა საქართველოში.

ესაუბრა ნატო ფოცხიშვილი

ქართველი ექიმის მნიშვნელოვანი მიგნება

ბოლშევიკური რეჟიმის დაუნდობლობამ და სისასტიკემ ბევრი ღირსეული ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მრავალრიცხოვან მსხვერპლთა შორისაა დიდი თერაპევტი, გასტროენტეროლოგიის ფუძემდებელი საქართველოში, პროფესორი შალვა მიქელაძე, რომლის საფლავი და ცხოვრების ბოლოდროინდელი პერიოდი წლების მანძილზე უცნობი იყო საზოგადოებისთვის. ამ საკითხის შესწავლით ჯერ კიდევ ათი წლის წინ დაინტერესდა ცნობილი გასტროენტეროლოგი, ბატონი ხუტა პაჭკორია, რომლის მონადინებით და დიდი ძალისხმევით მოხერხდა პროფესორ შალვა მიქელაძის საფლავის მოძიება, ამ ძიებისას დადგინდა პოლიტპატიმართა მასობრივი დახვრეტის ადგილსამყოფელი (ქ.ორიოლის მედვედევოს ტყე) და გაირკვა, რომ დახვრეტილ ადამიანთა შორის იყო გალაკტიონის მეუღლე, ქალბატონი ოლია ოკუჯავა.

ამ მნიშვნელოვანმა აღმოჩენამ მიიპყრო ქართული მასმედიის ყურადღება, თუმცა სასიხარულოა, რომ მაშინ, ბ-ნი ხუტა პაჭკორიას სურვილით, ექსკლუზიური ინფორმაცია ჩვენი გაზეთის საშუალებით მიენოდა მკითხველს და საზოგადოებამაც პირველად „სამედიცინო გაზეთიდან“ შეიტყო აღნიშნული ფაქტის შესახებ.

ახლახან, გალაკტიონის სახლ-მუზეუმში, საზოგადოება კიდევ ერთხელ შეიკრიბა,

რათა პატივი მიეგო ოლია ოკუჯავას და, მასთან ერთად, უდანაშაულოდ დახვრეტილი ადამიანების ხსოვნისათვის და კიდევ ერთხელ ემსჯელა ამ შემზარავი დანაშაულის მიზეზებსა და შედეგებზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ ქართველი სიტყვის ოსტატები და ქომაგები – მწერლები, პოეტები, ჟურნალისტები, ექიმები, გალაკტიონის პოეზიის თაყვანისმცემლები. ინტერესი მართლაც დიდი იყო: პატარა დარბაზი მსურველებს ვერ იტევდა.

ბ-ნი ხუტა პაჭკორია აპირებს გამოსცეს წიგნი შალვა მიქელაძის და ოლია ოკუჯავას ცხოვრების და ტრაგიკული აღსასრულის შესახებ.

სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით, მის მიერ მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, ისაუბრა ბ-ნმა ხუტამ. დაისვა შეკითხვები, რომელიც შეეხო ჩატარებული ძიების დეტალებს, დახვრეტის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა ვინა-

ობას და ახალი წიგნის გამოცემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს. ავტორმა წარმოადგინა ფოტომასალა და, ჩვეულებისამებრ, საინტერესოდ და ამომწურავად უპასუხა საზოგადოების შეკითხვებს.

გამომსვლელებმა: გალაკტიონის სახლ-მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა ნატო გაბისონიამ, დიდი პოეტის ძმისშვილმა, პროფესორმა ნოდარ ტაბიძემ, მწერალმა რეზო კვერენჩილაძემ (ავტორი რეპრესირებულ მწერალთა შესახებ წიგნებისა



„ნამების სამყაროში“, „დოკუმენტები ღადებენ“), პროფესორმა რამაზ შენგელიამ, პოეტმა ღია სტურუამ, გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ბესტსელერის, „უცნობის“, ავტორმა, პოეტმა ვახტანგ ჯავახიძემ, ცნობილმა მხატვარმა რეზო ადამიამ და სხვებმა აღფრთოვანება ვერ დაფარეს ქართულ ექიმთა და კერძოდ, ბ-ნი ხუტა პაჭკორიას მიერ განუული ღვანლის გამო პოლიტპატიმართა საერთო საფლავის აღმოჩენის თვალსაზრისით, რაც სცილდება მედიცინის ფარგლებს და ზოგადეროვნულ მნიშვნელობას იძენს. როგორც ბატონმა ხუტა პაჭკორიამ აღ-

ნიშნა, ნიგნში, რომელიც მალე გამოიცემა, დეტალურად აღინიშნება შალვა მიქელაძის და ოლია ოკუჯავას ცხოვრებასა და გარდაცვალებასთან დაკავშირებული ყველა ფაქტი თუ მოვლენა - თანდართული ფოტომასალით და ახალგაზრდა მხატვრის, ვახტანგ ჯორკოშვილის ილუსტრაციებით.

ნიგნის რამდენიმე ეგზემპლარი გალაკტიონის სახლ-მუზეუმს გადაეცემა საჩუქრად.

შეხვედრა გაალამაზა თბილისის 90-ე საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ ნაკითხულმა გალაკტიონის ლექსებმა.

ნატო ბოლქვაძე

შავი, ყინულოვანი ვარდის სული...

ორიოლში ვერდახვრეტილი სიყვარულის ამბავი

გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში ექიმი, პროფესორი შალვა მიქელაძე და გალაკტიონის მეუღლე ოლია ოკუჯავა ახსენეს. შალვა მიქელაძე, ოლა ოკუჯავა, დიმიტრი პლეტნიოვი და სხვა პოლიტპატიმრები ორიოლის ციხეში იხდიდნენ „სასჯელს“. 1941 წლის 11 სექტემბერს ისინი ორიოლის მახლობლად, სოფელ მედვედევოსთან ტყეში მონამებრივად აღესრულნენ - ყველანი დახვრიტეს.

რესპუბლიკური საავადმყოფოს გასტროენტეროლოგმა ხუტა პაჭკორიამ მიაკვლია შალვა მიქელაძისა და ოლია ოკუჯავას დახვრეტის ადგილმდებარეობას და საერთო საფლავს.

სახლ-მუზეუმის დირექტორმა ნატო გაბისონიამ ამ ფაქტს ჩვენი ერის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი უწოდა, ხოლო თავად ბატონმა ხუტამ - საუკუნის შემზარავი დანაშაული.

სალამოს დასრულების შემდეგ რამდენიმე

შეკითხვით მივმართეთ ბატონ ხუტა პაჭკორიას, რომელსაც უკვე მზად აქვს ნიგნი ამ ტრაგიკული ისტორიის თაობაზე და მალე გამოსცემს.

ეს ამბავი 1941 წლის 11 სექტემბერს მოხდა. შალვა მიქელაძეც და ოლია ოკუჯავაც ორიოლის ცენტრალურ (საგუბერნიო) ციხეში იხ-

დნენ, სასჯელს იხდიდნენ, - გვითხრა ბატონმა ხუტამ, - ეს ის პერიოდი იყო, როცა გერმანიის არმია ომით მიიწევდა მოსკოვისაკენ და დღე-ღღეზე უნდა აელო. მოსკოვში კრიტიკული ვითარება შეიქნა, მაგრამ მოსკოვამდე სმოლენსკი და ორიოლი იყო... ეს საბედისწერო ციხე ორიოლში მდებარეობდა, სადაც ცნობილი პოლიტპატიმარი გამოემწყვდიათ.

ამ დროს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს (НКВД) ლავრენტი ბერია

ხელმძღვანელობდა. ბერიამ სტალინს ასეთი შინაარსის წერილი მისწერა: იმის გამო, რომ გერმანელ ოკუპანტთა ჯარები მოსკოვისკენ



მოიწვედნენ და დღე-დღეზე მოსალოდნელია ორიოლის ალება (ეს მოხდა 20 დღის შემდეგ), ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, გაცნობოთ, ორიოლის ციხეში 170 პოლიტპატიმარი იმყოფება, რომლებიც ციხეში ანტისაბჭოთა პროპაგანდას ეწევიან, ნერგავენ გერმანელებთან დამარცხების გარდაუვლობას, პანიკასა და შიშს თესავენ პატიმრებზე, საჭიროდ მიგვაჩნია, მათ მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება – დახვრეტა. ველით თქვენს განკარგულებას.

ამ სიაში სტალინის მრავალი ნაცნობი იყო, მათ შორის: შალვა მიქელაძე, საქართველოში გასტროენტეროლოგიის ფუძემდებელი, მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი. შალვა მიქელაძის დედა საშა ნულუკიძის ღვიძლი მამიდა იყო. სტალინს ძალიან უყვარდა საშა ნულუკიძე და 1905 წელს, მის დაკრძალვაზე ბრწყინვალე სიტყვაც წარმოთქვა.

სტალინისთვის ახლობელი იყო ქუთაისის სახელგანთქმული რევოლუციონერების – ოკუჯავების ოჯახიც. ოლია ოკუჯავასაც პირადად იცნობდა. ქუთაისელი ხარაზის სტეფანე ოკუჯავას 8 შვილიდან 6 რევოლუციონერი გახდა. შემდეგში მიხეილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა, შალვა – თბილისის ქალაქკომის პირველი მდივანი, ნიკოლოზი – რესპუბლიკის პროკურორი, ოლია – მუშათა და გლეხთა ინსპექციის მდივანი. სამწუხაროდ, 8 დედამამიშვილიდან, მარიამისა და ვასილის გარდა, ყველა დახვრიტეს.

ამავე სიტუაციაში სტალინმა დაინდო ოლია ბრიკი – მაიაკოვსკის მეგობარი. როდესაც სტალინმა ოლია ბრიკი დასახვრეტა სიაში იხილა, წაშალა და თქვა – არ შეიძლება მისი დახვრეტა, რადგან მაიაკოვსკის ახლოს მეგობარია და საბჭოთა ხალხი ვერ გაგვიგებსო. მან ეს გაიხსენა და ის დაავინყდა, რომ ოლია ოკუჯავა ცნობილი რევოლუციონერების ოჯახიდან იყო და იმავდროულად – გალაკტიონის მეუღლე!

ჩეკას მიერ ოლია ოკუჯავას დაპატიმრებიდან 2 დღის შემდეგ გალაკტიონი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. საგულისხმო ფაქტია!

– რით ახსნით, რომ თვით გალაკტიონი დაპატიმრება-რეპრესიებს გადაურჩა?

– გალაკტიონმა გონივრულ ტაქტიკას მიმართა, სხვებისგან განსხვავებით, ხელისუფლებას უშუალოდ არასოდეს ლანძღავდა. თავს აჩვენებდა ყველას, რომ არაამქვეყნიურია. ეს როლი კარგად მოირგო... მისი შემხედვარე, ამბობდნენ, ლოთია, თავი დაანებეთ, საშიში რა აქვსო? ასე გადაირჩინა თავი, და მადლობა უფალს, რომ ეს მოახერხა. სწორედ ამის შემდეგ შექმნა „ნიკორწმინდა“ და სხვა პოეტური შედეგები.

თავად გალაკტიონი ძალიან განიცდიდა ოლიას ბედს. ეს მშვენივრად იგრძნობა მათი მიმოწერიდან.

ოლია ორჯერ დააპატიმრეს. პირველად 1929-32 წლებში, ძმებთან ერთად ყაზახეთში გადაასახლეს, 1933 წელს დაბრუნდა, მეორედ 1937 წელს დააპატიმრეს და ძმებთან ერთად დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ რატომღაც დასახვრეტა სიიდან ამოიღეს და სასჯელი 25 წლით, ანუ ხანგრძლივი ვადით პატიმრობით შეუცვალეს.

სწორედ ორიოლის ციხეში აღმოჩნდნენ ერთად ოლია ოკუჯავა და შალვა მიქელაძე.

– უშუალოდ ვინ დახვრიტა ორიოლელი პატიმრები?

– ოფიციალური დასკვნის გამოტანა დაევა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას, რომელსაც ულრიხი თავმჯდომარეობდა. 20 წლის განმავლობაში ამ კაცმა 27 ათასი სიკვდილის განაჩენი გამოიტანა. ისე მოაწერა ხელი ამ ხალხის დახვრეტას, ორიოლში, სადაც ეს პოლიტპატიმრები ისხდნენ, არც კი ჩასულა.

ხელმოწერილი დოკუმენტი გადაეცა შინსახკომს, ბერიამ რეზოლუციით ქობულოვს გადაუმისამართა, რომელიც მაშინ მისი მოადგილე იყო. ის გახლდათ თბილისელი სომეხი, ცნობილი ჩეკისტი, გენერალ-ლეიტენანტი, უბოროტესი ადამიანი ბახჩო ქობულოვი.

ორიოლში ლუბიანკიდან 11 განვრთნილი მკვლელისგან შემდგარი რაზმი გააგზავნეს. ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხი ყოფილა, ადგილობრივ ჩეკისტებს არ ენდნენ და მოსკოვიდან მივლინებით გააგზავნეს სპეციალისტები. პატიმრები ციხიდან გამოიყვანეს, საცოდავებს ეგონათ, სამშობლო განსაცდელშია და

გვათავისუფლებენ, რომ ჩვენც ვიბრძოლოთ, მაგრამ შეცდნენ. პირდაპირ უთხრეს, საშიში ხართ და უნდა დაიხვრიტოთ. ორიოლიდან 10 კილომეტრის მოშორებით, სოფელ მედედევოს ტყეში წაიყვანეს. წინასწარ უზარმაზარი ორმო ამოთხარეს, პატიმრებს ორმოს კიდესთან აყენებდნენ და ზურგიდან, კეფაში, ესროდნენ. ორმოს ჰაიჰარად აყრიდნენ მინას, ამბობდნენ, რომ ზოგი მაშინვე არ მომკვდარა და წაყრილი მინა მოძრაობდა.

ორიოლის დახვრეტამდე ზუსტად წელიწადნახევრით ადრე, 1940 წლის აპრილში იმავე ხალხმა – ქობულოვმა, ბაშტაკოვმა, ბლოხინმა, ძმებმა შიგალიოვებმა... კატინში დაახლოებით 4 ათასამდე პოლონელ ოფიცერს მოუსწრაფეს სიცოცხლე. კატინის „ოპერაციისთვის“ ისინი დააჯილდოვეს მაღალი სამხედრო ჯილდოებით.

– რატომ გაიმეტეს დასახვრეტად ოლია ოკუჯავა და შალვა მიქელაძე? ისეთი რა დანაშაული მიუძღოდათ?

– შალვა მიქელაძე თბილისის უნივერსიტეტში მოწყობილ ლაზარეთში ვაჟა-ფშაველას პირადი მკურნალი იყო, ასევე – არჩილ ჯორჯაძის ექიმი. არჩილ ჯორჯაძის გავლენით შევიდა სოციალისტ-ფედერალისტების პარტიაში. შალვა მიქელაძე სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი გამორჩენილი მოღვაწე გახდა. 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პარლამენტის წევრი და სამანდატო კომისიის თავმჯდომარე იყო. მისი ხელმძღვანელობა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. ბოლშევიკები დევნიდნენ ამ პარტიის წევრებს, და, ბუნებრივია, შალვა მიქელაძეც დააპატიმრეს, მოგვიანებით დახვრიტეს კიდეც.

რაც შეეხება ოლია ოკუჯავას, ანგარიშგასანვე პოლიტიკურ მოღვაწეს იგი არ წარმოადგენდა, რომ ბოლშევიკებს მისი შეშინებოდათ. ოლია ძმების პოლიტიკურ საქმიანობას გადაჰყვა. ოლიას ძმები ბოლშევიკები იყვნენ, მაგრამ სერგო ორჯონიკიძისგან, შალვა ელიავასა და სხვათაგან განსხვავებით, მათ ეროვნულობა გამოარჩევდა. მაგრამ ოლიას ძმები სტალინის

იდეას – ამიერკავკასიის რესპუბლიკების – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ინტერნაციონალური კონგლომერატის ა/კავკასიის ფედერაციის შექმნას ეწინააღმდეგებოდნენ, იმიტომ კი არ დაგვიმყარებია საბჭოთა ხელისუფლება, რომ საქართველოს სახელი დაიკარგოსო.

ლენინი ამ საკითხში ბუდე მდივანსა და მიხეილ ოკუჯავას ემხრობოდა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ხელისუფლებაში სტალინი მოვიდა, ნელ-ნელა ჯერ



საყვედურებით აიკლო ისინი, მერე თანამდებობებიდანაც დააქვეითა.

ოლია მტკიცე ბოლშევიკი იყო, გალაკტიონი და ოლია ერთად წავიდნენ მოსკოვში... გალაკტიონი უსახსრობის გამო მალევე დაბრუნდა თბილისში, ოლიამ კი რალაცნაირად გაძლო, იქ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, თითქმის წელიწადნახევარი მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სამხედრო კომისარიატის განყოფილების გამგე იყო. 1921 წელს დაბრუნდა საქართველოში, როცა წითელი არმია შემოვიდა და გასაბჭოება მოხდა, ოლია დაინიშნა ჯერ განათლების სახალხო კომისარიატში, შემდეგ კი მუშათა და გლეხთა ინსპექციაში. ოკუჯავების ოჯახში ლენინს თანაუგრძნობდნენ, მათ შორის ოლიაც, სტალინის მიმართ კი

განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ.

პოლიტპატიმრების – ოლია ოკუჯავასა და შალვა მიქელაძის დახვრეტა ორიოლში ცნობილმა მხატვარმა რეზო (ემელიანე) ადამიამ და ახალგაზრდა შემოქმედმა ვახტანგ ჯორჯოშვილმა ნახატებზე აღბეჭდეს. ბატონი რეზოს ნახატზე ანგელოზი მოჩანს, რომელიც წამებულებს სულეთისკენ გზას უადვილებს. 17 მარტს ამ ანგელოზმა გალაკტიონის სულიც გაახარა - ორიოლიდან, ოლიას საფლავიდან აღებული მინა მის გულზე მოაყარეს. ეს მინა რამდე-

ნიმე წლის წინათ შალვა მიქელაძის შვილმა, პროფესორმა არჩილ მიქელაძემ ჩამოიტანა საქართველოში.

„ვინც არ უნდა მეალერსებოდეს, ვისაც არ უნდა ვუყვარდე, ჩემი სული შეიგრძნობს მხოლოდ შავი, ყინულოვანი ვარდის სულს – მხოლოდ შენს სიყვარულში, შენს თაყვანისცემაში შევიცნობ გაზაფხულის უნახეს მშვენიერებას და ვჭვრეტ მარადისობას“ – წერდა ოლია ოკუჯავა გალაკტიონს. ამ სიყვარულის მარადიულობა ახლახან კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა თავგანწირული მარტის სილამაზემ.

თამარ შაიშველაშვილი

რატომ ამოწვიტა სტალინმა ოკუჯავების ოჯახი

ცხოვრებაში არაფერია დამალული, ოდესღაც ყველაფერს ფარდა აეხდება და ხალხი სიმართლეს გაიგებს. სწორედ წლების შემდეგ გაირკვა და დადგინდა ოლია ოკუჯავას დახვრეტის მიზეზიც და ადგილიც. გვესაუბრება თსსუ-ის ცენტრალური კლინიკის ექიმი-გასტროენტეროლოგი, ბატონი ხუტა პაჭკორია.

- ბატონო ხუტა, რატომ დაინტერესდით ოლია ოკუჯავას ოჯახით?
- ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა, წლე-

ბის განმავლობაში ცნობებს ვაგროვებდი პროფესორ შალვა მიქელაძის შესახებ. ბატონი შალვა გასტროენტეროლოგი იყო, რომელიც 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა. მისი საფლავი ყველასთვის უცნობი გახლდათ, მაგრამ შემთხვევით ყველაფერი გამომჟღავნდა. აქვე გაირკვა, რომ ოლია ოკუჯავა და შალვა მიქელაძე ერთ ციხეში ისხდნენ და ერთად დახვრეტეს ე. წ. „დათვების“ ტყეში.

- ოლია ოკუჯავას ოჯახზე რას გვეტყვი?

- ოლია ოკუჯავა დაიბადა ქუთაისში 1888 წელს, ღარიბ ოჯახში. დედა – ლიზა პერუმშევა – ქართველი არ იყო. ლიზას მამა 25 წელი სალდათად მსახურობდა, მერე ქუთაისში ჩამოვიდა და ცოლად შეირთო მეძმარიაშვილის ქალი. შეეძინათ 3 ქალიშვილი, ერთ-ერთი ლიზა გახლდათ. ლიზა ცოლად გაჰყვა სტეფანე ოკუჯავას. ლიზას და სტეფანეს შეეძინათ 8 შვილი, მაგრამ სტალინმა ამოწვიტა მთელი ოჯახი. 8 შვილიდან 6 დახვრიტა. სასწაულად გადარჩა 2 უმცროსი შვილი: ვასია და მანია. მანია მოსკოვში გათხოვდა, კინორეჟისორს გაჰყვა, გვარი შეიცვალა, ამის გამო ვერ მიაგნეს. ვასია ნათესავებმა გადაამალეს, თანაც ასაკით პატარა იყო და ამიტომაც ვერ მიაგნეს.



– რატომ იყო სტალინი დაინტერესებული ოკუფაციების ლიკვიდაციით?

– ოლიას ძმები მგზნებარე ბოლშევიკები იყვნენ. მაგრამ ყველაზე კარგი, კეთილშობილი და მამულიშვილი მიშა ოკუფაცია იყო, რასაც ვერ ვიტყვით მის მეორე ძმაზე – შალვაზე, რომელიც საქართველოს კომკავშირის დამაარსებელი იყო ბორის ძნელაძესთან ერთად. შალვა ოკუფაცია თბილისის რეკომის თავმჯდომარეც გახლდათ. რუსეთმა 1921 წელს საქართველო რომ დაიპყრო და საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, პირველად ცეკას პირველ მდივანად მიხეილ ოკუფაცია დანიშნეს, მაგრამ მიხეილ ოკუფაცია სტალინის პოლიტიკის წინააღმდეგ წავიდა.

– რაში მდგომარეობდა ეს წინააღმდეგობა?

– როდესაც საბჭოთა კავშირი შეიქმნა, მსჯელობა დაიწყო, თუ რა სახით უნდა შესულიყვნენ შემოერთებული სახელმწიფოები საბჭოთა კავშირში. სტალინი ნაციონალური საკითხის კომისარი იყო. მისი იდეა იყო, რომ საქართველო საბჭოთა კავშირში საქართველოს სახელით კი არ შესულიყო, არამედ ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობით. ამის წინააღმდეგ წავიდნენ მიხეილ ოკუფაცია და ბუდუ მდივანი. ამიტომ მათ სტალინის მომხრეებმა დაარქვეს „მემარჯვენე გადახრა“, ანუ უკლონისტები. თუმცა, მანამდე ბუდუ მდივანი და სტალინი ძმაკაცობდნენ. ბუდუ მდივანი მოსკოვში რომ ჩადიოდა, სასტუმროში კი არ ჩერდებოდა, სტალინს კრემლში სტუმრობდა.

– ლენინი რომელ მხარეს ემხრობოდა?

– ლენინი მიხეილ ოკუფაციას ემხრობოდა. ლენინმა სტალინზე და სერგო ორჯონიკიძეზე თქვა: ესენი ის ვაი-რუსები არიან, რომლებიც რუსებზე მეტად იჩემებენ რუსობასო. სტალინს უნდოდა, რომ საქართველოს სახსენებელი ამოვარდნილიყო. ლენინი ძალიან კარგად იცნობდა მიხეილ ოკუფაციას და ბუდუ მდივანს. ლენინი ოკუფაციას ქართველი კომუნისტების სინდისს ეძახდა, რაც სტალინს არ სიამოვნებდა, მას მიაჩნდა, რომ ყველაფერი თავად იყო და სხვა არაფერს წარმოადგენდა. ბუდუ მდივანი და მიხეილ ოკუფაცია ლენინთან რომ შევიდნენ, ლენინმა საქართველოს საკითხი მათ სასარგებლოდ გადანყვიტა. სტალინს ეს არ ესიამოვნა და ბოლმა გულში ჩაიდო. მერე ლენინი ავად

გახდა და მისი ადგილისთვის ბრძოლა დაიწყო ტროცკიმ და სტალინმა. ტროცკისთან კარგად იყვნენ მიხეილ ოკუფაცია და ბუდუ მდივანიც. სტალინმა ემბაკობას მიმართა, დაიწყო ტროცკის მომხრეების გადმობირება სხვადასხვა რესპუბლიკებიდან, მან სცადა ოკუფაციას და მდივანის გადმობირებაც, მაგრამ უარი მიიღო.

ასეთ ვითარებაში ოლია და მისი ქმარი, გალაკტიონ ტაბიძე, მოსკოვში ჩავიდნენ. ოლიამ გალაკტიონს ლენინი გააცნო. ლენინი ხშირად მიდიოდა ოკუფაციების სახლში, ერთ-ერთ სტუმრობის დროს მოხდა მათი გაცნობა. 1919 წელს ლენინმა ჩაატარა კომუნისტური შაბათობა, ოლიაც იღებდა შაბათობაში მონაწილეობას, მუშაობის დროს ხელი გაეჭრა და სისხლი მოენამლა. კინალამ ხელი მოაჭრეს, ბენზე გადარჩა. ამ დროს გალაკტიონი ქუთაისში იმყოფებოდა და ძალიან განიცდიდა ცოლის ავადმყოფობას. მალე ოლია ქუთაისში ჩავიდა და მუშურ-გლეხურ ინსპექციაში დაიწყო მუშაობა. ის მგზნებარე ბოლშევიკი იყო, აჭარაში ჩადიოდა, ჩადრის საწინააღმდეგო კამპანიებს ატარებდა და ძალიან აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა. მაუზერი მხარზე ეკიდა და ტყავის ჩექმებით დადიოდა.

– სხვა ძმების შესახებ რას გვეტყვი?

– ოლიას მეორე ძმა, შალვა, ძალიან სასტიკი პიროვნება გახლდათ. სტალინის მომხრე იყო და ეროვნულობა სულაც არ აწუხებდა. ცოლად შეირთო სომხის ქალი – ნალბანდიანი აშხენი. შალვა იყო ბულატი ოკუფაციას მამა.

მესამე ძმა, ნიკოლოზი (კოლია) 25-30 წლის ასაკში საქართველოს პროკურორი იყო. სახელმწიფო ბრალმდებელი იყო ა.ხელაიას სასამართლო პროცესზე.

მეოთხე ძმა, ალექსანდრე ესერი იყო და ძალიან პატიოსანი პიროვნება.

– სტალინმა როდის დააპატიმრა ბუდუ მდივანი და მიხეილ ოკუფაცია?

– სტალინმა 1936 წელს ორივე დააპატიმრა. ე.წ. „სამეულის“ სასამართლო პროცესი გაიმართა 1937 წლის 31 მაისს. როგორც ოკუფაციები განწყვიტა, ისე განწყვიტა ბუდუ მდივანის ოჯახიც. ოკუფაციებისგან განსხვავებით, მათ ვერ მოახერხეს დამალვა. ბუდუ და მისი 4 შვილი დახვრიტეს, ამ 4 ვაჟიდან ერთ-ერთი – არჩილი 25 წლის ასაკში საბჭოთა კავშირის

ჩემპიონი იყო ჩოგბურთში. ბუდე მდივნი ცოლი და ქალიშვილი გადაასახლეს. შვილი გადასახლებაში გარდაიცვალა.

მიხეილ ოკუჯავა თბილისში დახვრიტეს. ის ზახარ ივანეს ძე შაშურკინმა დახვრიტა. ეს იყო თბილისელი ჯალათი, წარმოშობით ყაზანელი თათარი. შაშურკინი №1 ჯალათი იყო საქართველოში. ამ ჯალათს დახვრეტაში გამოჩენილი სიმამაცისთვის ლენინის ორდენი მისცეს.

ბერიამ ბაქოში გაიცივნო ზახარ შაშურკინი და თბილისში ჩამოიყვანა. ბერიას პირადი მძღოლი იხსენებდა, რომ შაშურკინი დახვრეტის წინ ჯერ კარაქს ჭამდა, მერე ერთ ლიტრა არაყს აყოლებდა და ისე აკეთებდა თავის საქმეს. შაშურკინს, დახვრეტის გარდა, ევალეობდა სხვების დახვრეტილის შემონახვა და საკონტროლო გასროლა. 1 ლამეში 98 პატიმარს ხვრეტდა, მაგრამ მეზობლებმა მის შესახებ არაფერი იცოდნენ. 1938 წელს შაშურკინი სამსახურიდან დაითხოვეს, როგორც ყველა ჯალათი, ისიც უნდა მოეშორებინათ, მაგრამ ბერიამ მოსაკლავად არ გაიმეტა და ცოცხალი დატოვა. შაშურკინი ცეროზით გარდაიცვალა, ბერიამ დიდი პატივით დაასაფლავა.

– ოლია დიდ ფიგურას არ წარმოადგენდა, არც საშიში იყო სტალინისთვის, რატომ გადანვიტეს მისი მეორედ დაჭერა?

– ოლია ოკუჯავას ძალიან ვაჟკაცური ხასიათი ჰქონდა. ის ვერ იტანდა სტალინს, სადაც კი შეეძლო, ყველგან ლანძღავდა სტალინს. მოგეხსენებათ, ჯაშუშები ყველგან იყვნენ, ამიტომ სტალინმა პირველად ყაზახეთში გადასახლა. გადასახლებიდან რომ ჩამოვიდა, ძალიან შეცვლილი იყო, დაბერებული და მოტეხილი. გადასახლებაში ყოფნის დროს თამბაქოს მოწევა დაიწყო, თამბაქოს სიკვდილამდე ეწეოდა.

სტალინმა ოლია ოკუჯავა ორჯერ დააპატიმრა. ორივეჯერ მისი გამომძიებელი იყო სომეხი რაჩიკ ოვიანი. ეს სომეხი გამომძიებელი ისე აწამებდა პატიმრებს, ისე „გადაჭარბებით



ასრულებდა გეგმას“, რომ ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. მაგრამ 1938 წელს რაჩიკ ოვიანიც დაიჭირეს და დახვრიტეს.

– იმ ფაქტს როგორ ახსნი, სტალინმა გალაკტიონი რომ დააჯილდოვა?

– ეს იყო ყველაზე დიდი ცინიზმი სტალინის მხრიდან, ჯერ ცოლი მეორედ გადაუსახლა, მერე კი თავად ლენინის ორდენით დააჯილდოვა. პირველად გალაკტიონს მიენიჭა საქართველოს სახალხო პოეტის სახელი. სტალინმა გალაკტიონი პარიზში, მშვიდობის კონგრესზე გაგზავნა, სადაც პოეტი მოხსენებით გამოვიდა და საბჭოთა ხელისუფლება შეაქო.

ეს ფაქტი გასაკვირი არ არის, რადგან სტალინს ახასიათებდა ასეთი ცინიზმი. მაგალითად, მოლოტოვის ცოლი დაჭერილი იყო. თავად მოლოტოვი მისი პირველი მოადგილე გახლდათ, კალინინი უმალლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იყო, მისი ცოლი კი გადასახლებული გახლდათ.

– დავუბრუნდეთ ოლია ოკუჯავას. სანამ გადასახლებდნენ, რამდენი წელი დააკავეს ციხეში?

– ოლია ჯერ თბილისის ციხეში ჩასვეს, მერე ვლადიმირის ციხეში გადაიყვანეს, მერე კი – ორიოლის ციხეში. ეს ციხე მდებარეობს მოსკოვიდან 300-400 კილომეტრის დაშორებით. სწორედ ამ ციხიდან უგზავნიდა ის გალაკტიონს წერილებს. წერილები შეწყდა 1941 წლის 30 აგვისტოს. ამით გალაკტიონი მიხვდა, რომ ოლია ცოცხალი აღარ იყო.

– რატომ მოსთხოვა ბერიამ სტალინს ორიოლის ციხის პოლიტპატიმრების დახვრეტა?

– მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, გერმანელები დიდი წარმატებით მოიწვედნენ წინ. აგვისტო მთავრდება და გერმანელები ყველას აცნობებენ, რომ 7 ნოემბრისთვის მოსკოვში პარადს ჩაატარებდნენ. სანამ მოსკოვში შევიდოდნენ, მათ უნდა დაეპყროთ ორიოლი. ბერია სტალინთან შევიდა 1941 წლის 6 სექტემბერს და მოხსენება წარუდგინა, სადაც ეწერა,

რომ შესაძლოა გერმანელები შემოვიდნენ ორიოლში და პოლიტპატიმრები მათ ხელში ჩაუვარდნენო, ამიტომ ბერია პოლიტპატიმრების დახვრეტას ითხოვდა. არადა, პოლიტპატიმრები მოითხოვდნენ საბრძოლველად წასვლას. სტალინმა გასცა მათი დახვრეტის ბრძანება. ასე დახვრიტეს ოლია ოკუჯავა. მოსკოვიდან პატიმრების დასახვრეტად ორიოლის ციხეში გაგზავნეს შინსახკომის სპეცრაზმი, რომელსაც ბაღრი ქობულოვი ხელმძღვანელობდა. 159 პოლიტპატიმარს სათითაოდ წაუკითხეს განაჩენი, ყველას პირში ჩვარი ჩასჩარეს და მანქანებით წაიყვანეს მედვედევის ტყეში, ორმო წინასწარ ამოთხრილი ჰქონდათ. ორმოს გვერდით კი უზარმაზარი ხეები თავისი ფესვებით ეყარა. პატიმრებს ერთმანეთის დახვრეტა აყურებინეს. ყველა რომ დახვრიტეს, სათითაოდ შეამონმეს, ცოცხალი ხომ არავინ გადარჩა. მერე მინა მოაყარეს. ზედ ხეები დარგეს და ზვიდან კიდევ მოაყარეს მინა. მერე მოიყვანეს ტრაქტორი და მთელი ადგილი გადატკეპნეს.

ამ ამბიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ, ამ ამბის შემსწრე გამოჩნდა.

– ვინ იყო ეს ადამიანი?

– ეს გახლდათ დევნილი აფხაზეთიდან ანა ლაკტიონოვა, რომელსაც მეუღლე ქართველი ჰყავდა. სამწუხაროდ, ეს ქალი უკვე გარდაცვლილია. ქალბატონი ანა ჩემს საავადმყოფოში სანიტრად მუშაობდა. ერთ საღამოს საუბრის დროს აღნიშნა, რომ წარმოშობით ორიოლიდან იყო. აღმოჩნდა, რომ ის სწორედ იმ სოფლიდან იყო, სადაც მოხდა ამ 169 პატიმრის დახვრეტა. მაშინ ანა 16 წლის ყოფილა. ამ ქალმა გაიხსენა, რომ მამამისი ერთ საღამოს სახლში რომ მისულა, ოჯახისთვის უთქვამს: წუხელ, ღამე, დათვების ტყეში ქვეყნის მოლაღატეები დახვრიტესო. ანა იხსენებდა, რომ მეორე დღეს ბავშვები სოკოზე ტყეში წავედით, როდესაც პატარა გორას მივუახლოვდით, საშინელი სუნი ვიგრძენით, ეტყობა ღრმად არ იყო ამოთხრილი ორმო და მიცვალებულების სუნი იდგა.

ეს ქალი შევახვედრე შალვა მიქელაძის შვილიშვილს, რომელიც იმ ხანებში მოსკოვში მიდიოდა, ქალბატონმა ანამ ყველაფერი დეტალურად აღუწერა და დაუხაზა. ასე მივაგენით ამ ადგილს მედვედევის ტყეში. დღეს ამ ადგილზე საძმო საფლავია გაკეთებული.

ლია ოსაძე

ფოტოსურათების ნაწილი გადმოღებულია გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური ბინა-მუზეუმის ბუკლეტიდან (რედ.)



ეთერ აბარონოვა

პოეტი

სიტყვით ქართულით

(ჯემალ შონიას პოეტური კრებულის „მზის წყალი“ გამოცემის კვალდაკვალ)

წინამდებარე წერილი შესანიშნავი ქართველი პოეტის ჯემალ შონიას ახალი კრებულის გამოცემაზე გამომხატურება გახლავთ. თავისთავად წიგნის გამოცემა ზეიმი და დღესასწაულია და ეს სულისკვეთება და განწყობა უმთავრესი საბაზია, სურვილი აღგებდას ავტორისათვის, პოეზიის გურმანებისათვის თუ ფართო საზოგადოებისათვის ამ დღესასწაულის მილოცვისა. პოეზიის მორიგი აღზევება ამ ავტორის მეოხებით სულაც არ არის მოულოდნელი. ჯემალ შონიას ახალი პოეტური კრებულის „მზის წყალი“ ნაკითხვისას ისევ და ისევ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ იმატა მშვენიერებამ, სიამტკბილობამ, სიბრძნემ და გაამდიდრა და გაანაყოფიერა შემოქმედების, ხელოვნების ხნულები. გავმდიდრდით, გავიზარდეთ, დავბრძენდით. ძლივს გავურბივარ გულის ფსკერისკენ მიმართული სტრიქონების ციტირების ცდუნებას, რაიმე კონკრეტულზეც საუბარი ნაადრევია. წარმოუდგენელია პოეტური კრებულის ერთი ნაკითხვით ყველა შეგრძნებისა და შთაბეჭდილების გამოხატვა. პოეტური კრებულის ნაკითხვასაც ხომ თავისი წესი აქვს. განწყობის, გუნების შესაბამისად კითხულობ ამა თუ იმ მონონებულ შედეგს, უფიქრდები, აკვირდები, პოეზიის ზღაპრულ სამფლობელოში ეფლობი. ვერ ჰგუობ პანეგირიკებს, უბრალოდ, მოგწონს, აფასებ და ცდილობ, ოპტიმალური დრო მოიხელთო, როცა ჩასწვდი, ჩაღრმავდი, არც იმ ვითარებამდე – ნაკითხულ წიგნზე შთაბეჭდილება ან მისი ზემოქმედება გაგიქარვდეს, შეგიწვდეს. ამიტომ ვერ იქნება სრული ერთი კონკრეტული მკითხველის მსჯელობა, სჯა-ბაასი, მით უმეტეს, რომ პოეზია შეუფასებელი და შეუდარებელი სტიქიონია, პოეტი კი – წინასწარმეტყველი, და მახვილი სიტყვის ყველა შრე და სიღრმისეული

შინაარსი, მთელი სრულყოფით მომავლისკენ მიმართული, მომავალშივე გაიშიფრება და ყველა ნახნაგით აელვარდება.

„მზის წყალი“ – ამ დიდებული წიგნის სათაურიც მაგიური მიზიდულობის საწინდარია. ფილოსოფიური აზროვნება, პოეტური ოსტატობა, დახვეწილი გემოვნება – ძნელია ამ კომპონენტებით გაჯერებულმა სტროფებმა პოეზიის გურმანების, ნატიფი ხელოვნების დამფასებლების ყურადღება არ მიიპყროს, პოეტის თხზულებანი შინაარსობრივად, პოეტური ჟღერადობით, რითმებით დახვეწილი, სრულყოფილი და შეუდარებელია. ჯემალ შონიას პოეზიის შემოქმედების მაღალმხატვრული დონე მისი განათლებით და, რასაკვირველია, ბუნებით ბოძებულ უბადლო ნიჭით არის განპირობებული. ის სამყაროს, საგნების, მოვლენების ღრმა ცოდნას ეფუძნება და მის უდიდეს ერუდირებას ცხადყოფს. საგნების, შეგრძნებების აღწერით როდი შემოიფარგლება ავტორი. მისი პოეტური კრედიო უფრო ღრმა შრეების გამომზევებით ხორციელდება. მის ლექსს ახასიათებს ლექსიკური სიმდიდრე და ამავდროულად ის ზომიერების შეგრძნებას არ კარგავს. ქარაგმული მეტაფორებიც ხიბლავს ავტორს და გონებამახვილური გამოთქმებიც. მის ლექსში თავად სიტყვაც – ქარაგმაა. მისი ლექსი არ საჭიროებს ეპითეტებით გადატვირთვას. და მიუხედავად სიღრმისეული შრეების გამომზევებისა, კიდევ რჩება მის ლექსში რაღაც საიდუმლო და ღრმა შინაარსი, ამოუცნობი, მაგრამ ინტუიციით მისახვედრი, რაც ხიბლს მატებს მას და მკითხველს რაღაც სიდიადის და მიუწვდომელი მშვენიერების თანაზიარების სასიხარულო შეგრძნებას უმკვიდრებს.

29.04.23

ჯემალ შონია



დიდგორი და სვეტიცხოველი

ახალ დიდგორებს ისევ მოველით,
მტერს ძველებურად ისევ შევებათ...
დიდგორსაც ჰქვია სვეტიცხოველი,
დავდვით სხვა სვეტთა გასამხნეველად.


უნდა ფხიზლობდეს გული ნიადაგ,
მამულისათვის სისხლის მწირველი...
ტაძარსაც ბრძოლის ველი ჰქვია და
მასშიც ძლევაი ღვას საკვირველი.

მისთვის ძილის დრო აღარ დამდგარა,
დავითის მახვილს კვლავ აქვს სათქმელი;
არ იუანგება ხმალი, რადგანაც
ზედ დასციმციმებს ქრისტეს სანთელი.

კვლავ აივსება ლაშქრით მინდორი,
აისხამს აბჯარს მრევლი, მროველი,
რადგანაც ტაძრად გვიდგას დიდგორი
და ბრძოლის ველად — სვეტიცხოველი.

სამართლის პური

ის ჩამოძონძილ-ჩამოკონკილი
გამომეცხადა...
გაძვალტყავებულს, სახედატანჯულს
ზედ ეტყობოდა კაენის დანა, იუდას ყულფი,
სხვა ათასგვარი უბედურების
უკვდავი კვალი...
გზებით დაღლილი, დაქანცული,
ყოველწუთიერ ომში ნაბრძოლი,
ის ფეხზე იდგა
და თვალეზში ედგა სინათლე...
მე ვაპირებდი მისთვის პურით
გამასპინძლებას,
მაგრამ დამასწრო,
გახსნა ადამის დროინდელი
ჯვალოს აბგა და
გამომიწოდა პურის ნატეხი —
ხმელი და მაინც თბილი, მაინც
სურნელოვანი...
მერე გაბრუნდა, გაუყვა იმ გზას,
რომელიც, მისი პურის მსგავსად,
აღარასოდეს არ დამთავრდება;
წავიდა ომში, რომელიც,
მისი პურის მსგავსად,
არ დასრულდება;
წავიდა ჩამოფლეთილი ტანსაცმლით,
რომელიც, მისი პურის მსგავსად,
არ განახლდება...
წავიდა, რათა ისევ მოვიდეს
და ისევ პური მომიტანოს,
ურომლისოდაც უგემურია ყველა სხვა პური —
პური, რომელიც ქვეყნიერებას ჰყოფნის,
რადგან მუდამ მთელია.



იგრძნოს ზამთარმა

ერთფეროვნება მგზავრია გზათა, —
თოვლმა დაფარა ხე, ქვა და თიხა...
გამოდი გარეთ, ზამთარმა რათა
ნახოს, რომ შენ აქ ისევ დადიხარ.

თუ გარეთ გასვლას გადაიფიქრებ,
მყუდრო თათხის სევდით ამესვებო,
მიადე შუბლი ცივ მინას, იქნებ
იგრძნოს ზამთარმა, შენ რომ არსებობ.

ცას უერთდება

ერთი პირღია სამარის ნახვით
სული განაბეს მთებმა, ბარებმა...
ნახეს, რომ კაცმა დატოვა სახლი
და მიწის ნაცვლად ცას ებარება.

თან იდგა ყინვა, თან იყო ალხი,
ორივე ერთად იგრძნეს კედლებმა...
ნახეს, რომ კაცმა დატოვა სახლი
და მიწის ნაცვლად ცას უერთდება.

ეს ასე ხდება: გვცვივა თუ ვიწვით
და თუკი გვწყალობს უფლის ნათება, —
კვლავ აივსება ეს მიწა მიწით,
კაცი კი ზეცას შეემატება.

მტკვარის თოლიები

მტკვარს აუწყდება თოლიების
თეთრი ღილები,
მერე ქარი მათ მეტეხის კლდეს
გულზე მიაბნევს,
ჩახედავს გახსნილ საკინძეში
მზე გაღიმებით
მდინარეს და შიგ ჩაუსხურებს
სხივთა ნიაღვრებს.

მოჩანს თვითონ მზეც მდინარეში
ძუძუს კერტივით,
ახლა ჩვენ უნდა დავეწაფოთ
იმის ვნებიან
თიმთიმს, მღელვარე სამყაროში
შევიდეთ ტივით
და მერე თეთრი თოლიებიც
მობრუნდებიან.

ცაში

ვწევარ, ფანჯრიდან ვხედავ ღამის ცას
და თვითმფრინავთა ციციხათელებს;
მე ჩემი ჭერი მახლავს და მიცავს,
ვიღაც კი ღამეს ცაში ათენებს.

ვიღაცის ბედი ფრთამალ არშიად
გასდევნებია ვარსკვლავთ ქარავანთ,
მაგრამ იქ სულაც არ მიაჩნიათ
ზეცა ქუდად და მიწა ქალამნად.

არ იყიდებიან...

როდესაც ქუჩაში ხელგამოწვდილი
მათხოვარი შემოგყურებს,
ჯიბეში ხელი არ ჩაიყო, თუ მისთვის
ხურდის მიცემას არ აპირებ...

ცრუ და ყალბი ჟესტები
მათხოვრებს არ უყვართ,
რადგან ისინი მხოლოდ მათხოვრობენ
და ზოგიერთებივით არ იყიდებიან...

მისის გასკდომა

ირყევა სახლი, დაიქცეს ღამის
ჭერი, კედელი, კიბე, რიკული...
მიწა იძრა და არ არის ამის
მიზეზი რამე ტექტონიკური...

გავარდა მეხი... რა ელდა ახლავს
მოწმენდილ ცაზე ამ მეხს, ველური!...
არ არის ამის მიზეზი ახლა
რამე მოვლენა ატმოსფერული.

უეცრად ღამე ღღედ გადაიქცა
და ნაცნობი გზა გახდა უვალი;
მიწა გაგისკდა, სწორედ ის მიწა,
სულ რომ მყარია და შეუვალი.

ვიღაცამ ავად გამოგდო ფეხი
ან თვითონ ცუდი ქნა იმისთანა,
რომ შენ, უცოდველს, დაგეცა მეხი,
გასკდა მიწა და თან ჩაგიტანა.

საქართველო

ერთი

არის!

სამშობლოსთვის რომ აკურთხეს,
იმ ხანძთაში შანთით მტანჯეს...
გაუმარჯოს თურქის თურქეთს
და ქართველის ტაო-კლარჯეთს!

ერთი ფესვი რომც ამოხმეს,
სხვა ათასი ყლორტებს გაშლის...
გაუმარჯოს სომხის სომხეთს
და ქართველის ლორე-ტაშირს!

ალაზნთან ფშა იდარდებს...
იქ გული ვინ გაიგრილოს?...
გაუმარჯოს თათრის თათრეთს
და ქართველის საინგილოს!

ემშაკს შუბლი დაუკოცნეს,
როს მარჯვენა ჩამომთალეს...
გაუმარჯოს ოსის ოსეთს
და ქართველის ლარსს
და დვალეთს!

მამულს გული რაკი უცემს,
მტერს სურს ჯანდი დაგვასიოს...
გაუმარჯოს რუსის რუსეთს
და ქართველის კავკასიონს!

ამღვრეულა ნატვრა გმირთა,
გზა-სავალიც დამენისლა;
საქართველო ჩემი მინდა —
საქართველო ქართველისა!

კვლავ მომგვარა ჭირთა წყება,
უნდა კიდევ გადამთელოს...
მანც ვერვინ მოესწრება
უქართველო საქართველოს!

არ შეარჩენს ღმერთი არვის,
ვინც აქ რბევით გართულია,
საქართველო ერთი არის,
საქართველო ქართულია!

ჩანჩქერი ცისარტყელაში

ფერთა ციაგი თვალს ანებივრებს,
 ჟამი რომ მოვა ცისკრის თენებით...
 არის მოვლენა ჩვეულებრივი, —
 ჩანჩქერში ნახო ცისარტყელები...

შეიპარება ფიქრში მირაჟი,
 ნაწვიმარ სივრცეს როცა გასცქერი...
 და უჩვეულო არის იმაში, —
 ცისარტყელაში ნახო ჩანჩქერი...

წყალობა

როდესაც მიწას გათანგავს სიცხე
 და შენს გაზრდილ ნერვს სიცოცხლეს ჰპარავს,
 მაშინ შენ უნდა მერუედ იქვე
 და წყალი უნდა მიუგდო ყანას.

გვალვაა, ძარღვებს წყურვილი გიწვავს
 და გამხმარ ნატვრებს ხორშაკი ფოცხავს,
 მაშინ შენ უნდა უშველო მიწას,
 რომელიც თითქოს არა ჰგავს ცოცხალს.

მაგრამ თუ ჭაც და მდინარეც დაშრა,
 თუ ველარ პოვე ნანატრი წყალი,
 მაშინ შენც უნდა წახვიდე... მაშ, რა
 უნდა ქნა, ასე წასულან სხვანი.

უნდა უშველო მინავლულ ფეთქვას,
 გასცდე ამ ხრიოვ მინდვრებს და ბორცვებს...
 მაშინ შენ უნდა მიხვიდე ღმერთთან
 და ის წყალობას ნამდვილად მოგცემს.

სველი ღრუბლები მზემ ჩამობელა,
 ხნულებს ლოდინში სული ელევათ...
 აჰა, უნდა შევას შვილი მშობელმა
 თავისი სუნთქვის გასაგრძელებლად.

ეს ბელტი უფლის ცრემლმა დაცვარა
 და მას მტვერივით უნდა მივეკრათ...
 აჰა, უნდა შევას ნერვი მარცვალმა
 მიწისთვის აზრის მისანიჭებლად.

ალარ ღირს...

ფრუტუნი ჩამესმა როდესაც აქლემის,
 ვიფიქრე, კართან დგას, აქ არის, აქ მელის;
 ვიფიქრე, დაჩოქილს ავკიდებ საპალნეს,
 სარფიან ასეთ დღეს ვინ გამომაპარებს...

გამოველ — სად არის აქლემი... ან ვირი...
 ხელთ გაწბილებისა შემომჩა ალვირი...

აქლემის მაგივრად ეზოში, კარებთან
 მემობლის მშეიერი თხა დაცანცარებდა...

შემოველ — სად არის საპალნე... ან ფუთა...
 ცარიელ ოთახში მზეც გაუდაბურდა...

საპალნის მაგივრად ფურცელი ეგდო და
 ვილაცა მეძახდა ღრუბლების ერლოდან:

— შეეშვი, საბრალოვ, უაზრო ოცნებას,
 შენში სოვდაგარი ტყუილად მოცდება;

ტყუილად მოცდება ვაჭარი, მევახშე,
 სჯობია, იფიქრო შენს ყანა-ვენახზე,

ანუ ამ ქალღმერთზე, შიგ ლექსი ჩახაბე,
 თუ მუზამ მოგხედა და დაგანახვა მზე...

შეეშვი შორეულ დატვირთულ აქლემებს,
 დრო გაგინიაღვრებს და გაგინამქერებს
 ნაშოვნებს, ნახვეჭებს, ნავაჭრებს, ნავახშებს,
 ეს გზები უშენოდ სულ სხვებმა დალაშქრეს;

ამ ფურცელს გასცდები და გელის უკუნი
 და არარსებული აქლემის ფრუტუნი...

შეხედე მაგ შენს თავს, მსახურო ქალღმერთის:
 უკალმოდ, ულექსოდ გროშადაც ალარ ღირს...

დაიბადება ერთი სიცოცხლე

არ გაჩერდება ჟამი გიჟმაჟი,
 ჩვენც გვაფხიზლებს და ცხადში მოვყავართ...
 აჰა, უნდა შევას ბეცამ რიჟრაჟი
 ღამის მთქნარების მოსათოკავად.

ღვთისმშობლის ხატთან მისთვის ვილოცეთ,
 რომ ვეზიაროთ უფლის დიდებათ...
 დაიბადება ერთი სიცოცხლე
 ყველა სიკვდილის შესაშინებლად.

ვაგლახ, ქართულია!..

ბევრჯერ მოგვებენია ყელში: „უჰ, ამათი“...–
მათ გამო, ვინც ქვეყნის კორტნით გართულია...
ქართული არ არის სიტყვა „მუხანათი“,
მუხანათობა კი ხშირად ქართულია.

მეც ტაძრის სისხლიან პარმადთან შევჩერდი,
თითქოს შერისხული, დევნილი ბერი ვარ...
მდევეს ტყვიის ზუზუნით ოთხმოცდათერთმეტი,
ოთხმოცდათორმეტი და კიდევ ბევრი რამ.

წკმუიან მშიერი ლეკვები, მელა კი
სამშობლოს ჯიჯგნაში კვლავაც ჩართულია,
ქართული არ არის ეს სიტყვაც — „ვერაგი“,
მაგრამ ვერაგობა ხშირად ქართულია.

ქცეულა მშობელი წალკოტი ვერანად,
მამული უქნარებს მოუნდათ მსახურად...
ჩვენივე სამკვიდროს მშველელი ვერა ვართ,
თავებმით ჩვენი მზე ვერ გამოსახულა...

გამოღმა გვცივა და იწვის გაღმით ველი,
წართმეულ სახლ-კართა ცქერა რა რთულია...
ვაგლახ, ქართულია სიტყვა „გამყიდველი“
და გამყიდველობაც, ვაგლახ, ქართულია!..

ალუბლის კაბა

ალუბლის ჩრდილი შემოინაბა
ოთახში მსუბუქ სიოდ, ზეფირად
და, როგორც ქალის გახდილი კაბა,
სკამის საზურგეს გადაეფინა.

მერე ბრუნდება ოთახში ქალი,
შემოგამბევეებს შიშველ და ნაბან
სხეულს, დასწვდება ყასიდი კრძალვით
და იმ ჩრდილისას ჩაიცმევს კაბას.

დილის მზის სხივი სკამს უკვე გასცდა,
ავსებს კედელზე დაკიდულ სურებს
და შენ თრობამდე ისუნთქავ ქალს და
აყვავებული ალუბლის სურნელს.

ასე გაჰყვები გაზაფხულს, მფეთქავს,
ეზოში, სადაც ფერთა განძია...
ხედავ: სარკმელთან ალუბლის ხე დგას
და შენი ქალის კაბა აცვია.

პარგი კაცები

შენთან ტკბილი და მათრობელი
მომაქვს იარა,
მზის სასთუმალი, მზის ლოგინი
დამითმო მზევემ...
წერილს კი არა, ლექსს კი არა,
რომანს კი არა,
კარგი კაცები, თან ლამაზად,
ქალებსაც წერენ.

ამ ახალმა დღემ ნაცნობივით
ჩამომიარა
და ეს მნათობიც სხივებს ირმის
რქასავით ქარჩხავს...
ქუჩას კი არა, კრავს კი არა,
ხეებს კი არა,
კარგი კაცები, თან ლამაზად,
ხატავენ ქალსაც...

ჩვენც ხომ განგებამ ამნაირად
გავგამთლიანა
და წუთისოფლის აღმართებზე
მხნედ მიგვაქანებს...
მერნებს, მეომრებს, დიდ მეფეებს
მართო კი არა,
კარგი კაცები, თან ლამაზად,
ძერწავენ ქალებს...

იმათ მშვენებას დავემონეთ
რადგან მთლიანად,
დავდივართ მათით მოხიბლული,
მწყურვალი, მთვრალი...
კარგ კაცთან უშნო, ულამაზო,
ავი კი არა,
მზეთუნახავი და თბილია
ყოველი ქალი.



ლავა გვასალია

სოციალური ამბავი... (მოთხრობა)



თავი 1.

ნამიჭამიას ველზე, იქ, სადაც მდინარე ზღვასთან შესაერთებლად იკალთება და თავს იდინჯებს, ბოლშევიკების მიერ გადამწვარი ხის ეკლესიის წინ, ორი უზარმაზარი ცაცხვის ქვეშ, ადამიანის სიმალისა და ხელის შემონვდენა სისქის ლოდი დგას. თითქოს მიწიდან ამოსულს ფესვები ღრმად ჰქონდეს გადგმული, ძვრას ვერ უზამ. ქვევიდან ერთ მტკაველზე ხავსმოდებული, ზევით სლიპინაა, გარშემო საძოვარია, თანაც ლურღულა ამინდების დროს ცაცხვის სქელ და საამო ჩრდილქვეშ იყრის თავს პირუტყვი, უმეტესობა ამ ლოდს ეზინთება და ექექება მტვრით, ბირკავებითა თუ მკბენარებით ახორკლილი კისრითა თუ გავით.

ახალმთვარეობის პირველ დღეს თუ ერთი საათი მზერამოუშორებლად მიაჩრდები ლოდს, ქვის ცივი მდუმარებიდან ამოისვეტება ადამიანის სხეული და ცისკენ იზამს პირს. შურიგემ მასწავლა, დამარიგა, ამ და ამ დროს მიდი, ასე და ისე მოიქეცი და იხილავ როგორ განიხვნება კარი ზღუდისა და ქვაკაცი როგორ ამოილანდებაო. მართალი გამოდგა ბრძენი შურიგე, რა შეეშლებოდა სულის კაცს და ახალმთვარეობის პირველივე დღეს ვიხილე ამოლანდებული ჩონგურია, ასე ეძახოდნენ თურმე, სიცოცხლეში ქვად ქცეულ ჭაბუკს.

ყველაფერი იცის შურიგემ, რა გამოეპარება მის თვალსა და სმენას. მითაჟამიდან მოსდგამთ გვარსა და ჯიშში ძველ ამბავთა მესაიდუმ-

ლეობა და გულისკარ ჩარაზულად სიარული. გულისკაროსნებს მიტომაც უწოდებდნენ მის წინაპრებს. წამლის დამზადების საიდუმლოს რომ გადასცემენ ხოლმე ოჯახისა და კერიის გამგრძელებს, ისე უყვებოდნენ და საიდუმლოდ გადასცემდნენ, გვარსა თუ ოჯახში გამორჩეულთ, უძველეს ამბებსა თუ თქმულებებს.

არ ვიცი რატომ, მაგრამ გადანყვიტა შურიგემ ჩემთვის მოეთხრო ქვა-ლოდის ამბავი, მაგრამ გამაფრთხილა მენცარმა მოხუცმა, ათ ახალმთვარეობამდე თუ ვინმეს გაუმხელ საიდუმლოს, ამ ალაგს მთვარის მაღლი განეცლება და ჩონგურის ლანდიც სამარადუამოდ ჩაეყინება ლოდსო. მივეცი პირობა მით-კაცს და აგერ მეოცე ახალმთვარეობის მერე გიყვებით თქვენ, ძვირფასებო და თუ თქვენც ასევე გაუფრთხილდებით ამ ამბავს ხომ კარგი, თუ არადა, ახალ დროს მაინც არ სჯერა მითებისა თუ ლეგენდების და ამ ამბებმა იცხოვრონ ეგრე გაცხადებულად!..

ძველად, მეჯოგე ბიჭს თაუს, გასაოცარი მეჩონგურეობისა და ხმალმერთიანობის გამო, ჩონგურია რომ დაარქვეს თანასოფლელებმა, სიყვარული ჩასიტყვებია ალალ, კრიალა გულსა და არსში. სიყვარული შეიძლება მოგეპაროს, გაგეთამაშოს, მოგინათდეს კაცს, მაგრამ ვერ დაგატყვევოს, მაგრამ თუ ჩაგესიტყვა, აი, მაშინ კი მორჩენილია ყველაფერი, ლობიოს ფოთოლივით მოგეკვრება, ჰაერივით სულში ჩაგიძვრება და გულს გამოგიზაფხულებს— ია-იებსა და ყოჩივარდებს, ენძელებსა და მიმოზებს, ტიტებსა და ვარდ— ლამაზებს აგიმზევებს და ჰოპლა, ტყვე ხარ მისი! აი, ეგაა სიყვარულად მოსვლა, სხვა კი არაფერი... ჰოდა, ჩემო ბატონო, იცის სიყვარულმა როგორ შემოგიდინდეს, გაიძირმაგროს ფუძე და ჩაგიდგეს მარადისად. ერთ მზიან დღეს, ჩონგურია თაუს, გამორჩეულმა ქარმახია ფურმა შეველივით ხბო მოუყვანა თურმე, ისე გახარებია პატრონს, ღვთის სადიდებლად ჩონგური აუმღერებია და თავადაც შეხმატკბილებია ღვთაებრივ ჰანგებს. მდინარემ დინება შეწყვიტაო თითქოს, მიდვრისები ყელ— ქალივით განოლილან ლურჯ ხავერდზე, ხეებს შრიალი შეუწყვეტიათ, ფრინველებს

ყვილი, საქონელსა და ნადირს ხმიანობა და სმენად ქცეულან. ანგელოზებს ბანი მიუციათ, მთვარეც კი გამოუფხიზლებია და ნიავის საამო სუნთქვად შემონელებულა... ამ დროს ნამიჭამიას ოხვამეში, ანუ სალოცავში მოსალოცად მობრძანებულ მთავარ ვარშან დადიას ოჯახთან ერთად, იმ ქალისპირზე გაუვლია, სადაც ჩვენს თაუ-ჩონგურისა საქონლის სადგომი ჰქონდა, სადაც ასე ღმერთის მოსაწონად უკრავდა და მღეროდა. მოულოდნელად თავზე წასდგომია მთავარი, მთელი თავისი ოჯახისობითა და ამალით, ცას ხმითა და მზერით მიბორკილ მეჯოგეს. გაშეშებულნი მდგარან. რომ დაუსრულებია დაკვრა და მღერა, დაუბრუნდაო თითქოს ქვე-ყანას ბიჭი, გამოჩვენებულა და ამდენი და ასეთი ხალხის მნახველი ჯირკიდან ტყვიანაკრავით წამომხტარა.

– ვინ ხარ შენ? – ცივად და მბრძანებლური ტონით დაუსვამს კითხვა წარბებიდან მომზირალ ვარშან დადიას.

– მეჯოგე ვარ, ბატონო, – წამღერებასავით გამოსვლია ჭაბუკს.

– ვისი შვილი ხარ, – ეს ისე, სიტუაციიდან გამომდინარე უკითხავს მთავარს თორემ, ამ სოფელში ხუცესისა და დიაკვნის გარდა, რომელთაც გადასახადი ჩაჰქონდათ სასახლეში მონაცვლეობით, არავის იცნობდა.

– მეჯოგე იყო მამაჩემი, ბატონო, თარან თორია, შარშანწინ გარდაიცვალა უჟმურ შეპყრობილი, შეხურებამ და ციებამ გადაიყოლეს ცხონებული.

– ჰო, ნუ, კარგი, სიმღერა კარგი გცოდნია, – ჩონგურზე დაკვრაცო, – ჩასჩურჩულა თეთრ ცხენზე ფეხებმორთხმულად მჯდომმა მეუღლემ. – ჰო, დაკვრაც, – დაეთანხმა ჯმუხი მთავარი.

– დიდი მადლობა, ბატონო, მამამ მასწავლა, უკეთესად, ბევრად უკეთესად უკრავდა მამაჩემი. – მხოლოდ ახლა ანია თავი თაუმ და იხილა მოშტერებული გოგონას ზღვისფერი მზერა. მომნუსხველი და ენით ძნელად აღსაწერი. თითქოს გულში ჩაუდინდა სისხლად, წითელ ფაშატზე ყელმოღერებით მჯდომი თავადის ერთადერთი ასული ცია.

– იქნებ წამოვიდეს ჩვენთან სასახლეში, – გადაულაპარაკა ისევ დედოფალმა მთავარს. ამ უკანასკნელმაც უთხრა ხმადაბლა რაღაც. ამ დროს მთავრის ასულმა მიმართა მამას, წამოვიდეს ჩვენთან სასახლეშიო.

– ხომ წამოხვალ?

– ვერა, ბატონო, ოჯახს და საქონელს ვერ მივატოვებ, ჩემი ძმა პატარაა ჯერ და ვერ განვდება მარტო საქმეებს. – უპასუხა თავდახრით თაუმ. ინყინა მთავარმა უარი და ხმამკაცრად შესძახა ბიჭს: თუ იცი ვინ ვარო?

– ვიცი, ბატონო, მთავარი ბრძანდებით ჩვენი, მაგრამ ვერ წამოვალ სასახლეში. – ციასთვის მზერამოუცილებლად თქვა ბიჭმა. ქალიშვილიც არ აშორებდა ღიმილიანად თვალებს. ხუცესი ჩაერია საუბარში, წინ დაუდგა თაუს და მოკრძალებით მიმართა მთავარს, შეუნდეთ, ბატონო, თქვენი ჭირიმი, უტუ და უცოდინარია ჯერ, ხვალვე თქვენთან იქნება სასახლეში თავის ჩონგურიანად, მე თვითონ გაახლებთ, გაუთლელია და შეუნდეთ ბატონო, იხვენებოდა მოხუცი და მარჯვენათი უჭერდა ბეჭზე ბიჭს, რომელსაც ვერ გაეგო, რატომ იხდიდა ამდენ ბოდის ხუცესი, მას ხომ არაფერი დაეშავებინა. თუმცა, ამაზეც ვერ ფიქრობდა რიგიანად, მისი აზრი და მზერა თავადის ქალიშვილის იქით არც არაფერს იაზრებდა და ვერც ვერავის ხედავდა.

დიდი ხვენწა-მუდარა არც დასჭირვებია ბიჭისთვის ხუცესს, ჟამნაკრავით ენაგაკმენდილს ქალიშვილის ღიმილიანი მაცდური სახე და ზღვასავით უძირო თვალები ედგა წინ. ძილიც არ მიკარებია. დედამისს აუხსნა ყველაფერი, მთავრის ნება ეგეთია, უარს არ მიიღებს და თუ გაუძალიანდით, ყველას დაგლუპავთო, თანაც სასახლეში მიდის, ჯოჯოხეთში ხომ არაო, ვინძლო ბედს ეწიოს და მაღალი კაცი გახდესო. დედას უმძიმდა შვილის გამეტება, მაგრამ იცოდა, რაც მოუვიდოდა, თუ უპატივცემლობას გამოიჩენდა ვარშან დადიას მიმართ. განა ერთი და ორი დაულუპავს იმ ამოსაგდებს, ჩვენ რომ დაგვინდოს და არ გაგვიმეტოსო, იფიქრა ქალმა და ბედს დამორჩილდა. ჯოგი თაუს უმცროსმა ძმამ კოჩიამ გადაიბარა.

საზაფხულო სასახლე გორდში ჰქონდათ დადიებს და იქითკენ გასწიეს ჯაგლაგი ცხენით ბიჭმა და მისმა მეგზურმა. თაუ უმეტესად ფეხით მიდიოდა, ბებერ და ძვალ-ტყავა იაბოს ასევე გაძვალტყავებული ხუცესის ტარებაც ეძნელებოდა. მეორე დღემდე ვერ მიაღწიეს. სუჯუნის ტაძარში გაათიეს ღამე, დიდი პატივით მიიღეს ხუცესი წინამძღვარმა და დიაკონმა, დააპურეს, დაასვენეს, ცხენსაც გამოუნახეს მიმხედავი. ბიჭის შესაძლებლობები ისე აღუნ-

რა მასპინძლებს ხუცესმა, დიდი სურვილი გააჩნდათ მოსმენისა, მაგრამ ბიჭი არათუ სიმღერას იმღერებდა, ხმასაც არ იღებდა. უჭირს ოჯახთან განშორება და მიტომაა ასეო. არაუშავს, დრო გაივლის და შეეჩვევაო, დაასკვნეს ღვთისმსახურებმა. თაუს კი ცია ედგა თვალწინ, მისი მომღიმარი თეთრონი პირისახე და მაცდური გამოხედვა. შუადღე გადასული იყო სასახლეში რომ მივიდნენ. მთავარი თავის საყვარელ მიმინოს, სახელად წვირაღს ეფერებოდა.

– აგერ, ბატონო, მეჩონგურე გაახლეთ თქვენი სურვილისამებრ, – მთავარს არც კი გაუხედავს თავჩაქინდრული ბიჭისკენ, ხუცესს უხმო და მიმინოზე დაუნყო საუბარი.

– სუჯუნელმა ჯაომ მიმინოსკუამ გამინვრთნა წვირაღი, ამ შემოდგომაზე საოცრებებს ჩაიდენს. შარშან ახალი იყო ჯერაც, ძარღვსუსტი. აი, წელს კი ვნახოთ. – გაბადრული სახით ეფერებოდა მთავარი, უსვამდა მარჯვენა ხელისგულს თავიდან ფრთების გასწვრივ ჩასრიალეებით ჟღალ ფრინველს, რომელიც რაღაცნაირად, ამოხორხილი ხმით ხრუსუნებდა და მარცხენა ხელზე მორგებულ ტყავის ნაჭერს ბასრ ბრჭყალებს უფრო და უფრო უჭერდა.

– საოცარი ფრინველია, ჩემო ბატონო, ნამდვილად საოცარი, – მთავრის გასახარად იმეორებდა შიგა და შიგ ხუცესი.

– ჰო, ბიჭი ეზოსმოდღვარ თოლიკაკას ჩააბარე, მიხედავს ის, – ახლა შეამჩნიაო თითქოს კაკლის ხეს მიყუჭული ჩონგურია, მერე სასახლისკენ გაიხედა, ხვიჩაო, დაიძახა და ბატონოთი, მაშინვე გამოეპასუხა ქვედა სართულის აივანზე გამოსული შუახანს კარგად გადაცდენილი, ბრგე და ჯმუხი მოჯამაგირე.

– ხვიჩა...

– გისმენთ, ჩემო ბატონო, ყურადღებით.

– დაასაჩუქრე ხუცესი, მე რომ გეუბნებოდი ის ბიჭი მოიყვანა, თოლიკაკას ჩააბარეთ ბიჭი და ზეგისთვის სტუმრების დასახვედრად მოამზადეთ, ვნახოთ როგორ ფხას გამოიჩინეს და როგორ გაგვართობს.

– გასაგებია, ჩემო ბატონო, მიუგო მოჯამაგირემ და მიიპატიჟა ხუცესი, თოლიკაკამ ბიჭი, ისე რომ არც გამომშვიდობებია თავის მეგზურს, გარეთა სადგომისკენ, ძველ სახლს რომ ეძახდნენ აქაურები, წაიყვანა.

პირველად იგრძნო უდედობის ტკივილი ბიჭმა. შიმშა შეიპყრო, უცებ გაუქრა მზერიდან ციას სახე და ცახცახმა დაუარა სხეულში.

ცრემლები მოერია, ეს რა ვქენი, ეს რა გავაკეთეო. მიუხვდა ეზოსმოდღვარი და დაუყვავა, მოესიყვარულა. ნუ გეშინია, შვილო, მე შენზე პატარა ვიყავი ბევრად, აქ რომ მომიყვანეს, ხორგა გაგონილი გექნება, – თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია ბიჭმა, – ჰოდა, ხორგიდან მომიყვანეს აქ და ვარ იმის მერე, ბედსა და იღბალს მინებებულო. წაგებით აბა როგორ არ წავაგე, ცოლ-შვილს ვერ მოვეკიდე, ოლოლივით მარტო ვარ, მაგრამ მადლობა უფალს მრავალი რამის შეგრძნება და სიყვარული მასწავლაო. ნიჭი მოუცია, ბაბა, ღმერთს და გამოიყენე. შენისთანა ახალგაზრდას, თუ თავს გამოიჩინე აქ არ დატოვებენ და ოდიშშიც, მთავარ სასახლეშიც წაგიყვანენ და მთავრის პატივცემული ამალის წევრიც გახდებიო. ზეგ სტუმრებს ელოდება იმერეთიდან მთავარი და შენ იცი აბა, თავი გამოიჩინე და დაგიფასდება. თუ არა და იქნები აქ ჩემთან სახარების მოპრუტუნე სტიქაროსნადო.

ვისაც უცხო გარემოში გაუთევია პირველი ღამე მარტოს, ოჯახიდან მოწყვეტილს, ადვილად მოეხსენება თუ რა ტკივილი და ბორიაცი ტრიალებდა ყმანვილის გულში, მაგრამ დროდადრო ამოტივტივდებოდა ცნობიერებიდან ციას სახე და რაღაცნაირად შვებას გვრიდა ჭაბუკს. მამა დაესიზმრა გათენებისას თვალმბილულულს, არიგებდა შვილს, ასე და ისე მოიქეცია, ასე და ისე ისაუბრეო და მისთანანი. დილის ლოცვისთვის მამლის მესამე ყვილისას წამოახტუნა კარის მოძღვარმა ფეხზე. უშველა მეზობლის გოგოს ცვიცვის ნასწავლმა წერა-კითხვამ, რამაც სასიამოვნოდ გააკვირვა თოლიკაკა. ცვიცვი, ცაიშელი აზნაურების ზარიების ნათლული იყო და იქ ესწავლა წერა-კითხვაც და სხვა ბევრი რამ, რასაც უანგაროდ და გულწრფელად გადასცემდა და უნაწილებდა თავის მეზობლებსა თუ ახლობლებს. დანიშნული იყო ცვიცვი ფოთელ ხახუბიაზე, მაგრამ ცირა ბატონებმა შეინიერეს ანგელოზით გოგო. ჯერ ლოგინს მიაჯაჭვა ავადობამ, მერე ჭკუიდან შეიშალა და გაზაფხულზე ნიღვრად და ლანქერად მოვარდნილ მდინარეში გადაეშვა დიდი ხევიდან. ზღვამ გამოიჩია ორი თვის თავზე წამხდარ-გაუბედურებული ნეშტი. „ვეფხისტყაოსნიდან“ ადგილები დააზეპირებინა ცვიცვიმ თაუს. ციას ნახვის მერე ამ სტრიქონებს იმეორებდა ჩონგურია: „მან მისთა მჭვრეტთა ნაულის, გული, გონება და სული.“

გაბო ურია მოვიდა მარტვილიდან სასახლე-

ში და მოიტანა ჯორზე გადაკიდებული სხვა-დასხვა ზომისა თუ ფერის სენაკელი თერძების მიერ შეკერილი ჩოხები. ფოთელ ვაჭარ კაკუტიას კი ნულები, სხვადასხვა ზომის უძიროები და აზიურები მოეტანა. გამოანყვეს და გამონკიპეს მეჩონგურე თაუ. თმები მუნჯმა ბასიამ შეჭრა და ასე გალამაზებულ-გამშვენიერებული მეჯოგე სადილის დამთავრების შემდგომ წარადგინეს სტუმრების წინაშე, როგორც სასახლის მგალობელი მაფშალია. ქალბატონები უშველებელი დარბაზის კუთხეში დაბალ მაგიდასთან ყავას და ჩაის მიირთმევდნენ, თითქოსდა ხმადაბლა, მორიდებით საუბრობდნენ, მაგრამ შიგა და შიგ ისე გადაიკარკაცებდნენ ხოლმე, ყველა იქითკენ იზამდა პირსა და ყურს. მამაკაცები თუთუნს აბოლებდნენ და საქმიანი იერით დინჯად საუბრობდნენ. ცია როიალის გვერდით იდგა და თვალდაუხამხამებლად შეჰყურებდა ჩონგურისას. დაინყეო, ანიშნეს ბიჭს და ჩამოჰკრა თითები სიმებს თაუმ, ცოტა ხანში ბუზის გაფრენასაც გაიგებდით, ისეთი სიჩუმე დავანდა დარბაზში. სატრფიალო მელოდიას უკრავდა თაუ, ქორწილებსა და ლხინის დროს რომ უკრავენ ისეთს. თითქოს ანგელოზი ჩაუსახლდაო ბიჭს, ისეთი რამის დაკვრა დაინყო, არათუ იქ მყოფ მსმენელთ, თავადაც აზრად რომ არ მოსვლია არასოდეს. უკრავდა და სისხლიგან იცლებოო თითქოს, გაფითრებული და მზერამიზნედილი შეჰყურებდა ციას. გრძნობდა ქალიშვილი მის გამჭოლ მზერას და მასაც უნებლიედ უმდინარდებოდა და ესიტყვებოდა არსში ღვთიური გრძნობა სიყვარულისა. მერე სიმღერაც მოაყოლა თაუმ, მთელი ცისიეთი ქვევით ჩამოიყვანა და შეიმღერა ყოვლისშემძლე ზე-კაცვიით და გაოცებულ-პირდაბჩენილ საზოგადოებას მისი სახელი და გვარი ამოუშლელად წაუნერა გულისფიცარზე. იმ დღიდან ყველას ჩონგურისას სახელი ეკერა პირზე. სასახლის კარის გოგოები ადრე აბუჩად რომ იგდებდნენ და დასცინოდნენ ჩუმ-ჩუმად და გლეხის გომბიოდ მოიხსენიებდნენ, ახლა ერთმანეთს ეცილებოდნენ მასთან ურთიერთობასა თუ მეგობრობაში. თოლიკაკას დარიგებას არ გადადიოდა ჭაბუკი და ისე ღირსეულად ეჭირა თავი, კეთილშობილთა ზიზილ-პიპილო ვაჟებსაც რომ შემურდებოდათ.

ასე ქეიფებსა და დროსტარებებში გადიოდა დრო. ოდიშის სამთავროსაც გასცდნოდა ჩონგურისას სახელი და მის ნიჭსა უნიკალურ

შესაძლებლობებზე მეზობელ სამთავროებში აღტაცებით, სიხარულითა და რათქმაუნდა შურითაც ყვებოდნენ. თავადის ქალ ციასაც უსაზღვროდ შეჰყვარებოდა მეჯოგე თაუ. ისე ძლიერ და უსაზღვროდ, რომ მასაც არ შეეძლო გულისწორის გარეშე სიცოცხლე და არსებობა.

შემოდგომა იწურებოდა, როცა მთავარმა საზამთროდ ოდიშში წასვლა ბრძანა. აიყარნენ დედოფალ-სეფექალებიანად ყველანი, მოსამსახურეები თუ დიდგვაროვნები, ამაღა განახლდა, როგორც ყოველთვის და გაემზადა გასამგზავრებლად. ჩონგურია თაუ, რა თქმა უნდა, ამაღაში შედიოდა და მისთვისაც მოიყვანეს ულაცი და გაამზადეს უნაგირ-საგებელი. დილით ადრე უნდა გასდგომოდნენ გზას, მამაკაცები და ქალბატონების ნაწილიც ცხენებზე ამხედრებულნი ივლიდნენ, დედაკაცების უმეტესობა კი ფაეტონებით გაემგზავრებოდა.

– არ ისმინე ჩემი დარიგება, თაუ, – ეჩურჩულებოდა თოლიკაკა ჭაბუკს, – შენს გულს მიჰყევი, გონება არ დაატანე და ხარ ახლა ამ უბედურ დღეში.

– რათა უბედურში? – შეპასუხება სცადა ბიჭმა, მაგრამ შეანყვეტინა მოხუცმა.

– შენი ბედისწერა იქნება, შვილო, ეგ სიყვარული. უგუნურად მიუდექი ამ საქმეს და თავი გამოუვალ სიტუაციაში ჩაიყენე. უბედურებაა, აბა რაა გაუმართლებელი და გაუხარებელი სიყვარული? ყველა გზა დამარცხებისკენ მიგიდის. გთხოვ დაივიწყო ეგ გოგო და განემორო აქაურობას. იმერეთში გადადი, ან სვანეთში ადი, ანდა აჭარაში, გაეცალე ოდიშს, განემორე ამ დანყვევლილებს, თორემ დაგლუპავენ.

– ვუყვარვარ ციას, -სცადა ისევ შემსუბუქება საუბრისა, არ გამოუვიდა.

– არაფერს ნიშნავს ეგ, შენ ამ ხალხისთვის გამართობელი ხარ და მეტი არავინ, მეჯოგე და საწყალი გლეხი, ყმა დადიასი. ჩვენისთანებს ეგენი ადამიანებად არც აღიქვამენ, იცოდე, ყურიც რომ მოჰკრას ან მთავარმა ან მისმა ასევე მხეცმა ვაჟმა ვამეხმა,თქვენს ამბავს, ჩათვალე რომ მკვდარი ხარ, მღვდლის ზიარება ვერ მოგისწრებს ისე გაგაქრობენ. იმერეთის ტახტის დედოფლად ამზადებენ ციას, გაზაფხულზე ნიშნობაა დაგეგმილი დიდ სასახლეში და რას იზამ მერე?

– რავიცი რას ვიზამ, მოძღვარო, მიყვარს და სიყვარული თუ დანაშაულია, მაშინ მთელი ჩვენი სარწმუნოება არარაობა ყოფილა,

ღმერთი თუ ყოვლისშემძლეა, ჩემისთანა უმწეო ადამიანს ამოუდგეს უნდა მხარში, უშველოს და გადაარჩინოს.

– ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს, ყმანვილო და ღმერთი აქ არაფერ შუაშია. შენ უნდა გცოდნოდა ვისი შეყვარება გეგებოდა და ვისი არა!..

– გულმა რომ არ იცის ეგეთები და ყურის გდება?

– გულს გონება უნდა მართავდეს, თორემ თავანყვეტილ გულისნადილს უზნეობა მოსდევს მეტწილად.

– ეგ, მე არ მეხება, მოძღვარო.

– ეჰ, ჩემო კარგო, შენ უფრო მძიმე და გამოუვალ სიტუაციაში იგდებ თავს, ვიდრე წარმოგიდგენია. ყმანვილი ხარ და არ გესმის ჯერ. სიკვდილია თანმდევი შენი სიყვარულისა., იფიქრე ამაზე და თავს გაუფრთხილდი, ოდიშის სასახლეში არ გაბედო ციასთან შეხვედრა, იქ სხვა სიტუაციაა, მსტოვრებითა და დამსმენებითა სავსე მთელი სასახლე, კედლებსაც ყურები აქვთ. ნურავის მიენდობი, შენი მეგობარი მთავრის კარზე, შენი თავი იქნება მხოლოდ, სხვა არავინ. დამილოცინიხარ, უფალი იყოს შენი შემწე და მეგზური ყოველ ნაბიჯზე, შვილო, – ეამბორა შუბლზე და დაისვენეო უთხრა, დიდი გზა გაქვთ გასავლელი და მხნედ უნდა იყო. ისიც დაარიგა, დიდებულთა ამაღლას ან არ გაუტოლდე, ან ბედი არ დაგეწვას და არ გაუხსნოო...

თავი 2.

ოდიშში ახალი ცხოვრება დაიწყო სრულად. სასახლეში და მთავრის კარზე ისეთი ინტრიგები ტრიალებდა, წარმოდგენაც რომ გაუჭირდება ადამიანს. მთავრის ქებასა და სი-ახლოვეს ის იმსახურებდა, ვისაც უფრო მეტი ინტრიგების ხლართვა და დასმენა შეეძლო. სუნთქვაც ჭირდა ზოგჯერ. ზოგჯერ კი არა, უადგილო ამოხვნეშაც შეიძლებოდა ცუდ ტონად ჩაეთვალათ და ვაი მას, ვისაც ვარშანის სუსხი გადაუქროლებდა. მართალი იყო გორდელი კარის მოძღვარი, საკუთარი თავის გარდა არავის ნდობა შეეძლო თავს. პირში გიციინიან და უკან სამარეს გითხრიანო, მოძღვარმა ესეც უთხრა წამოსვლის წინ და ასეც იყო. ციას ნახვა უფრო და უფრო გაუძნელდა ჭაბუკს, ლანდით დასდევდნენ უსაქმური კარის ფარეშები და ფიშფიშია ქალები, რომლებიც სასახლეში

თავს მსგავსი რამეებით იმკვიდრებდნენ. მი-თუფრო, გასულ კვირას დატრიალებული ამბის შემდგომ, ვარშანმა ჯოლი ჩიჩუას უფროსი და ცირუ კინისკვრით გააგდო სასახლიდან, არაფრისმქმნელი ზონზროხა ხარო, ჭამისა და ძილის მეტს არაფერს აკეთებო. ძიძიშვილ ჯოლის არ მოერიდა სიტყვაუკმეხი ვარშანი, თორემ სხვას დაინდობდა ვინმეს? არაფერი გაუვიდა დედოფალსაც, შეავედრა ჯოლის და, მოკვდება, ასეთ დამცირებას ვერ გადაიტან-სო, მაგრამ ჯიუტმა მთავარმა სიტყვა უკან არ დაიბრუნა და მორჩა. ამის შემდგომ კედელს აკრულივით დასარსალებდა ყველა, ცდილობდნენ უყმურ თავადს არ შეფეთებოდნენ სადმე სასახლეში ან ბაღში.

აღდგომის დიდმარხვის სამყოფლოში ჩაეფ-ლო მთელი სასახლე, ამ მარხვას ყოველთვის განსაკუთრებულად ინახავდა მთავარი და ეს პერიოდი იყო სიჩუმისა და სევდის მომჟამე-ბელი მთელი ოდიშისთვის, განსაკუთრებთ კი სასახლისთვის. თავუც მარხულობდა, შიგა და შიგ დაიბარებდა თავადი მეჩონგურეს და სევ-დიან, უფრო ნაღვლიან სიმღერებს ამღერებდა. ჯვარზე გაკრული უფლის ტკივილი და წუხილი უნდა გავიზიაროთ, აი, აღდგომის მერმის კი ვიზეიმოთ და ვიმხიარულოთო. ვინ გადავიდო-და მთავრის ნება-სურვილს.

ერთ დილით, კარის ეკლესიაში დედის გარე-შე სალოცავად ჩამოსულ ციას, მოხერხებულად მიეახლა ჩონგურია და შეხვედრა დაუნიშნა, მთავრის ამოსვლამდე, ბებერ მუხასთან გე-ლოდებიო. ცხვირკოდალა მარუშას, რომელმაც მზერა მოჰკრა ქალ-ვაჟის წამიერ შელაპარა-კებას, ეჭვი გაუჩნდა და გადანყვიტა რაც არ უნდა დაჯდომოდა გაეგო საქმის არსი, გაუკ-ვირდა დიდგვაროვან ქალს, მეჩონგურე გომბი-ოს რა საქმე ჰქონდა მომავალ დედოფალთან?

ეშმაკი სიყვარულთანაა, თორემ სიძულვილ-თან რა ესაქმება? სიყვარულის დანგრევა წადია სწორედ და უბედურებით შეცვლა. სასახლიდან გადაცმულ და ჩუმად გასულ ციას ცხვირკოდა-ლა მარუშამ კარისკაცი მიადევნა მსტოვრად. ნაწყაროვალ მინდორს გასცდა ცია, საჯინბოს გვერდით, ნაბურღოვალ ადგილს გვერდი აუქ-ცია და მიადგა ჭყონის ხეს, სად არისო თავუ, გაივლო გულში და წამში ბიჭიც აესვეტა წინ. ხელები შემოხვია ვაჟმა და შეკრთა უცებ გო-გო, ხმაურიანო რაღაც. მიიხედ-მოიხედა თავუ და ღიმილით მიუგო გულისსწორს: ნუ გეშინია,

თოლიგე, ჭაკი უქვირქვირებსო თავის პატარა კვიცს. ეფერნენ, კოცნეს ერთმანეთი და გეგმაც დასახეს – კვირას, როცა ჭკადუაშში ავიდოდნენ ნესისამებრ მოსალოცად მთავარი და მისი ამაღლა, ცია უგუნებობას მოიმინებებდა, სასახლეში დარჩებოდა და როგორც კი მთავრის ამაღლა ჭკადუაშისკენ დაიძვრებოდა, ესენიც გაიპარებოდნენ, (მითუფრო, მისი ძმა აფხაზეთში თავის საცოლესთან იყო წასული, უკეთეს დროს გასაქცევად ვერც ინატრებდნენ), და მარულასთვის, რომელიც სწორედ ციასა და იმერეთის უფლისწულის დანიშვნის აღსანიშნავად იმართებოდა, საგანგებოდ ჩერქეზეთიდან ჩამოყვანილი თოხარიკებით გზას, გურიის გავლით, აჭარისკენ შეუყვებოდნენ. ყველაფერი მოფიქრებული და მომზადებული მაქვსო ჩონგურთამ, ჭალადიდთან ჩემი მამიდაშვილები შემოგვიერთდებიან, მონადირეები არიან ეგენი, ზეპირად იციან გზები და ბილიკები მთაში, მეგობრებიც ჰყავთ გურიასა თუ აჭარაში და ისინი მიგვაცილებენო ქედაში ბექარ ზოიძესთან უპრობლემოდო. ბექარი თაუს ბებიის ძმა იყო. როგორც კი მთვარემ პორველი სხივი ჩააქცია მდინარეში, ცია მაშინათვე გაცალა იქაურობას და შეუმჩნეველადვე, უკანა კარებიდან შეიპარა სასახლეში.

დილიდანვე ყველაფერი გეგმისამებრ წარიმართა, მთავარი და მისი ამაღლა ჭკადუაშში გაემგზავრა, ცია უგუნებობის მომიზეზებით შინ დატოვეს. პირობისამებრ მამაკაცურად გადაცმული ცია საჯინბოსთან დათქმისამებრ დროულად მოვიდა და საჯინბოდან ჩუმად გამოყვანილ, მისთვის შეკაზმულ ცხენზე ამხედრდა, ჩუმად, შეუჩნეველად გავიდეთ წინა ბალი და მერე წავქარდეთო, უთხრა გულისსწორმა გოგოს და ასეც მოიქცნენ. როგორც კი ნელი სვლით გაიარეს ნეკერჩხლის კუნძული, წინა ბალის შესასვლელთან შეიარაღებულმა ცხენოსნებმა გადაუჭრეს გზა, უკნიდანაც სასახლის დაცვის წევრები აღიმართნენ სვეტებივით და ალყაში მოაქციეს ახალგაზრდები. მარუმა ცხვირკოდალას მსტოვარს მოესმინა ყველაფერი და მთავრისთვის ჩაეკაკლა.

თავიდან არ ეჯერა ვარშან დადიას თურმე, როგორ შეიძლება ეგეთი რამე მოხდესო, სად ჩემი სადედოფლო ქალიშვილი და სად

ტურტლიანი მეჩონგურეო, მაგრამ როცა მსტოვრის სიტყვა გამართლდა, თაუ ჩონგურის დასაჭურისება ბრძანა, ცია კი საქმროს მოსვლამდე დიდ კოშკში კამოკეტით და გარდაცხვირკოდალა მარუმასი არავინ გააკართო. მარხვის მერე გავუკეთოთ ბატონო კასტრაცია, დიდმარხვაა და ღმერთმა არ გვინყინოსო, ამის გაგონებაზე ისე დააბრიალა თვალები მთავარმა და ისეთი არაადამიანური ბლავილით აღმოხდა – ხვალვეო, საჩქაროდ გაექანნენ მოშე ურიას მოსაყვანად სენაკში, ეგ იყო მაგის ოსტატი, ერთი ცხენის სანაცვლოდ ადედლებდა კაცებს სათესლე ჯირკვლების ამოცლით. კასტრიებული და მომაკვდავი ბიჭის ხევიში გადაგდება ბრძანა დადიამ. ღვთისმიერმა მეჯინბე კოკიმ ორთვალაზე დასვენებული თაუ თავის განუყრელ ჩონგურთან ერთად მშობლიურ სახლში მიიყვანა. თუ რა ტკივილი და უბედურება დატრიალდებოდა ოჯახში თაუს ასეთ მდგომარეობაში ხილვით, ამაზე საუბრით თავს არ მოგანყენო.

ამ ამბავმა ციას ყურამდეც მიაღწია და ჭკუას გადაცდენილი ქალი კოშკიდან გადმომხტარა და სული მიწამდე არ დაჰყოლია.

სიცხიანი და უძალ-ღონო თაუს ძმისთვის და დედისთვის უთხოვია ნამიჭამიას ველზე, ცაცხვის ძირას გამიყვანეთო, ეს როგორო, გაგიჟებულა დედა, მაგრამ საშველი რომ არ მიუცია ავადმყოფს, ძლივძლივობით მიუყვანიათ სასურველ ადგილას, მთვარის ამოსვლას დაველოდოთო, მერე ჩონგურის მოტანაც უთხოვია კოჩიასთვის და ამოგორგოლებული მთვარის შუქქვეშ ის სიმღერა უმღერია, პირველად, ამ ადგილას ციას შეხვედრისას რომ მღეროდა. წამომდგარა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, მხრებში გაშლილა, აუჟღერებია ჯადოსნურ ჰანგებად ჩონგური და თვითონაც საოცარი, ანგელოზური ხმა ამოხდენია... ვხედავდითო, ძმამ და დედამ, როგორ ქვავდებოდაო თანდათან თაუ, თითქოს და მთვარის სხივები ეღულაბებოდნენ და აქვავებდნენო ჭაბუკს...

ის ამობურცული ალაგი ლოდზე, ჩონგურის მუცელიაო, მრავლისმცოდნე შურიგემ და დააყოლა ნაღვლიანად, ასე მთავრდებაო, მახა, ხშირად ნაღდი და მზერამიუნვდომი სიყვარული!..



ეკატერინე სოჭოლავა



მე არ ვიცი, რომელი დრო მიყვარს

ზამთარია, გაზაფხული მინდა,
 გაზაფხულზე ზაფხულს ვეტრფი, ვნატრობ.
 ზაფხულზე კი შემოდგომა მხიბლავს,
 ზამთარს ისევ ვეკითხები -რატომ?
 დედამინა რამდენ სამოსს იცვლის,
 რამდენ ფერებს,რამდენ გრძნობას მართავს.
 ყველას დარდი და ტკივილი იცის,
 ეფერება მტყუანსა და მართალს.
 მე არ ვიცი, რომელი დრო მიყვარს,
 თითქოს ყველა ჩემთვის იცვლის ფორმას.
 ნეტავ ჩემგან რა სამხილი მიაქვს
 ან იქიდან რა სიახლე მოაქვს?
 მოუსვენრად თვალს ვადევნებ წასულს
 და ამ წუთის სიდიადე მხიბლავს...
 მომავალში რა აზრი აქვს წარსულს,
 ეს ფიქრები, მივდივარ და მიმაქვს.
 ზამთარია, გაზაფხული მინდა,
 გაზაფხულზე ზაფხულს ვეტრფი, ვნატრობ.
 ზაფხულზე კი შემოდგომა მხიბლავს,
 ზამთარს ისევ ვეკითხები -რატომ?

მელნისფერი გრძნობა

მე არ ვნებდები, არც შენ დანებდე
 და ალბათ მალე შევხვდებით გზაში.
 მინდა გავბედო, რაც შენ გაბედე
 და ვარსკვლავები ჩავინნა თმაში.

ასეთ არჩევანს გული მიწონებს
 შენც მომიწონე, შენი ჯერია.
 შენი ზეცა და მთვარე მიწოდე,
 დღეს ჩვენი გრძნობა მელნისფერია.

მადლობა

მადლობა სიკეთეა.
 მადლობა დანახვაა.
 მადლობა სიმდიდრეა.
 მადლობა გარდაქმნაა.
 მადლობა სიმართლეა.
 მადლობა ცვლილებაა.
 მადლობა სინათლეა.
 მადლობა დიდებაა.
 მადლობა სიცოცხლეა.
 მადლობა გულისთქმაა.
 მადლობა ღვთის მოწმეა.
 მადლობა სულის გზაა.

ფერების გარეშე

გრძნობების გარეშე სიტყვები ფუჭია.
 სიტყვების გარეშე, გონება ურჩი.
 უსიყვარულოდ ფერები მუნჯია.
 ფერების გარეშე მუნჯია ფუნჯიც.

* * *

მზე ჩადიოდა, მე კი მთვარეს ვეძებდი ცაზე.
ზღვის სურნელი და ქვიშის სითბო ახლდა მოლოდინს.
სამყარო ნაზად, დღეს იხდიდა მშვენიერ ტანზე
და ვარსკვლავებით ნაქსოვ პერანგს იცმევდა თრთოლით.
მზე ჩადიოდა, მე კი მთვარეს ვეძებდი ცაზე.

* * *

თითქოს სიბერით დავინყე.
ახლა კი მემატება ჯანი.
წარსულს დღითიდღე მავინყებს.
ნაფიქრის და ნაგრძნობის ჯამი.

* * *

თავს მე დავხრი, შენ კი ზემოთ აიხედე.
თვალი თვალთან ვასაუბროთ, გული – გულთან.
უშენობით, შენთან ვინ ვარ, გავიხსენე.
შენს პირისპირ ლამაზი მაქვს სახე, – სულ სხვა.

სიტყვას ვიტყვი, აზრი თვითონ დაასრულე,
და გაიგებ უშენობით რატომ ვწუხვარ,
ჩემკენ გზები შენ რომ წასვლით გაართულე.
მინდა მიხვდე, ამიტომაც ასე ვდუმვარ.

თავს მე დავხრი, შენ კი ზემოთ აიხედე.
თვალი თვალთან ვასაუბროთ. გული – გულთან.

მასხარას აღსარება

სამი სიტყვა ავაგდე, ხელებს ვშლი და ვჯამბაზობ.
ვაბურთავებ ჰაერში, ხან ვიცინი, ხან ვბრაზობ.

მათი რიგი აზრებს ცვლის და მგონია ბრძენი ვარ.
ასე თამაშ-თამაშით ყველას თავში შევდივარ.

მერე ერთად ვჯამბაზობთ, სიტყვებს ვუცვლით ერთმანეთს.
ბურთაობით გართულნი, ვფიქრობთ, ყოფა შევცვალეთ.

ისე დიდხანს ვიცელქეთ, სიტყვებს აზრი გაუცვდა.
ახლა ჩვენი მოსმენა არც მოსწონთ და არც უნდათ.

სიტყვებს ვისვრი ჰაერში. – ეს ცხოვრება ცირკია!
ვინც მე მისმენს, იცოდეს, ამ თამაშის ღირსია.

მიზეზი სულ არის

ვილაცამ რომ დამკარგა, ვილაცამ მიპოვა.
ვილაცა მენდო და ნდობით მომიპოვა.

ვილაცამ მომისმინა, ვილაცამ გამიგო
ვილაცამ უბრალოდ საგზალი გამიყო.

ვილაცამ გზად მიცნო, ვილაცამ კი მგზავრად.
ვილაცა მეგზო, უბრალოდ, დამემგზავრა.

ვილაცას მოვწყურდი, ვილაცამ მომანყურა.
ვილაცამ მიგრძნო და ცის ნამი მომაპკურა.

ვილაცა შევიკედლე, ვილაცამ შემიმკერდა.
მიზეზი სულ არის, რომ ვიყოთ მუდამ ერთად.

* * *

თუ უყვარხართ, ცოცხალი ხარ.
შენ თუ გიყვარს... ბედნიერი.
მინისტვის შენ მოკვდავი ხარ.
მოყვასისთვის... ზეციერი.

თუ უყვარხართ, ლამაზი ხარ.
შენ თუ გიყვარს... მშვენიერი.
თუ სარკისთვის შენ წამი ხარ,
ზეცისთვის ხარ მისმიერი.

თუ უყვარხართ, პოეტი ხარ.
შენ თუ გიყვარს... მელნის ფერი.
სხვის გულს თუ გრძნობ, ცოცხალი ხარ
და თუ მის სულს... ბედნიერი.



ედი კვიციანი - 80



მიმდინარე წლის 12 მაისს 80 წელი შეუსრულდა ქართული დისიდენტური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელს, საერთოდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ აქტიურ და გამორჩეულ მოღვაწეს, პოეტსა და პუბლიცისტს, ჩვენს მეგობარს ედემ კვიციანს.

ედემ კვიციანი 1943 წელს დაიბადა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ კირცხში და ჭაბუკობიდან დღემდე მთელი თავისი ცხოვრება საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის დაუღალავ ბრძოლას მიუძღვნა.

საქართველოს მთელი ისტორია როგორც მეფის რუსეთის, ისე საბჭოთა ოკუპაციის წლებში აღსავსეა რჩეულ ქართველ მამულიშვილთა არნახული თავდადებით საკუთარი სამშობლოს მჩაგვრელთა უღლიდან გამოხსნისათვის. ქართველი ერის სანუკვარი ოცნების - თავისუფლების იდეას დამპყრობელი სასტიკად უსწორდებოდა, ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა, მაგრამ მაინც ვერ ჩაკლა ქართული სული, ეროვნული მრწამსი, პატრიოტული მგზნებარება და ლელთ ღუნისაყული სულის-

კვეთება, არნახული რეპრესიების, დესპოტიზმის, ყველა სფეროში ადამიანთა ცნობიერების დამანგრეველი შოვინისტურ-ბოლშევიკური პროპაგანდის მიუხედავად, ქართველი ერის წიაღში მუდამ ჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებს ხელახლა აცოცხლებდნენ, ნაცარში შემალული ნალვერდალივით სულს უბერავდნენ, ამ იდეებს აზიარებდნენ სხვებსაც, ასე ემატებოდა სინათლე ოცნებათა მბჟუტავ სანთელს და ასე მოვიდა ქართველი ხალხი თავის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობამდე. ეს კი ხდებოდა არნახული მსხვერპლის ფასად, დახვრეტების, გადასახლებების, რეპრესიების ფასად და ეს ხვედრი სრულიად ახალგაზრდა ედემ კვიციანამაც იწვნია, რომელიც 1963 წელს არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრობისა და საქმიანობისათვის სხვებთან ერთად გაასამართლეს და 5 წლით შორეულ ციმბირში, საბჭოთა „გულაგში“ პატიმრობა მიუსაჯეს.

ამ მოვლენამ განსაზღვრა ედემ კვიციანის მთელი შემდგომი ცხოვრების გზა, მთელი მისი მრწამსი, რომელიც ხასიათდება დამოუკიდებლობის იდეისადმი შეუწინაღებელი მსახურებით,

ეროვნული პრინციპებისადმი შეუვალი ერთგულებით, სამშობლოს მტრების, ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მტერთა და მოლაღატეთა მიმართ განსაკუთრებული უკომპრომისობით, შეურიგებლობითა და მათი მხილებით. ჩვენ სწორედ ასეთი, პირდაპირი, ობიექტური და სამართლიანი ედემ კვირტია ვიცით და ვაფასებთ, გვიყვარს და ყოველმხრივ გვეიმედება!

სამშობლოს ბედით ცხოვრობდა ედემ კვირტია მას შემდეგაც, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა აღიდგინა და სულ ცოტა ხანში კი შეიარაღებული პუტჩის შედეგად ამ დამოუკიდებლობას საფრთხე შეექმნა. ქართველი ხალხი 30 წელია, რაც ამ საფრთხეებს ებრძვის და ჩვენი ედემიც ამ ბრძოლის წინა ხაზზეა.

სამწუხაროდ, შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ ედემ კვირტია უნიჭიერესი პოეტია, გამორჩეული ხელნერის მქონე შემოქმედი. ამაზე მეტყველებს ადრეულ წლებში გამოცემული მისი პოეტური კრებულები „გზაჯვარედინი“ და „ხსოვნის თვალსაწიერი“. აღსანიშნავია აგრეთვე ედემ კვირტიას წარმატებული მოღვაწეობა დრამატურგიაში. მისი პიესა „სამნი ერთი ოთახიდან“, რომელიც ენგურჰესის მშენებელთა ცხოვრებას ეხებოდა, დაიდგა ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის თეატრის სცენაზე და მაყურებლის მოწონება ხვდა წილად.


თეატრის სცენა უნდა ეხილა ედემ კვირტიას მეორე პიესასაც - „სად იძინებენ პეპლები ღამით“; ეს პიესა სხვადასხვა თეატრში უნდა დადგმულიყო, მის ავტორს ჰონორარიც კი გადაუხადეს, მაგრამ ბოლო მომენტში ცენზურამ პიესა ანტისაბჭოურად მიიჩნია და მისი დადგმა აკრძალა.

ედემ კვირტიას შემოქმედებით საქმიანობას საბჭოთა სინამდვილეზე არანაკლები დალი დაასვა 1991-92 წლების იანვარ-თებერვლის შეიარაღებულმა გადატრიალებამ. პუტჩით აღშფოთებულმა მამულიშვილმა საკუთარი მამხილებელი განცხადებებით მიმართა საქართველოს მწერალთა კავშირსაც და ჟურნალისტთა კავშირსაც, პროტესტის ნიშნად დატოვა ორივე ორგანიზაცია, საერთოდ, დატოვა თბილისიც, ბავშვიც კი გამოიყვანა სკოლიდან და ოჯახით მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. ბუნებრივია,

მისმა სინდისმა და რწმენამ ვერ იგუა პუტჩისტ მწერალთა და ჟურნალისტთა საზიზღრობანი და დღემდე სამართლიანად თვლის, რომ ე.წ. „ელიტურმა“ ინტელიგენციამ „მხედრიონსა“ და კიტოვანის გვარდიელებზე არანაკლები წვლილი შეიტანა უსამართლობის დამკვიდრებაში.

ედემ კვირტია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცოცხალი მატიანაა. დღემდე იგი სამეგრელოს მთელ რეგიონში, საჯარო ბიბლიოთეკებსა და სკოლებში კითხულობს საინტერესო ლექციებს ეროვნული მოძრაობის მონაკვეთზე 1956 წლიდან, რომელიც ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებით დაგვირგვინდა.

ბატონი ედემი, როგორც ეროვნული მოძრაობის ამ პერიპეტიების თვითმხილველი და მონაწილე, მდიდარ დოკუმენტურ არქივს ფლობს და მათ თავის მსმენელებს აცნობს; განსაკუთრებული რეზონანსი კი გამოიწვია მისმა წიგნმა „პროკლამაციებიდან დამოუკიდებლობის აქტამდე“, რომელიც 2010 წელს გამოიცა. მასში მრავალფეროვანი დოკუმენ-



ტური მასალის ფონზე მოთხრობილია გასული საუკუნის 60-იან წლებში ზუგდიდში დაწყებულ ანტისაბჭოთა მოძრაობაზე, ამ ქალაქში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შექმნილ არალეგალურ ორგანიზაციებზე, ადგილობრივი ახალგაზრდების დისიდენტურ საქმიანობაზე. ნიგნის რედაქტორები არიან მუხრან მაჭავარიანი და რობერტ პეტრიაშვილი.

ამ ორგანიზაციების ამოცანა იყო საქართველოსა და კავკასიის ერთა განთავისუფლება; ახალგაზრდები ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელის კარსტულ მღვიმეში ინახავდნენ არალეგალურად ნაშოვნ საბეჭდ მანქანასა და შრიფტებს, ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ პროკლამაციებს. საბჭოთა ხელისუფლება და სუკი განსაკუთრებით შეაშფოთა საქართველოს გასაბჭოების 40 წლისთავის ზეიმის წინ, 1961 წლის 27 იანვარს თბილისში, კინოთეატრ „რუსთაველში“ ფილმის „გრაფი მონტე კრისტოს“ ჩვენების დროს, აგრეთვე ფოთში, ქუთაისში, სოხუმში, ხობსა და სხვაგან ერთდროულად გავრცელებულმა პროკლამაციებმა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის მოწოდებით. დამოუკიდებლად შექმნილ ამ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდნენ ზაურ ქობალია და ანრიდ (ბუჭა) სანაია. მათთან ერთად ედემ კვიციანი, რომელიც ზ.ქობალიას ჯგუფის წევრი იყო, აღნიშნავს იმ გულანთებულ ახალგაზრდებს, რომლებიც ამ არალეგალურ ანტისაბჭოთა საქმიანობაში იყვნენ ჩართულნი. მათ შორის იყო ერთადერთი ქართველი ქალი დისიდენტი, რომელიც სასჯელს იხდიდა ციმბირის გულაგში – ეკატერინე ბებია, აგრეთვე ინდიკო ქობალია, ვალტერ შურღაია, სერგო (კუკური) სორდია, რუსლან ქირია, ჰამლეტ სანაია, გურამ მაკალათია, ნიკოლოზ (გურამ) ფარცვანია, ომარ გაბუნია, თენგიზ ჯობავა და სხვები; მათთან ერთად იყვნენ ქუთაისის ჯგუფის წევრები გრიშა დვალი, ალექსი ლომთაძე, რევაზ მახარაძე, ჯემალ კაკაბაძე, სოხუმელები შახი და ჯუმბერ სიჭინავები, მარტვილელი მეგონა კაკაშვილი, ზესტაფონელი ნოდარ ჯუღელი... ამ ადამიანებს აქაც იმიტომ ჩამოვთვლით, რადგან ისინი ედემ კვიციანს ბრძოლისა და თავდადების განუყრელ ნაწილს წარმოადგენენ და იმიტომაც, რომ საქართველოს პოსტსუტ-

ჩისტური პერიოდის მეისტორიენი სრულიადაც არ აქცევენ ყურადღებას ამ მამულიშვილთა ღვაწლს, ნაკლებად არის შესწავლილი ეროვნული მოძრაობის 60-იანი წლების პერიოდი და, საერთოდ, დღევანდელი პუტჩისტური იდეოლოგიის მსახური, არაკეთილსინდისიერი, მოსყიდული ისტორიკოსები მიზანმიმართულად აყალბებენ საქართველოს უახლეს ისტორიას, აკნინებენ და დამახინჯებულად წარმოადგენენ მთელი ჩვენი ეროვნული მოძრაობის, ზვიად გამსახურდიასა და მისი ერთგული თანამებრძოლების დამსახურებას სამშობლოს წინაშე.

მათგან განსხვავებით, ედემ კვიციანი სამშობლოს მართალი ისტორიის, ეროვნულ-განთავისუფლებელი მოძრაობის ისტორიულ ნიშანსვეტად ქცეული მიღწევების, სიმართლისა და სამართლიანობის სადარაჯოზე კვლავაც ურყევად დგას. ეს ურყევობა, სიმართლისადმი თავდადება ამშვენებს მის მიერ გამოვლილ 80 წელს – გამოვლილს პატიოსნად, უზადოდ, უღალატოდ და უანგაროდ!

ჟურნალ „მიჯნის“ რედაქცია, „ტაშკენტის 25“-ის მეგობრები ჩვენს ავტორებთან და მკითხველებთან ერთად ვულოცავთ ბატონ ედემ კვიციანს დაბადების ამ მშვენიერ თარიღს, დიდებულ იუბილეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და მხნეობას და იმ შემოქმედებითი მიზნების ხორცშესხმას, რომლებსაც, გვჯერა, მისი ახალგაზრდულად შემართული, ცეცხლოვანი ხასიათი და სულისკვეთება აუცილებლად აქცევს რეალობად.


გაიხარე, ჩვენო ამაგდარო, ღვაწლმოსილო ძმაო და მეგობარო! კიდევ დიდხანს იბედნიერე შენს მშვენიერ, სამაგალითო ოჯახთან, შენს სათაყვანებელ ხალხთან ერთად! დღევანდელი მშვენიერებით შენც გულნაკლული ხარ, არ მოგნონს ამდენი სიყალბე, სიმართლის მიჩქმალვა, ფუჭსიტყვაობა, უნიათობა და უმოქმედობა, მაგრამ ხომ ნათქვამია, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო და გვჯერა, უფალი არ მიგვატოვებს, იმ სანთელ-საკმეველსაც თქვენისთანა მებრძოლი მამულიშვილები შეაშველებენ ხელს და არ შეიძლება არ გავიდეთ იმ გზაზე, რომელიც სამშობლოს გაბრწყინებული მომავლისკენ წაიყვანს.

ჟურნალ „მიჯნის“ რედაქცია

ელემ კვიციანი

სამადლოვანი მიწისადგი

თუმცა ზეცისკენ
 გამირბის მზერა,
 სულსაც სწყურია
 გზები ციური...
 შენ მაინც სხვა ხარ...
 მიყვარხარ, მჯერა, –
 უფრო ახლოს ხარ
 და მშობლიურიც...
 უფრო ტკბილიც ხარ, უფრო მწარეც ხარ,
 უფრო რთულიც ხარ და უცნაურიც...
 სიცოცხლე ყველა შენთან მთავრდება,
 შენთან იწყება სიკვდილი ყველა...
 და ბრუნავ, რათა აღარ მოგვაკლდეს
 მზე – დღე და ღამე და მიჰქრი, რათა
 დროზე მივუსწროთ: გაზაფხულს, ზაფხულს...
 შემოდგომას და ჭაღარა ზამთარს...
 მეც შენ ამანთე,
 როგორც სანთელი,
 მეც ხომ შენი ვარ,
 ხორციით, სხეულით,
 ჩემთვის სააკვნე
 ხის ხარ გამზრდელი
 და ყველა ფესვით
 ვარ ჩახვეული
 შენს მკერდს და წიაღს... მიოკებ წყურვილს,
 მიოკებ შიმშილს, თუმცა, ხანდახან
 მწუთხე წყალს მასმევ, ხანდახან, ლუკმას
 ცრემლებში მიღობ... მე მაინც შენი
 ანთეოსი ვარ და რომ არ მყავდე,
 ვერ გადავდგამდი პირველ ნაბიჯებს,
 ვერ ვიდგებოდი დღეს ასე მყარად
 და ვერ შევძლებდი სიზმრებში ფრენას...
 სიზმრებში მე ვარ
 კეთილი ბავშვი,
 ცხადში კი ვებრძვი
 ავთა აბრუნდებს...
 და რაც არ უნდა
 ვიფრინო ცაში
 მე მაინც შენთან
 უნდა დავბრუნდე...
 შენც აღარ მაკლებ ზრუნვას და ამაგს,



სიხარულს, ტკივილს, სევდას და იმედს.
 მადლოვანი ვარ ყველაფრისათვის...
 კიდევ იმისთვის, ჩემს საკუბოვე
 ხეს რომ ახარებ... იმისთვისაც, რომ
 მზად ხარ ჩამიკრა და ჩამიხვიო
 და დაუბრუნდეს სხეული ჩემი
 კვლავ წიაღს შენსას, სული კი – ზეცას.

სიკვდილ-სიცოცხლე

სიკვდილი მუდამ დასვენებაა,
 დასვენებაა ხორცის და სულის,
 სიცოცხლე მუდამ გახსენებაა,
 გახსენებაა ჩვენი წარსულის...

სიცოცხლე მუდამ ღმერთის ნებაა,
 ღმერთის ნებაა მიწის ყივილი,
 სიკვდილი მუდამ დავინყებაა,
 დავინყებაა ყველა ტკივილის...

სიცოცხლე რწმენა და ცდუნებაა,
 და ცდუნებაა მტერი კაცისა...
 სიკვდილი მუდამ დაბრუნებაა,
 დაბრუნებაა პირველ საწყისთან.

(ტერენტი გრანელი)

სიზმრის ნათელში ხედავ და ხვდები:
დამორებული სინათლის წლებით,
ანთია ბედის თეთრი ვარსკვლავი
და დედამინა – შენი საფლავი,
მიცურავს სივრცის ოკეანეში...

კმარა! უსიზმრო ძილს და მთქნარებას,
სიზმრებში – ლალატს და შეყვარებას
შენ დღესვე უნდა დაუსვა ჯვარი,
თავისუფალი, ვითარცა მკვდარი,
უნდა გაიქცე დედამინიდან!

უნდა გაექცე უმიზნო მიზანს
და ციფერბლატზე მორბენალ ისარს,
უნდა გაექცე საკუთარ სხეულს,
იქ, მზისმიღმიერ სივრცეში წვეულს,
გიმღერებს შენი ბედის ვარსკვლავი.

მირბის ქუჩაზე პატარა ბავშვი,
მიდის ქუჩაზე ჩია მოხუცი...
იცის მოხუცმა:
ეს ბავშვი მისი
წარსულია და...
იხსენებს წარსულს...
რა იცის ბავშვმა:
რომ ეს მოხუცი
მომავალია მისი
და მირბის...
მირბის ქუჩაზე პატარა ბავშვი,
მიდის ქუჩაზე ჩია მოხუცი.

**ზმანება მიტოვებული ეკლესიის
საკურთხეველთან**

ვდგავარ და ვცდილობ,
გაბზარულ კედლებს
რომ ვათქმევინო სწორიც და ჭორიც
და მოთმინებით
ვეძებ და ვეძებ
ღმერთს მომღიმარი ანგელოსთ შორის...
ხელებმომტვრეულ ფრესკების ტკივილს
მე მინანილებს გუმბათი თეთრი
და ჭერს მიმწყდარი
ლოცვას და ტირილს
ნეტავი როდის შეისმენს ღმერთი?!
და მინდა, ისევე ჩამოვკრა ზარებს,
ჩემივე სულში ჩუმად ვილოცო,
თუ ვინმე მიყვარს,
ან შევიყვარებ,
თავს გამოვუტყდე და გავიოცო.
და ვხუჭავ თვალებს,
გადაღლილი თვალებს,
ვგრძნობ,
ვხედავ,
მესმის მლოცველთა სუნთქვა
და ღვთისმშობლის წინ დაჩოქილ ქალებს
რაც ღმერთისთვის და
ხატისთვის უთქვამთ.
საკურთხეველთან სანთელი დნება
და ისმის ხმები ანაზდეული...
თანდათან დგება,
თანდათან დგება
ჯვარცმული ქრისტეს თეთრი სხეული,
მზისფერი სისხლი ნალურსმნალიდან
სდის და სდის როგორც წითელი ღვინო
და არსაიდან,
და არსაიდან
არ ჩანს არავინ, რომ მოუსმინოს.
მე ვახელ თვალებს
და ვხედავ ფრესკებს
ეცემა თეთრი სინათლის ზოლი
და მოთმინებით ვეძებ და ვეძებ
ღმერთს მომღიმარი ანგელოზთ შორის.



ჟურნალის ჩვენს მილოცვას!

ცნობილი მწერალი, ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთი აქტიური ავტორი და „ტაშკენტის 25“-ის შემოქმედებითი საძმოს ღირსეული წევრი ბატონი გიორგი სიჭინავა მიმდინარე წლის 10 მაისს 81 წლის გახდა. ეს ისეთი ასაკია, როდესაც წელთა სიმრავლე განსაკუთრებულ პატივისცემასა და დაფასებას მოითხოვს და ჩვენც ვუსურვებთ ჩვენს მეგობარს ჯანის სიმრთელესა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

გიორგი სიჭინავა განსაკუთრებული შემოქმედია არა მარტო ნიჭიერებითა და მრავალმხრივი ლიტერატურული ნაღვანით, არამედ იმითაც, რომ იგი ერთნაირი წარმატებით ემსახურება ორ მუხას, ერთნაირი ოსტატობით იმორჩილებს კალამს როგორც პოეზიაში, ისე პროზაში. თავიდანვე მას იცნობდნენ, როგორც შესანიშნავ პროზაიკოსს, მაგრამ თანდათან აღმოჩნდა, რომ გიორგი სიჭინავა დიდებული პოეტიცაა, რაზედაც მისი კრებულები მეტყველებენ.

გიორგი სიჭინავას განსაკუთრებულობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მან შექმნა უნიკალური მხატვრული ლიტერატურა მეგრულ ენაზეც ქართულის პარალელურად. დღეს მეგრულად სხვებიც წერენ, მაგრამ გიორგი სიჭინავა ამ სფეროში მართლაც შეუდარებელია.

მისი მეგრული სიტყვა, ლექსი თუ პროზა საოცრად მდიდარი და სიახლის შემცველია მკითხველისათვის.

რაც შეეხება ქართულ ენაზე შექმნილ ნიგნებს, არ შეიძლება არ დატკბეთ მისი დახვეწილი, ჰაეროვანი და ამასთან ღრმააზროვანი პოეზიით; პროზაში კი ნამდვილ შედეგად წარმოჩინდა ბოლოს გამოცემული რომანი „უტუ მიქა“, რომელიც აუცილებლად დაიჭერს ღირსეულ ადგილს არათუ მწერლის შემოქმედებაში, არამედ მთელ თანამედროვე ქართულ პროზაშიც.

არც გიორგი სიჭინავას ის ღვანლი არაა დასავიწყარი, რომელიც მან შეიტანა ქართულ ჟურნალისტიკასა და პუბლიცისტიკაში. იგი წლების განმავლობაში იყო ეროვნული ჟურნალისტიკის ფლაგმანის, გაზეთ „აღდგომის“ რედაქტორი, თანაც სწორედ იმ პერიოდში, როდესაც მართალ სიტყვას ტყვეობაც ებრძოდნენ საქართველოს მტრები.

ვულოცავთ ჩვენს გიორგის დაბადების დღეს! ბედნიერი ყოფილიყოს მისთვის ცხოვრების მეცხრე ათეულის აღმართზე შედგომა და კიდევ დიდხანს ემსახუროს თავისი მადლიანი კალმით თავის სამშობლოსა და ხალხს!

ჟურნალ „მიჯნის“ რედაქცია

დაგვიანებული მილოცვა

მქონდა ბედნიერება ტაშკენტის ოცდახუთში გამეცნო ეროვნული მოძრაობის, ეროვნული ხელისუფლების, მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას ერთგული ადამიანები, ასაკით ჩემზე უფროსები, თანატოლები და უმცროსები... და არა მარტო გამეცნო, არამედ მათთან ერთად მებრძოლა საქართველოს უკეთესი მომავლისათვის, მეთანამშრომლა ამ ბინაში არსებული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში: „აღდგომა“, „ზანი“, „კარდუ-2000“, „მიჯნა“...

მრავალ თანამებრძოლთაგან ერთ-ერთი გახლავთ ბატონი ლაშა გვასალია, რომელმაც გაცნობისთანავე მომხიბლა თავისი ერთგულებით, რთული პოლიტიკური მოვლენების ღრმა ანალიზის უნარით, საქართველოს ისტორიისა

და ლიტერატურის უბადლო ცოდნით... და არა მხოლოდ ცოდნით, არამედ იგი არის შესანიშნავი ესეების, მოთხრობების, ლექსების ავტორიც... მკითხველს ვთხოვ თვალი გადაავლოს ზემოთნახსენებ ჟურნალ-გაზეთებს და ნაიკითხავს არა მხოლოდ ქართველი მწერლების და პოეტების შემოქმედების შესახებ, არამედ იქ ნახავთ „გილგამეშის“ ისტორიას, ძალზე საყურადღებო შეხედულებას დიდი რუსი მწერლის დოსტოევსკის რელიგიურ მრწამსზე...

გავიდა წლები! ლაშა 50 წლის გახდა, მაგრამ იგი იგივეა მარად და მარად! კაი ყმა! კარგი მამულიშვილი! კარგი ოჯახის მამა!

თენგიზ კუჭავილი

გამოხვეული ფილოსოფოსის ობიექტს მიექლვანა

ახლახან გამოცემილი „უნივერსალში“ დაიბეჭდა საქართველოს ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის კულტურის ფილოსოფიის განყოფილების მიერ შედგენილი კრებული „ფილოსოფია, როგორც კულტურის თვითცნობიერება“, რომელიც მიექლვანა ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის, საქართველოს ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, პროფესორ ირაკლი კალანდიას 75 წლის იუბილეს.

კრებული იხსნება ნიგნის რედაქტორის, ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ კახა ქეცბაიას შესავალი ნერილით „ქართული ფილოსოფიის სინდისი, სიკეთისა და ადამიანობის განსახიერება“. ნიგნის პირველ ნაწილში ბატონ ირაკლი კალანდიას იუბილეს ულოცავენ კოლეგები, მეგობარი მეცნიერები, მწერლები: მიხეილ მახარაძე, ვახტანგ კილანავა, ირაკლი იმედაძე, თეიმურაზ მთიბელაშვილი, მერაბ ჯიქია, არსენ ბურჯაღლიანი, მურმან ზაქარაია, ჯემალ შონია, გურამ

მარხულია, კახა კოპალიანი, ბადრი ფორჩხიძე, იაშა კუტუბიძე, ლაშა გვასალია, ალექსანდრე ალადაშვილი, მერი ლობჯანიძე, ჯამბულ ქობალია და სხვები.

კრებულის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ირაკლი კალანდიას გამორჩეული ფილოსოფიური ნაშრომები, კერძოდ: „ფილოსოფია – ეპოქის კრიტიკული გააზრება“, „ფილოსოფიის განვითარება საქართველოში“, „ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ-ლიტერატურული ანალიზი“, „პიროვნება და შემოქმედება“, „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულის გამოცემა – მნიშვნელოვანი მოვლენა“, „ზვიად გამსახურდია საუკუნეებს გადასწვდება“, „გერმანე ფაცაცაძის გახსენება“.

ნიგნის დანარჩენი ნაწილები ეთმობა ბატონ ირაკლი კალანდიას ინტერვიუებსა და მის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფიას.

ირაკლი ვიტოს ძე კალანდია დაიბადა 1947 წ. 15 მაისს აფხაზეთში (იმაშინი, კორაჩა). 1965 წელს მუდამდე დამთავრა კორაჩის შოთა რუსთაველის სახ. საშუალო სკოლა. ამავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სოლო 1968 წელს ჩაირიცხა და 1973 წელს წარჩინებით დამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სას. უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი; 1977 წ. დამთავრდა ამავე ფაკულტეტის ასპირანტურა.

1976 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნ. აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. სადაც სხვა დანაშაურობის იყო: უფროსი მეცნ. თანამშრომელი, განყოფილების გამგე, სექტორის ხელმძღვანელი, სოლო 2006-2011 წლებში ინსტიტუტის დირექტორი.

1991-92 წ. იყო საქართველოს რესპუბლიკის უმცირესი საბჭოს წევრი. მთლიანობის მთავარი რედაქტორი.

1992-98 წ. იყო თბილისის კრიტიკული მედიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

1998-2006 წ. მუშაობდა თბილისის პოლიტიკური აკადემიის პრორექტორად.

1992-2007 წ. წ. სხვადასხვა დროს იყო თბილისის პოლიტოლოგიისა და ადამიანმცოდნეობის ინსტიტუტის წევრი, კათედრის გამგე, პრორექტორი, სოლო 2005-2007 წლებში ინსტიტუტის რექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

არის ასილაგირა მეცნიერ-მუშაობის რესპუბლიკური კონკურსის გამარჯვებული (1977 წ. II პრემია)

2000 წ. აშშ-ს პოთაიანის ინსტიტუტში ადირაწლის ადამიანად.


სხვადასხვა დროს კითხვითა და ლექციების კურსს (ფილოსოფია, ფსიქოლოგია, პოლიტოლოგია, ესთეტიკა, ლოგიკა) ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სას. უნივერსიტეტში, ტექნიკურ უნივერსიტეტში, თბილისის სხვა უმაღლეს სას. უნივერსიტეტში.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის 7 მონოგრაფია) მეცნიერულ-ტექნიკური რეკლამის, სოციალური პროგრესისა და კულტურის ფილოსოფიურ პრობლემებზე, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

2016-22 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი და სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. ამაჟამად ამავე უნივერსიტეტის მთავარი პროფესორია. იგი მრავალი სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორი და მონაწილეა.

არის საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და ამავე აკადემიის პრეზიდენტი; აკადემიის ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალ „ფილოსოფიური ძიებანი“ მთავარი რედაქტორი. განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ISBN 978-9941-93-453-5

ზაურ მოლაშხია

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

მგზავრის ლამაული სიგლარა

გარინდებულა ყველა მწვერვალი,
ირგვლივ სიმშვიდე სუფევს,
არც ხის კენწერო, არც ნანვერალი
არ ჩამიჩუმობს უკვე.
არც უმცირესი ნიავის ჩქამი,
აღარც ჩიტების სტვენა...
დაიცა ცოტა, მოაწვეს ჟამი,
მიინურები შენაც.

ალექსანდრე პუშკინი

ტუსალი

ვზივარ ბნელში, გარშემო ნესტია და ქარცივი,
საკანში ვარ აღზრდილი ახალგაზრდა არწივი,
ამხანაგი მოწყენით, ფრთების რხევით, სისხარტით,
სარკმლის ქვემოთ ლემს ძიძგნის გასისხლული ნისკარტით.

უცხო მხარეშიც, სხვა სივრცის მხილველს,
თან მახლავს ჩემი წესი და რიგი:
გალიაკიდან პანია ფრინველს
ვათავისუფლებ და მღერის იგი.

გაძიძგნის და დააგდებს და სარკმელში მიყურებს,
თითქოს ამბობს უსიტყვოდ: მეც შენს გვერდით მიგულე.
უხმოდ მიხმობს, მეძახის; მის მზერაში ვიგრძენი:
„ნამო, ერთად გავფრინდეთ, მოვიხილოთ სივრცენი.

ჩვენ ხომ ფრინველები ვართ, დროა, დაჰკრა საათმა,
იქით, სადაც მწვერვალმა ღრუბლებს თავი წაართვა.
იქ გავფრინდეთ, იქ, სადაც ზღვა სილურჯეს ზეიმობს,
სადაც მეგობრებივით მე და ქარი ვსეირნობთ“...

თუ იგემე ცხოვრებისა
სიცრუე და დარდი მძიმე,
დრო უგვანი დაითმინე,
გნამდეს, მოვა დრო შვებისა!

გული ხვალის რწმენით მიცემს,
ურწმუნოა აწმყო თავად.
ყველაფერი ნავა მყისვე
და ის გტკივა, რაიც ნავა.



ჩ ი ტ ი

გულში ნუგემით ვგრძნობ დალბინებას,
რად ვებუზღუნოთ ზეციერს მაღალს,
როს შემძლია, თუნდ ერთ ქმნილებას
თავისუფლება ვაჩუქო ახლა!

ვორონცოვისადმი

ნახევრად – მილორდი, ნახევრად – ვაჭარი,
ნახევრად – გულადი, ნახევრად – ლაჩარი,
ნახევრად – უვიცი, ნახევრად – ჭკვიანი,
მჯერა, აღსასრული ექნება მთლიანი!

მიხეილ ლერმონტოვი

ლოცვა

როცა მძიმე წუთებში
გული ნალვლით ღონდება,
ერთი ლოცვა ნუგემით
მყისვე მომაგონდება.

არის ძალა ღვთიური
სიტყვის ამოქლერება,
არის მასში ციური,
წმინდა მშვენიერება.

ლოცვით ეჭვი, ნალველი
არის სულში ნაშლილი
მწამს და ვტირი, ხან ვმღერი
და საოცრად ვერ მშვიდი.

თევდორე ტიუტჩევი

დღე და ღამე

უკვდავ სამყაროს იდუმალ სულთა
და უსახელო უფსკრულს თუ მიხედვრებს
ოქრონაქსოვი დაეცა რიდე,
რადგან მეუფეს ამგვარად სურდა.
დღე – საბურველი ელვარე მზისა –
მაცოცხლებელი და გულმხურვალი;
დღეა სნებოვან სულთა მკურნალი
და მეგობარი კაცის და ღვთისა.

მაგრამ მწუხრდება, ღამე მღელვარე
საბედისწერო ბნელ რიდეს არხევს
და დღის საბურველს უღმობლად დახევს,
თან მიმოისვრის, როგორც ძველმანებს.
და ჩვენ გვაშინებს ღია უფსკრული,
ვინ იცის, ღამე ვის სად უყვებებს;
გვაერთფეროვნებს იგი სუყველას,
ამიტომ გვზარავს ღამე ლუსკუმი!

თევდორე ტიუტჩევი

ეზივარ მდუმარი და გულმწუხარი,
თუ როგორ ქრება ნელა ბუხარი,
თვალცრემლიანი ვუმზერ...
წარსულზე ფიქრით ვარ სევდიანი,
სიტყვა ვერ ვპოვე ნაპერწკლიანი.
სიტყვა, რომ მოგხვდეს გულზე.

წარსული – ნუთუ იყო ნამდვილად
და რაც ახლაა – ისიც ადვილად
წავა, გაქრება იგი.
გაქრება, როგორც ძველი ნუგეში
და შთაინთქმება ბნელ უფსკრულეთში
წელიწადების რიგი.

მისდევს წელს წელი ღელვით, გრიალით,
რაზე წუხს, შფოთავს ადამიანი,
მცირე მარცვალი მიწის;
აყვავდება და დაჭკნება მყისვე,
მაგრამ გვაჩუქებს ზაფხული ისევ
ახალ სიცოცხლის სიცილს.

ისევ იქნება ახლა რაც არი,
კვლავ აყვავდება სულ სხვა მარცვალი,
სხვა ეკალი და ვარდი...
მაგრამ შენ, ჩემო მკრთალო ყვავილო,
როგორ გიშველო, აგაყვავილო,
ვით მოგაშორო დარდი!

ხარ მონყვეტილი შენ ჩემი ხელით,
რა ნეტარებით და რა ნალველით,
ეს უწყის მხოლოდ ღმერთმა!..
დარჩი ჩემს გულში სევდით მალულით,
სანამ არ მისწყდა იქ სიყვარულის
უკანასკნელი ფეთქვა.

თევდორე ტიუტჩევი

სალამოვდება. მოინვეს ბნელი,
იზრდება მთათა ჩრდილების ნყება,
მალე ჩაქრება ცაზე ღრუბელი...
დღე მიიდრიკა. დაისი დგება.

არ ვშიშნეულობ და აღარც ვდარდობ,
რომ გაქრა ეს დღე დროის ქარებით, –
ოლონდ შენ, ჩემო გრძნეულო ლანდო,
არ მიმატოვო, გემუდარები!

გთხოვ, შენი ფრთები მიფარო ფარად,
დამიცხოვრო გულის ლელვა-ანთება;
მოჯადოებულ სულისთვის მარად
იყოს მეოხი ეს მოლანდება!

ვინ ხარ? შენი გზა საიდან არი?
ცის ხარ თუ მიწის – მშვენება სრული?
იქნებ ზესკნელის ხარ ბინადარი, –
მაგრამ ქალის გაქვს მხურველე სული.

ივან ბუნინი

მორჩილი

(ძართული სიმღერა)

„ძმაო, სენაკში როგორა ბნელა!
ხეობაში კი თოვლი დევს, ელავს;
მაგრამ ფერდობზე, გახედავ თუკი,
ლურჯად ანთია ენძელას შუქი.“

„ძმაო, რას ბოდავ, ფერი გაქვს მკრთალი!
მთა მკაცრია და საშიში არი.
ეს მონასტერიც მალლა დგას, მალლა,
და გაზაფხულიც შორსაა ახლა“.

„ნუ შიშობ, ძმაო, ნუ კარგავ იმედს!
მალე გაქრება ნალველი მძიმე, –
დაიფარება ლამეც და ბუქიც
ლურჯი ენძელას ცისფერი შუქით“.

ფრინველებს აქვთ ბუდე, სორო – მხეცებს საშიშს,
ყრმა გულისთვის მართლაც მწარე იყო, ხალხო,
როცა მივატოვე მამის ეზო, მაშინ
ვთქვა: მაპატიე, მშობლიურო სახლო!

მხეცებს ხომ აქვთ სორო, საბუდარი – ფრინველს.
ცემს მწუხარედ გული, მძაფრად, განა კუთვით, –
როცა პირფერის წერით, უთვისტომე ვინმე,
ნაქირავებ სახლში შევალ ძველი კურტნით!

სერგეი ესენინი

არც გიყვარვარ და არც გებრალეები,
ნუთუ ვარ ასე უშნო, ხენემი?
მიბნედილი გაქვს ვნებით თვალები
და ვგრძნობ, გინთია ცეცხლი ხელებში.

ახალგაზრდა ხარ, გრძნობის მთესვარი,
მე კი... არც ნაზი და არც უხეში...
შენ ვისთან არ ხარ ნაალერსალი?
ვის არ უთბობდი თითებს უბეში?

ისინი გაქრნენ, როგორც ჩრდილები,
შენ ბევრს მუხლზე იყავ მჯდომარე.
ახლა ჩემს სურვილს ემორჩილები,
ზიხარ ჩემს მუხლზე – ვნებით მკრთომარე.

მინაბული გაქვს გრძნობით თვალები,
სხვაზე ფიქრობ და მიელტვი ახალს.
არც ისე მწამხარ და, მებრალეები,
მეც სხვა ტურფაზე ვოცნებობ ახლა.

ო, არ დაარქვა ამ გზნებას – ბედი,
სულში ნალველის ლამენი წვანან.
ჩვენ ხომ ერთმანეთს შემთხვევით შევხვდით,
მალე მშვიდად და ღიმილით წავალ.

შენც წახვალ შენი არჩეულ გზითა,
უსიხარულოს ნახავ სხვა წამებს.
ნუ შეეხები სუფთას და წმინდას,
ჯერ არ წამებულს ნუ გაანამებ.

და, როცა სხვასთან, გზაზე თუ ბაღში,
ივლი ტრფიალზე ლაყობით ნელა.
ხომ შეიძლება რომ შეგხვდე მაშინ,
შეგხვდე ხელახლა, მოულოდნელად.

ვიცი, სხვისაკენ მხარმიქცეული,
მორცხვად მომხედავ – ტრფიალი სხვისი.
მომესალმები და უჩვეულოდ
გეტყვი: – „სალამო მშვიდობის, მისის!“

სულს ვნების ქარი ისევ ვერ დაჰკრავს,
არ ათრთოლდება ეს გული კიდევ.
ვისაც უყვარდა – ის უკვე ჩაქრა
და ერთხელ დამწვარს ვერ მოუკიდებ.

ნიკოლოზ გუმბელიძე

გუსართან

დგებოდა ჩრდილი და ქრებოდა ბუხარი,
მარტო, ხელდაკრეფით იდგა ის მწუხარი.

უძრავად, ნაღველით უმზერდა სანთერს,
მწარედ იგონებდა დროს განვლილ-გამწირველს:

„მე ვნახე ქვეყნები უცხო, ქაროვანი,
ოთხმოც დღეს ნიადაგ ვლიდა ქარავანი.

ტევრი, მთაგრეხილი ჩემს თვალწინ დალაგდა,
ვნახე საოცრება შორეულ ქალაქთა.

ხშირად ჩვენს ბანაკში, მყუდრო სიბნელეში,
შორით მოისმოდა ღმუილი ხენეში.

დღისით ტყეს ვჩეხავდით მდგრად, მონდომებით,
ღამით გვეწვეოდნენ მძვინვარე ლომები.

ჩვენს შორის არავინ არ იყო ძაბუნი,
სუყველა ვიყავით ჩუბინი, ძალუმი...

იქ გავხდი ძველ ტაძრის აღმომჩენ – მნახველი,
დაერქვა მდინარეს იქ ჩემი სახელი.

და ტომი ხუთივე, იქ, ტბათა მხარეში,
მორჩილად მისმენდნენ, მიმზერდნენ თვალებში.

ახლა უძღური ვარ, ძილი მეუფლება,
ძლიერ ამატკივა სული მეუფემა.

ვიგრძენი რა შიში, შიში – დრო წყეული,
ახლა ოთხკედელში მე ვარ მომწყვდეული.

ველარც თოფის ბრწყინვას,
ველარც ზღვათა სირღმეს,
ველარ ძალუძს ძველი დამიბრუნოს სიმხნე“...

ამ დროს ბრაზგამქრალი,
შემწყნარე და მკრთალი,
იქ, კუთხეში მდგარი ყურს უგდებდა ქალი.

ნიკოლოზ გუმბელიძე

მონამღული

„სრულიად ფერწასულს რად გითრთის
ღანვიც,
რატომღაც მიმაღავ უცნაურ ღიმილს,
არ რატომ კანკალებ, როდესაც მანვდი
ამ ჭიქას, ავსებულს ლალისფერ ღვინით?“

მყისვე მიტრიალდა წერწევა წელით...
მე კარგა ხანია რაც ვიცი, ვიცი...
გამოვცლი ამ ჭიქას ღიმილით წრფელით,
თუმცა ვგრძნობ ყველაფერს, რაც მელის,
მიცდის...

და... როცა ჩაქრება სანთელი ყველა,
დავწვები, სიმშვიდე მენვიოს ვინძლო.
ლოგინში კომმარი გამგუდავს ნელა
და მე სასიკვდილო სიმთვრალეს ვიგრძნობ.

მივალ და მას ვეტყვი საამო ენით:
„ვნახე საკვირველი სიზმარი, კარგო,
თვალწინ გაშლილიყო უსაზღვრო ველი
და ცის ვუყურებდი ოქროვან ტატნობს.

იცოდე, არასდროს ვიქნები მკაცრი,
იყავ ბედნიერი... ვისაც გსურს უხმე...
მე ნავალ... შორს ნავალ, გავყვები
გზანვრილს
ვერ მნახავ მოღუშულს, ნაღველიანს,
უხეშს...

ცივი სამოთხიდან სითეთრეს ვნახავ,
იქიდან დღის ნათელს ვიხილავ მარტო...
როგორ მიხარია, – ნუ ტირი ახლა,
ვიცი, მონამღული შენგან ვარ, კარგო!“.

ლეონიდ მარტინოვი
ღისაუბი ცხოვრებაზე

შენ გაქვს უფლება მითხრა ყვედრებით,
ხმაში ნაღველს და წყენას აქსოვდე:
– მამაკაცებზე ადრე ვბერდებით!
– დიახ, სწორია, თუმცა გახსოვდეს,
ნუ შეგშურდება ჩვენი ბედისა,
ამაზე ფიქრმა ნუ დაგამძიმა;
ქალები ჩვენზე ადრე ბერდებით,
მაგრამ თქვენ ცოცხლობთ უფრო
ხანგრძლივად.



რუსეთში სიყვარულით

მე მომახსენეს, რომ მოსკოვში გაგზავნილია უკვე ამანათი და არ ღირს მასზე დაუსაბუთებელი შფოთი.

„და ყველა საჭირო ქალაქი არის გაფორმებული?“ – ვიკითხე მე.

„გაფორმებული გახლავთ, – მანიშნა მენეჯერმა, – გნებავთ დარწმუნდეთ?

მაშინ თვითონ...“ „რას ამბობთ, მე თქვენ ისედაც გენდობით“, – ვუთხარი მე.

მე სახლში მისვლისთანავე ავამუშავე ვიდეოთამაში.

ჩემთან კაბინეტში მისტერ სტიუარტმა გამოიღვიძა და ამანათის თაობაზე იკითხა. „ის უკვე გზაშია,“ – ვუთხარი მე. „და დოკუმენტებიც“... – იკითხა.

„როგორც წესი და რიგია, ისეა ყველაფერი.“ „იცი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ამანათი“, – გააგრძელა მან. „მე პირადად შევამოწმე...“, „ის ხვალ საღამოს უნდა იყოს იქ.“ „დიახ, დიახ, ვიცი,“ – ვთქვი მე. მე თამაში შევწყვიტე. ფირი ამოვიღე და გვერდზე გადავდე. კარებთან ჩვენი ახალი მდივანი ქალი გამოჩნდა და მითხრა: „მისტერ მერსერ, არ მინდა გუნება-განწყობა გაგიფუჭოთ, მაგრამ მე მაცნობეს, რომ ამანათი შტატ აიდახოს მოსკოვშია გაგზავნილი.“

„ეს წარმოუდგენელია!“ – შევიცხადე მე. – აი, ნომერი! რუსები! რუსები ელოდებიან მას ხვალ. რა შეიძლება, რომ გაკეთდეს?“ „თქვენ, პრინციპში, მე უახლოესი რეისით შეგიძლიათ გამამგზავროთ აიდახოში. თუმცა შესაძლოა, ჩვენ ვერც კი მოვასწროთ!“ „ეს არის ერთადერთი შანსი“, – დავეთანხმე მე. – თქვენ უნდა გაფრინდეთ“. „მისტერ მერსერ, – გააგრძელა მდივანმა ქალმა, – მე ისე მეშინია თვითმფრინავით ფრენის, რომ მინდა, თქვენ ჩემთან ერთად იფრინოთ“. „რასაკვირველია, შარლინ. მე ხუთ წუთში მზად ვიქნები...“ მე ბოსთან შევედი და რაც მოხდა, იმაზე ვესაუბრე. ჩვენს პლანეტაზე ვესაუბრე. სანამ მე ვესაუბრობდი, ის ფეხზე იდგა და ფანჯრისკენ ჰქონდა მიშტერებული მზერა. მერე მკვეთრად შემობრუნდა. თვალი თვალში გამიყარა. „თქვენ თუ იცით, რა არის იმ ამანათში, მერსერ?“ მე ვუთხარი, რომ არ ვიცი. „იქ არის აშშ-ის უმთავრესი თევზის თავეები. ჩვენ მათ გვთხოვენ თავიანთი დიდი რაკეტის შესაკეთებლად გამოსადეგი რამე, და ჩვენ მათ ეს გავუგზავნეთ.“ „თევზის თავეები?...“ „ჰო, ისინი მას შეაკეთებენ ამით.“ მე მდივან ქალთან დავბრუნდი და ეს ამბავი მოვუყევი, თან დავამატე: „ეტყობა, ჩვენ არსად არ მივფრინავთ ერთად,“ „ეს რის გამო?“ – გაიკვირვა მან. „თევზის თავეების გამო...“ „ეჰ, როგორ მიყვარს მე თევზის თავეები...“ – მძიმედ ამოიხრია მდივანმა ქალმა.

ტაძრის გადამალული გუმბათი

გარშემო, თავთავიანთ საქმეებზე ეშურებოდნენ ადამიანები. ზოგიერთი მათგანი სადილობდა. ისეთები, როგორც მე ვარ, იდგნენ და ხან აქეთ იყურებოდნენ, ხან იქით. მე გუბურისკენ გაფარფატებული თორმეტიოდე იხვი დავლანდე. ხელკეტის ქნევით გაიარა პოლიციელმა. მე-ხანძრეები თავიანთ მანქანას რეცხავდნენ. მარჯი ფეხსაცმლის მაღაზიიდან გამოვიდა თუ არა, ჩემთან მოვიდა და შემეკითხა: „ახალი ამბავი თუ გაიგეთ? როზი და ლარი სხვადასხვა მხარეს გაიქც-გამოიქცნენ თურმე.“

„მაინც რა უნდა მომხდარიყო ისეთი?“ – გავიკვირვე მე. – ჩემს ნაცნობებს შორის, ყველაზე საუკეთესოები იყვნენ ისინი.“ „დიახ, მათ კარგად მისდიოდათ ყველაფერი.“ „თქვენ როზის ხომ არ ესაუბრეთ?“ „ის ამბობს, რომ ლარიმ არმალიდად წარმოიდგინა თავი. პირდაპირ მიწიდან ჭამს მწერებს. სახლის უკან საკუთარი ორმო გათხარა.“ „ნეტავი არ გეთქვა, რომ არმალიდს დაემსგავსა ლარი. ჩემი აზრით, ის სიმპათიური ყმანვილია. ის მუდამ თავისი თავაზიანობით მზიბლავდა მე.“ „რაც უნდა იყოს, მომენატრება მათთან ერთად საღამოს წვეულებებზე ყოფნა. მათ შესანიშნავი მოლხენა იცოდნენ...“ – ამოიხვნეშა მარჯიმ. „ჩვენ მათ ვერავინ შეგვიცვლის...“ – ამოვიოხრე მე. „აბა, ახლა მე დაგემშვიდობები, – თქვა მარჯიმ, – მოხარული ვარ, რომ შენთან ცოტათი მაინც წავილაყბე, ტიმ.“ მე კბილის პასტის საყიდლად მაღაზიაში შევიარე. როცა ისევ ქუჩაში გამოვედი, უკვე გაზაფხულის წვიმა წინწკლავდა. სანაპიროს მტრედები ადგილიდან მოწყდნენ და ქალაქის თავზე იწყეს ტრიალი. მე უცნობი მამაკაცი მომიახლოვდა და მკითხა: „თქვენ ხომ არ იცით, სად შეიძლება იყოს ტაძრის გადამალული გუმბათი?“ „ვიცი, – ვუთხარი მე. – მაგრამ მე არ შემიძლია, ეს გითხრათ. ის არის საიდუმლო.“ „მე იქ, ერთ ადამიანთან მაქვს შეხვედრა დანიშნული“, – გააგრძელა მან. „ასეთ შემთხვევაში, მას თქვენთვის უნდა ეთქვა მისი ადგილსამყოფელი.“ „ალბათ ჩათვალა, რომ მე ვიცოდი მის შესახებ.“ „ეს საიდუმლო არ იცის თითქმის არავინ“. „მაშინ თქვენ რატომ იცით?“ „იმიტომ, რომ მე ვარ სიცარიელის ქურუმი“, – ვუთხარი მე. „ნუთუ მართლა?“ – არ დაიჯერა მან. „არა, ეს ახლა მაქვს შეთხზული“. „ე.ი. თქვენ ხართ, უბრალოდ, მასხარა“, – განაცხადა მამაკაცმა. „კი, მე ვარ მასხარა“, – მივუგე მე. „თანაც არც ისე საუკეთესო“, – დაამატა მან. „სამწუხაროდ“, – დავეთანხმე მე.

ბრძელი გზა

